619
1956/2

# დროშა

№ 3 მარტი 1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



დედაქალაქის პიონერები ესალმებიან პარტიის XX ყრილობის დელეგატებს.



ყრილობის დელეგატების ჯგუფი კრემლის გიორგის დარბაზში შესვენების დროს (მარცხნიდან მესამე — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია).

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ქვემოთ — ყრილობის მუშაობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

ტრიბუნაზეა საქვაბე საამქროს ხარატი გ. პავლიაშვილი.





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 3 (56) მარტი 1956 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“
გამოცემის V წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

1956 წლის 14-დან 25 თებერვლამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

ყრილობამ მოისმინა და განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის მოხსენება ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესახებ.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში, ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებაში, დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და საერთოდ, მთელი ყრილობის მასალებში თვალნათლივ გამოჩნდა ბრწყინვალე გამარჯვება კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა, ლენინიზმის ძლევამოსილი იდეებისა, რომლებიც ყოველდღიურად ხორცს ისხამენ და რომელთაც შეუჩერებლად მიჰყავთ წინ ჩვენი ქვეყანა დიადი კომუნისტური მომავლისაკენ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და მისალმებით მიმართეს ყრილობას დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიების დელეგაციებმა.

ყრილობამ სავსებით მოიწონა მშვიდობის მოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა.

ყრილობამ აღნიშნა, რომ სწორი და დროულია ღონისძიებები, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

შეაჯამა რა იმ უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის შედეგები, რომელიც პარტიამ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში გასწია, ყრილობამ მთავარი ყურადღება მიაქცია იმ ამოცანებს, რომლებიც მომავალში უნდა გადაიჭრას.

ყრილობამ აღნიშნა კომუნისტური პარტიის მუშაობის როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცება, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცება. კომუნისტურმა პარტიამ ახალი დიდი წარმატებები მოიპოვა იმის მეოხებით, რომ მთელ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, მტკიცედ და თანმიმდევრულად ანხორციელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისა და საერთაშორისო სოციალისტური ბანაკის განმტკიცების კურსს.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის წარმატებას საფუძვლად ედო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი გამოყენება, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების მტკიცედ დაცვა.

ყრილობამ ერთსულოვნად, დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიიღო გადაწყვეტილება: მთლიანად და სავსებით მოწონებული იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, მოწონებული იქნას ცენტრალური კომიტეტის წინადადებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს მისი საანგარიშო მოხსენება.

---

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა პლენუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი** შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის წევრები: ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი. მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი.

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები: ამხანაგები გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი.

პლენუმმა აირჩია **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო** შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, დ. ტ· შეპილოვი.

პლენუმმა **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის** თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ნ. მ. შვერნიკი, პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ—ამხ. პ. ტ. კომაროვი.

---

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. პ. გ. მოსკატოვი.

# მე ვხედავ ლამაზ ქვეყანას

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ცნობილ ინდოელ მწერალ კრიშან ჩანდრს გულთბილი, მეგობრული საუბარი ჰქონდა ქართული სიტყვის გამოჩენილ ოსტატებთან.

— ინდოეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა მრავალ საუკუნეს ითვლის, — მოუთხრო სტუმარს მწერალმა გ. ქიქოძემ. — ამ ურთიერთობის შედეგია ბუდას ცხოვრების აღმწერი ინდური წიგნის „სიბრძნე ბალავარისა“-ს ზეპირსიტყვიერად გავრცელება ჯერ კიდევ მე-7 საუკუნის საქართველოში. მთელ მსოფლიოში ცნობილი ინდური იგავ-არაკების კრებულს „პანჩატატრას“ კი ქართველები დაახლოებით ათი საუკუნის წინათ იცნობდნენ „ქილილა და დამანას“ სახელწოდებით.

კრიშან ჩანდერ

კრიშან ჩანდრი ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ახალი ცნობებით ამდიდრებს. როგორც მან განაცხადა, მრავალ უძველეს ინდურ ანდაზებში იხსენიება საქართველო და გადმოცემაც კი არსებობს თითქოს ინდოელები უწინ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენო.

— დამახასიათებელია, რომ ინდოეთში ცნებები „ლამაზი“ და „ქართველი“ სინონიმებად ითვლებოდა. ინდოელს თუ სურდა რაიმე შეექო ან მაღალი შეფასება მიეცა, ის ამბობდა: „ეს ქართველიაო“, — განაცხადა ჩანდრმა.

— როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები? — შეეკითხნენ ჩანდრს ქართველი მწერლები.

— ინდოეთში უკვე სამი თვეა არ ვყოფილვარ. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიყავი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მინდა დავწერო წიგნი ახალი ჩინეთის შესახებ.

თბილისის კინოსტუდიაში, ქართველ კინემატოგრაფისტებთან შეხვედრისას, ჩანდრმა აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია მთელი თავისი ენერგია საყვარელ საქმეს — მწერლობას მოანდომოს:

— საავტორო ჰონორარი ჩვენში მეტისმეტად მცირეა, ვინაიდან წიგნების გამოცემის ტირაჟი იშვიათად თუ აღემატება სამ ათასს. ჩვენი მოსახლეობის 75% ხომ წერა-კითხვის უცოდინარია!

ჩანდრმა აღნიშნა, რომ ის კინოსცენარებზეც მუშაობს. დღემდე 20-მდე სცენარი აქვს დაწერილი. გარდა ამისა, ჩანდრმა თითონ დადგა ორი ფილმი. ერთ-ერთი მათგანი ინდოეთში ფეოდალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, მეორე კი ლ. ტოლსტოის რომანის „აღდგომის“ მიხედვით იყო გადაღებული. ეს ფილმები ეკრანზე არ გამოსულა, ვინაიდან მაშინ ინდოეთში ჯერ კიდევ ინგლისელები ბატონობდნენ.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში კრიშან ჩანდრის გამოჩენას აღფრთოვანებით ხვდებიან. ინდოელი სტუმარი შეჰყავთ ისტორიის, გეოგრაფიის, ნორჩ ნატურალისტთა და სხვა კაბინეტებში. სამკითხველოში ჩანდრი დაინტერესდა ლიტერატურით, რომელსაც ბავშვები კითხულობდნენ. ეს იყო ყაზბეგის მოთხრობები, პუშკინის ლექსები, სულ ბოლოს პატარა მაგიდასთან მჯდომ გოგონას კი კრიშან ჩანდრის ახლახან ქართულ ენაზე გამოსული მოთხრობების კრებული ედო წინ.

— მე ძალიან მომწონს თქვენი მოთხრობა სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირულ ჩინელ გოგონებზე... ხომ გახსოვთ?! — ეუბნება მოღიმარ ავტორს პატარა მკითხველი.

ჩანდრი შეჰყავთ თოჯინების თეატრში.

ქართველ დედოფალებთან ჩანდრს მეორე შეხვედრა ჰქონდა თბილისის სათამაშოების მუზეუმში. ჩანდრი თოჯინების მოყვარული ყოფილა და ამ მუზეუმში წასვლა თვითონ ითხოვა.

ინდოელ სტუმარს ქართულ თოჯინათა ნიმუშები გააცნო მუზეუმის დირექტორმა თ. თუმანიშვილმა. კრიშან ჩანდრს განსაკუთრებით მოეწონა თოჯინა „მწყემსი გურამი“, რომელმაც თოჯინების საკავშირო კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა.

კრიშან ჩანდრი დიდხანს იდგა მეჩონგურე თოჯინების ანსამბლის წინ... ქართულ კაბებში კოპწიად გამოწყობილმა თოჯინებმა თითებით ჩონგურის სიმებს ჩამოკრეს და „სულიკოს“ მღერა დაიწყეს. ინდოელი სტუმარი გატაცებით უსმენდა მშვენიერ მელოდიას, მაგრამ აი დამთავრდა სიმღერა, თოჯინები სკამებიდან წამოდგნენ და თავის დაკვრით მადლობა გადაიხადეს. ჩანდრს მაშინ გაახსენდა თავისი მოვალეობა და ტაშით დააჯილდოვა უცნაური მსახიობები.

ინდოელი სტუმარი თხოულობს შთაბეჭდილებათა წიგნს და წერს:

„უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ შევხვდი დედოფალებს საქართველოს ამ შესანიშნავ დედოფალთა მუზეუმში. ეს სათამაშოები შესაძლებლობას იძლევიან წარმოვიდგინოთ ქართველი ხალხის ყოფაცხოვრება და ის გაზაფხული, რომელსაც ახლა იგი განიცდის... კრიშან ჩანდრი“.



სანამ თარჯიმანი ჩანაწერს გადათარგმნიდა, ინდოელი სტუმარი ისევ დაუბრუნდა თოჯინებს და დიდხანს გატაცებით უცქეროდა მათ.

მუზეუმის სახელით ამხ. თ. თუმანიშვილმა ჩანდრს საჩუქრად გადასცა მშვენიერი დედოფალა „ქეთევანი“, რითაც სტუმარი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქართველ ბავშვებს გამოვუგზავნი ინდურ თოჯინებს. სხვადასხვა ქვეყნების თოჯინების მეგობრობა - ხელს შეუწყობს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, — იხუმრა ჩანდრმა.

* * *

კრიშან ჩანდრი იყო „თბილისის ზღვაზე“. დაათვალიერა სამგორის სარწყავი სისტემა. გაემგზავრა ქართველი მეტალურგების ქალაქ რუსთავში. ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში გაეცნო მილსაგლინავ, საკოქსო და სხვა საამქროებს. მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ქართველ მეტალურგებთან. ინდოელ სტუმარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსთავის მშვენიერმა შენობებმა, ქუჩებმა, ბაღებმა და ხეივნებმა, მეტალურგების ახლად აგებულმა კულტურის სასახლემ. კრიშან ჩანდრი შინ ეწვია მილსაგლინავი საამქროს მუშას ნ. გიკაშვილს, სადაც გულთბილად, ჩვეული სტუმართმოყვარეობით დახვდნენ.

საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში ინდოელმა სტუმარმა დაათვალიერა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — სვეტიცხოვლის ტაძარი. ამის შემდეგ იგი გორს ეწვია.

* * *

რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზი სავსეა ხალხით. დედაქალაქის მშრომელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ კრიშან ჩანდრთან შესახვედრად.

ტრიბუნიდან საშუალო ტანის 40-45 წლის ინდოელი, მოღიმარი სახით მიმართავს დამსწრეთ მშობლიურ ენაზე, რომელიც იქვე ითარგმნება.

— მე ჩამოვედი აქ და მომეცა საშუალება მენახა ყველაფერი, რაც მსურდა, — განაგრძო ჩანდრმა, — ეს ჩემი დიდი ხნის ოცნების ასრულებაა.

კრიშან ჩანდრი ლაპარაკობს საბჭოთა ქვეყნის, გმირი საბჭოთა ხალხის უდიდეს გამარჯვებებზე.

— აიღეთ, მაგალითად, საქართველო. ქართული კულტურა ძალიან ძველია. თქვენი ხალხური სიმღერები მთელ მსოფლიოშია განთქმული. საყოველთაოდაა ცნობილი საქართველოს ქალების, ბუნების სილამაზე... მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სამშობლო ასეთი მშვენიერია, მას მრავალი საუკუნის მანძილზე სასტიკი ჩაგვრის გადატანა მოუხდა. როგორადაც ლამაზი არ უნდა იყოს ქვეყანა, თავისუფლების გარეშე ის ვერ იქნება ჭეშმარიტად მშვენიერი. ნამდვილი სილამაზე თავისუფლებაა. დღეს საბჭოთა საქართველო თავისუფალია... მე დღეს ვხედავ თქვენი ქვეყნის გაზაფხულს...

* * *

საღამოს მეორე ნაწილში კონცერტი გაიმართა. რესპუბლიკის სახალხო არტისტის მ. ნაკაშიძის და მომღერალ თ. მუშკუდიანის მშვენიერმა ხმამ ქართული ხალხური სიმღერების და ცეკვების ანსამბლმა ინდოელ სტუმარზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ჩანდრის მოწონება დაიმსახურა იმ ფაქტმა, რომ შესრულებული იყო რუსული, უკრაინული, ინდური, ინდონეზიური სიმღერები.

...მაგრამ, აი სცენაზე გამოდის მსახიობთა ჯგუფი სერგო ზაქარიაძის მეთაურობით. მუსიკოსები სცენის სიღრმეში იკავებენ ადგილებს, მათ წინ ორი მომღერალი ქალ-ვაჟი ჯდება, სულ წინ კი სერგო ზაქარიაძე.

— მოისმინეთ კრიშან ჩანდრის მოთხრობა „მთვარიან ღამეს“.

დამსწრენი იქვე, ლოჟაში მჯდომ ჩანდრს უყურებენ... ინდოელ სტუმარს უთარგმნეს, რომ შესრულებული იქნება მისი მოთხრობა.

ამასობაში სცენიდან ფორტეპიანოს მელოდიური აკორდები გაისმა, მას აჰყვა ჩელო, შემდეგ უნაზესი არფა... მომღერალი ქალ-ვაჟი მომხიბლავი ხმით იმეორებენ მელოდიას და ამ ფონზე ზაქარიაძემ დაიწყო მოთხრობის კითხვა.

ეს იყო ნამდვილი შეჯიბრება, შეჯიბრება ავტორსა და მსახიობს შორის, ორი სხვადასხვა ხალხის ცხოვრების, სიყვარულის, უდიდესი გრძნობების, ბედნიერებისადმი მისწრაფების, ბუნების, გაზაფხულის შეჯიბრება.

მაგრამ აი ახლა, ამ წამს მსახიობმა დაიპყრო ყველა, თვით ავტორიც, რომელიც უდიდესი დაძაბულობით უსმენს მსახიობს. მას სცენისაგან თვალი ვერ მოუწყვეტია.

ს. ზაქარიაძემ დაამთავრა კითხვა, მაყურებელმა ერთის წამით დაივიწყა ავტორი და მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მსახიობი, მაგრამ ეს სულ ერთ წამს გაგრძელდა, ხალხით გაჭედილი დარბაზი თითქოს ბრძანებას დაემორჩილაო, ერთიანად შემობრუნდა ინდოელ მწერლისაკენ და მადლიერების მხურვალე ტაში უძღვნა მას.

* * *

მეორე დღეს მის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე ჩანდრმა თქვა:

— გუშინ მე მოვისმინე ინდონეზიური, რუსული, უკრაინული და ქართული სიმღერები. მოვისმინე, აგრეთვე, ერთი ინდოელი მწერლის მოთხრობა. ვუსმენდი ამ მოთხრობას და ვფიქრობდი: ვის ეკუთვნის ის? სიტყვები ჩემი იყო, სული კი მსახიობმა შთაბერა მას, მუსიკა ქართველმა კომპოზიტორმა დასწერა, ქართველმა მომღერლებმა და დამკვრელებმა მშვენიერი მუსიკალური ფონი შექმნეს... და მე მივხვდი, რომ ის მე კი არ მეკუთვნის, არამედ თქვენც. ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო მენახა, თუ ერთი ერის მწერლის ნაწარმოები როგორ იქცევა სხვა ერების საკუთრებადაც. ეს ოცნება მე აქ, თქვენს ქალაქში ამიხდა.

ლ. თეთრაძე, ა. ავალიანი

კრიშან ჩანდრი მადლობას უხდის საქ სსრ სახალხო არტისტ ს. ზაქარიაძეს მისი მოთხრობის ოსტატურად წაკითხვის გამო.

# ღამღამობით ქანდაკებები ლაპარაკობენ



**კრიშან ჩანდრი**




ეს მოთხრობა ამ დილას დავწერე, რადგან ამბავი, რომელიც მას დაედო საფუძვლად, წუხელღამ მოხდა.

დიდხანს ვიჯექი გუშინ საღამოს საწერ მაგიდასთან, ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაფრის დაწერა ვერ შევძელი. ძალიან დავიღალე და გასეირნება გადავწყვიტე. დიდხანს ვიხეტიალე ქუჩაში მოთხრობის თემის საძებნელად და ბოლოს ზღვის ნაპირას გავედი. უკვე გვიან იყო. სანაპიროზე საოცარი სიჩუმე იდგა. შორს კი, იქ, სადაც ძლივს სწვდებოდა თვალი, ზღვა ცას ერწყმოდა. ტალღები ზანტად ემხეფებოდნენ ნაპირს და ყრუ ბუტბუტით იხევდნენ უკან. უთვალავი საიდუმლო ნაკვალევით დაღარული ზღვისპირა ქვიშა ფეხქვეშ ჭრაჭუნობდა და ზღვის მკერდიდან დროდადრო თითქოს ჩუმი კვნესა ისმოდა. მთელი სანაპირო სავსე იყო რაღაც უცნაური, საოცარი ფორმის აჩრდილებით, რომლებიც ისე დაძრწოდნენ და ბორგავდნენ, თითქოს არნახულ ფერხულს უვლიანო.

შეუსვენებლად მივდიოდი წინ ამ საოცარი ღამის მაგიური ძალით შეპყრობილი.

უეცრად კაცის ხმა შემომესმა:

— ტილაკ ბჰაგვან! [1]

მე შევჩერდი და უკან მივიხედე. ჩემს თვალწინ ტილაკის ქანდაკება აღმართულიყო. იგი ამაყად თავაწეული იდგა და მედიდურად გასცქეროდა სივრცეს. ქანდაკების ფეხებთან კი შავი აჩრდილი შევნიშნე. უცნობი ზურგით იდგა ჩემსკენ, მაგრამ მაინც გავარჩიე, რომ იგი შუა ტანისა და შუა ხნის კაცი უნდა ყოფილიყო. მისი პერანგი და დჰოტი [2] ნაფლეთებად იყო ქცეული. უცნობი ფეხშიშველი იყო და ფეხებზე ღრმა ჭრილობების ნაკვალევი ემჩნეოდა. მის დანახვაზე შევჩერდი და სწრაფად დავწექი ქვიშაზე. მინდოდა მომესმინა, რაზე დაუწყებდა ქანდაკებას ლაპარაკს. იმედი მქონდა, კიდევაც რომ დავენახე, იფიქრებდა, ვიღაცას სძინავს ზღვისპირად და ჩემი ლაპარაკი არ აინტერესებსო.

უცნობმა ისევ გაიმეორა:

— ტილაკ ბჰაგვან!

— რამე გაქვს სათქმელი? — იკითხა ქანდაკებამ.

თქვენ, ალბათ, ძალიან გაგაკვირვებთ ის ამბავი, რომ ქვის ქანდაკებებს ლაპარაკი შეუძლიათ. ალბათ ფიქრადაც არ მოგსვლიათ, რომ ყოველ ბნელ ღამეს, შუაღამის მდუმარებაში, ქანდაკებები ლაპარაკობენ. უფრო სწორად — თვითონ არ ლაპარაკობენ, მაგრამ, თუ რამეს შეეკითხებით, გიპასუხებენ. თქვენ ეს ამბავი უთუოდ პირველად გესმით, მაგრამ მე უკვე დიდი ხანია ვიცი, თუმცა თვითონ არასოდეს არ მილაპარაკნია ქანდაკებებთან.

ჯერ ერთი, იმდენი საქმე გაქვს კაცს, რომ დრო აღარ გრჩება, წახვიდე და ღამით ქანდაკებებს ელაპარაკო; მეორეც კიდევ — რაც ბომბეიში ქანდაკებაა, ყველა დიდი ადამიანის უკვდავსაყოფად არის აღმართული და უბრალო ადამიანს უნებურად ეუხერხულება ესოდენ პატივცემული და ღირსეული ადამიანების შეწუხება: არ იცი, მოეწონება თუ ეწყინება შენი სიტყვები. განთავისუფლებამდე კი ამას გარდა სხვა საფრთხეც გელოდა: საიდუმლო პოლიციას რომ დაენახე ტილაკის ქანდაკებასთან ჩობაასე, ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების მონაწილე ეგონებოდი და უთუოდ დაგაპატიმრებდა. თუმცა დაპატიმრების საფრთხე არც ახლაა შორს: „შეხედეთ, — იტყვის საიდუმლო პოლიცია, — ის კაცი თავის მთავრობას და თავის ბელადებს უჩივის ტილაკთანო“.

ამიტომ არის, რომ ვერ გაგვიბედია გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ქანდაკებებთან საუბარი, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ბევრი ბნელი ღამე გვინახავს.

წუხელის კი ჩემს ცხოვრებაში პირველად დავინახე გულადი ადამიანი, რომელიც ტილაკის ქანდაკებასთან საუბარს ბედავდა. მე თავაულებლად გავხოხდი ქვიშაზე, უფრო კარგად რომ მომესმინა მათი საუბარი. უცნობი ამბობდა:

— მე ატიმრაო კჰანდიკარი ვარ, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში დავიბადე.

— მეც იმ დროს დავიბადე, — თქვა ტილაკის ქანდაკებამ.

— მე პუნას ერთ-ერთ სკოლაში ვმასწავლებლობდი, — განაგრძობდა კჰანდიკარი, — და ძლიერ ვიყავი გატაცებული ისტორიით.

— მეც ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა ისტორია, — შენიშნა ტილაკმა.

— იმ ხანებში, როდესაც შენ გამოაცხადე, თავისუფლება ყოველი ადამიანის უფლებააო, მე მასწავლებელი ვიყავი. მე გადავიკითხე ყველა შენი წიგნი და მოვისმინე თითქმის ყველა შენი გამოსვლა. იმხანად ისტორიას ვასწავლიდი ბავშვებს და, რაც უფრო ღრმად ვუკვირდებოდი ისტორიას, მით უფრო მეტად მებადებოდა ახალი იდეები. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ რევოლუცია აუცილებელი იყო, და ახლებურად დავუწყე ბავშვებს ისტორიის სწავლება.

— მერე რა მოხდა? — იკითხა ტილაკმა.

— მერე სკოლიდან გამაგდეს. სკოლის მესვეურებმა თქვეს, შეთქმულების მონაწილეა, მატყუარა და მეამბოხე, ბავშვებს გონებას უწამლავს და გულში მთავრობისადმი ზიზღს უნერგავსო. ქუჩაში გამაგდეს და სამუდამოდ მომიკეტეს სკოლის კარები.

— მერე?

— მერე ისე გამიჭირდა, რომ ყოველგვარ სამუშაოზე თანახმა ვიყავი, მაგრამ ვერსად მოვეწყვე: მთავრობისა ყველას ისე ეშინოდა, რომ ვერავინ ბედავდა დახმარების გაწევას. და მაშინ მთელი ჩემი ძალ-ღონე ჩემი ქვეყნის განთავისუფლებას მივუძღვენი. იმხანად ჩემი ცოლი გოგონების სკოლაში ასწავლიდა. მაგრამ მისი შემოსავალი ჩვენს ორ ბავშვს არ ჰყოფნიდა და შვილები შიმშილისაგან დაგვეხოცა. უბედური დედა თავისი მშობლების სოფელში წავიდა, მაგრამ სოფლის მამასახლისმა დედმამის სახლიდან გამოაგდო იგი. უთხრა, თუ აქ დარჩები, შენი ქმრის დანაშაული მთელს სოფელს დაედება ბრალადო. სოფლიდან გამოძევებულს სხვა გზა აღარა ჰქონდა და იძულებული გახდა, თავისი სხეული გაეყიდა. მაგრამ შერცხვენა ვერ აიტანა და თავი დაიხრჩო. ციხიდან რომ გამოვედი, უკვე აღარავინ მყავდა სარჩენი. ოჯახზე ზრუნვა აღარ მჭირდებოდა და უფრო მეტი თავდადებით მოვკიდე საქმეს ხელი. როდესაც გლეხთა მოძრაობა დაიწყო მემამულეთა გადასახადის წინააღმდეგ, მე სოფელ ჩანდანდარის აჯანყებულ გლეხებს ჩავუდექი სათავეში. მოხელეები, პოლიცია და ჯარები ცდილობდნენ იძულებით გადაეხდევინებინათ გლეხებისათვის გადასახადი, მაგრამ მე მოვუწოდებდი არ დამორჩილებოდნენ, და ამისათვის სიკვდილი მომისაჯეს. შეხედე ჩემს ჭრილობებს, ჩემს სხეულზე ტყვიის ოც ნაკვალევს მაინც დაინახავ.

— ძალიან ვწუხვარ! — თქვა ტილაკმა. — მოგაგონე, რა გქვია?

— ატიმრაო კჰანდიკარი.

— არასოდეს არ გამიგონია შენი სახელი.

— ჩემი სახელი არავინ არ იცის, — თქვა კჰანდიკარმა, — არც ჩემი ცოლის სახელი იცის ვინმემ, რომელმაც მდინარეში დაიხრჩო თავი, და არც ჩემი შვილებისა, რომლებიც შიმშილით დაიხოცნენ. ისტორიამ არ შემოინახა ჩვენი სახელები. ისინი კონგრესის მატიანეში არ შეუტანიათ. ჩვენი სახელი არსად არ არის. პუნას ყველა მცხოვრებმა, ყველა გლეხმა და მთელმა ინდოეთმა დაგვივიწყა.

— ახლა რა გაწუხებს? — შეეკითხა ტილაკი.

— ახლა ერთი სურვილი მაქვს და ამიტომ მოვედი შენთან.

— რითი შემიძლია დაგეხმარო? — გაუკვირდა ტილაკს, — მე ხომ მხოლოდ ქანდაკება ვარ.

— მეც მინდა ქვის ქანდაკებად ვიქცე, ისეთივე ქანდაკებად, როგორიც შენა ხარ. სიკვდილის შემდეგ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ასე დავძრწივარ და ვერ მომისვენია. ახლა მინდა შენსავით ქანდაკებად ვიქცე. გაიწიე და ცოტაოდენი ადგილი დამითმე შენს გვერდით.

და მე დავინახე, როგორ დააპირა კჰანდიკარის აჩრდილმა ქანდაკების კვარცხლბეკზე ასვლა.

— რას შვრები?

— შენს გვერდით მინდა დავდგე და დავისვენო. დამითმე ცოტაოდენი ადგილი. სიცოცხლეში მე და შენ მხარდამხარ ვშრომობდით ჩვენი საერთო საქმისათვის, და ნუთუ სიკვდილის შემდეგ ჩვენი სულიერი სიახლოვე გაქრა?

— არა, ძმაო, საქმე სულიერი სიახლოვე არაა ეს ჩემი ადგილია, ჩემი კვარცხლბეკი.

— ჩემი ადგილი სადღაა? იგი არ არის არც ისტორიაში, არც ზღვის ნაპირას და არც ადამიანთა გულში. მაშ სად წავიდე?

— მუნიციპალიტეტში წადი და ისინი დაგიდგამენ ქანდაკებას.

— მაგრამ იქ ხალხია და ხალხს ხომ არ შეუძლია სულის დანახვა და მოსმენა?

— მაინცა სცადე... აჩქარდი, თორემ პოლიციელი გვიახლოვდება და, თუ მოგისწრო, შეიძლება დაგაპატიმროს. ოღონდ იმის თქმა არ დაგავიწყდეს მუნიციპალიტეტში, ქანდაკება სადმე სხვა ადგილას დაგიდგან, და არა აქ. ხომ ხედავ, ქვიშაზე ვდგევარ და თავზე ცა დამყურებს. მზე ისე შეუბრალებლად მაცხუნებს, რომ სიცხისაგან თავი მისკდება. ამას გარდა ჩემს ირგვლივ მთელი დღე ხალხი ხმაურობს და ამ უზრდელ ადამიანებს ერთი საძაგელი ჩვეულება აქვთ: საუზმის შემდეგ პალმის ფოთლებს მესვრიან, რომლითაც საჭმელი მოაქვთ შეხვეული. ითხოვე, სადმე კარგ ადგილას დაგიდგან ქანდაკება.

კჰანდიკარის აჩრდილი მაშინვე გაქრა პოლიციელის ხსენებით შეშინებული. მეც სწრაფად წამოვდექი და სირბილით გავეცალე იქაურობას. სადგურ ჩერჩგეიტს რომ მივაღწიე, სირბილს ვუკელი. ბოლოს სტადიონზე გავედი, ერთ ხეს მივეყრდენ და სული მოვითქვი. ამ დროს ვიღაცის ხმა შემომესმა:

— გოკჰალე მაჰარაჯ! [1]

მე შევკრთი და მივიხედე. ჩემს წინ გოპალ კრიშნა გოკჰალეს ქანდაკება იდგა და ვიღაც ევროპულად ჩაცმული კაცი მის კვარცხლბეკზე ადიოდა. როდესაც უცნობმა კვარცხლბეკის თავს მიაღწია, გოპალ კრიშნამ წყრომით წარმოთქვა:

— იცოდე, კიდევ ერთი ნაბიჯი თუ გადმოგიდგამს, პოლიციელს მოვუხმობ!

— რას, მერჩი? — გაუკვირდა უცნობს.

— მე ეროვნული ქანდაკება ვარ და შენ მე შეურაცხმყოფ.

— განა მე შენ შეურაცხგყოფ, მეგობარო? — თქვა ევროპულად ჩაცმულმა კაცმა, — მე მხოლოდ შენთან საუბარი მინდოდა.

— ჩემთან საუბარი თუ გსურს, მოშორებით დადექი და მორიდებით მელაპარაკე. ვინა ხარ?

— მე კარტარ სინგჰ სარაბჰა ვარ, — უპასუხა პიჯაკიანმა.

— შენ ალბათ სიკჰი [2] ან პენჯაბელი იქნები, რაკი ასე მოურიდებლად ბედავ ჩემთან მოსვლას! განა არ იცი, რომ მე საიმპერიო საბჭოს წევრი ვარ?

— იმ მთავრობის უმაღლესმა სასამართლომ, რომლის წევრიც შენ იყავი; მე ჩამოხრჩობა მომისაჯა, მეგობარო.

— ეგ ჩემი ბრალი არ არის. მთელი ჩემი ცხოვრება, რაც კი შემეძლო, ჩემს სამშობლოს ვემსახურებოდი.

— ყოფილხარ ოდესმე ციხეში? — იკითხა კარტარ სინგჰიპ.

— არა.

---

[1] ტილაკი — გამოჩენილი ინდოელი პოლიტიკური მოღვაწე, ერთ-ერთი დამაარსებელი ინდოეთის ნაციონალური კონგრესის პარტიისა.

[2] დჰოტი — მამაკაცის ქვედა ტანსაცმელი, წელზე შემოსახვევი.

[1] გოკჰალე მაჰარაჯ (გოპალ კრიშნა გოკჰალე) — ერთ-ერთი ლიდერი ინდოეთის ნაციონალური კონგრესის პარტიისა.

[2] სიკჰი — სიკჰების რელიგიური სექტის წევრი, ამ სექტის მიმდევარნი ინდუსებისა და მუსულმანების თანასწორობას ქადაგებდნენ და შეუპოვრობით გამოირჩეოდნენ.

— გამოგიცხადებია ოდესმე შიმშილობა?

— არა.

— უცემიხარ თუ არა ოდესმე ციხის ზედამხედველს ისე დაუნდობლად, რომ მთელი ზურგი ერთ მთლიან იარად გქცეოდა? გიგრძვნია ოდესმე მათრახის დამდაღველი შეხება? დაუტანჯიხარ ოდესმე საშინელ წყურვილს, ისეთ წყურვილს, როდესაც ადამიანს ენა პირიდან გადმოუვარდება, მაგრამ მაინც არავინ აწვდის წყალს?

— არა, ასეთი საშინელება არასოდეს არ განმიცდია, — უპასუხა გოკჰალემ.

— სამაგიეროდ მე გამოვცადე ეს სიამოვნება, — თქვა კარტარ სინგჰმა, პიჯაკი და პერანგი გაიხადა და მიწაზე დააგდო. მათრახს ძვლამდე გაეპო უბედურის ზურგი და საშინელი ჭრილობიდან სისხლი სდიოდა, კისერზე კი თოკის ნაგლეჯი ეკიდა.

— რა არის ეს? — იკითხა გოკჰალე მაჰარაჯმა.

— ეს სახრჩობელას მარყუჟია, რომელსაც დღემდე ვატარებ კისერზე. ამ თოკით ჩამომახრჩვეს. მაშინ მე ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე და ბედნიერი ვიყავი. კალკუტაში, მირუტჰსა და ამრიტსარში დავდიოდი და გარნიზონის ჯარისკაცებს ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოვუწოდებდი.

— მე არასოდეს არ ვყოფილვარ ტერორისტული ამბოხების მომხრე, — თქვა გოკჰალე მაჰარაჯმა. — მე ყოველთვის მშვიდობიანი შეთანხმების მომხრე ვიყავი.

მაგრამ კარტარ სინგჰი გოკჰალე მაჰარაჯის სიტყვებს ყურადღებას აღარ აქცევდა და განაგრძობდა:

— ჩვენმა აჯანყებამ ვერ გაიმარჯვა, რადგან კარგი ორგანიზაცია არა გვქონდა. თავისუფლების მოპოვების ცდა სისხლში ჩაიხრჩო.

— ჩემგან რა გინდა? — იკითხა გოკჰალემ.

— ცოტათი იქით გაიწი და პატარა ადგილი დამითმე შენს გვერდით. მეც ხომ მაქვს ამისი უფლება. თხუთმეტ აგვისტოს, როდესაც ხალხი ვარდის ყვავილწნულებით გამკობდა, მეც შენს ქანდაკებასთან ვიდექი, მაგრამ ჩემთვის არავის არ მოუძღვნია ყვავილები; არავის არ დაუნახავს სახრჩობელას თოკის ნაგლეჯი ჩემს კისერზე და სისხლიანი იარა ჩემს ზურგზე; არავის არ შეუმჩნევია ჩემი განაწამები სული, რომელიც წინანდებურად უმღეროდა თავისუფლებას, და არავის არ დაუფასებია ჩემი სიმამაცე, რომელიც მე თავისუფლებისათვის ბრძოლას მოვახმარე. ამ ბრძოლას შევწირე მე ჩემი ახალგაზრდობის მთელი გაზაფხული, მთელი ჩემი იმედები, მისწრაფებები და აღფრთოვანება. ხალხმა შენ შეგამკო ყვავილებით, ჩემთვის კი ერთი ყვავილიც არ გაიმეტა. მართალია, მე საიმპერიო საბჭოს კედლებში არ წარმომითქვამს სიტყვები სამშობლოს დასაცავად, მაგრამ მისი თავისუფლებისათვის სახრჩობელასაც არ შევუშინდი. მე გაფასებ შენ, თაყვანსა ვცემ შენს სიდიადეს, მაგრამ ძალიან დავიღალე და მინდა დავისვენო. მინდა ისეთივე ქვის ქანდაკებად ვიქცე, როგორიც შენა ხარ, დამითმე ცოტაოდენი ადგილი შენს გვერდით.

— ძმაო, — უთხრა გოკჰალე მაჰარაჯმა, — არ შემიძლია შენთვის ადგილის დათმობა, რადგან მე კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრე ვიყავი, შენ კი ტერორისტული ამბოხებისაკენ მოუწოდებდი ხალხს. ჩვენ სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს. მაგრამ მაინც სცადე და მიმართე მუნიციპალიტეტს, იქნებ შეგისრულონ თხოვნა. ოღონდ შენი ქანდაკება ჩემს ახლოს არ დაადგმევინო. ძალიან ცუდი ადგილია. ხომ ხედავ ამ ხეს, ჩემს გვერდით რომ დგას. ამ ხის ბინადარი ჩიტები მუდამ თავზე მასხდებიან. ჩვეულებრივ დღეებში არავინ არ მაქცევს ყურადღებას, მაგრამ როდესაც სტადიონზე შეჯიბრება იმართება, რომელშიაც სპორტსმენი ქალები მონაწილეობენ, ჩემს კვარცხლბეკზე სპორტსმენი ქალების შიშველი ფეხების დანახვას მოწადინებული იმდენი სპორტის მოყვარული იყრის თავს, რომ ძლივს ვახერხებ წონასწორობის შენარჩუნებას, რომ არ ჩამოვვარდე; ღამღამობით კი შეყვარებული წყვილები სხდებიან ამ სკამებზე და იძულებული ვარ მათ ხვევნა-კოცნას ვუცქირო.



გოკჰალემ მეტის თქმა ველარ მოასწრო, რადგან ამ დროს პოლიციელი გამოჩნდა. პოლიციელის დანახვაზე კარტარ სინგჰი გაიქცა. მე სირბილით მივყევი მას, მაგრამ სინგჰი ისე ჩქარა გარბოდა რომ ვერ დავეწიე. მალე იგი სულ მიეფარა თვალს.

დიდხანს ვირბინე. ბოლოს, სულ რომ გამომელია ღონე, შევჩერდი და მივიხედ-მოვიხედე. მშვენიერ დიდ პარკში ვიყავი, სადაც უამრავ პაწია ანგელოზების ქანდაკებებს შორის დადა ბჰაი ტორუს[1]! დიდებული ქანდაკება აღმართულიყო, რომელიც მამობრივი სიყვარულით დასცქეროდა მთელ ინდოეთს. დიდხანს შევცქეროდი ინდოეთის კეთილი მამის ქანდაკებას. უეცრად ვიღაცის ხმა შემომესმა:

— დადა ბჰაი!

შორიახლოს მაღალი შავგვრემანი მამაკაცი დავინახე, მას თეთრი პერანგი და ხაკისფერი შარვალი ეცვა. უცნობს თვალები დახუჭული ჰქონდა და ტუჩები მაგრად მოეკუმა, შუბლზე კი მუქი ჭრილობა უკიაფებდა, რომლიდანაც სისხლი სდიოდა.

— დადა ბჰაი!

ისევ შემომესმა იგივე ხმა. ალბათ ეს კაცი ლაპარაკობდა, მაგრამ საოცარი იყო, როგორ ახერხებდა ტუჩებმოკუმული ლაპარაკს.

— რა იყო, შვილო? — იკითხა ქანდაკებამ.

— დადა ბჰაი, — მიმართა მას უცნობმა, — მე ფაბრიკის მუშა ვარ.

— ბომბეის რომელ ფაბრიკაში მუშაობდი?

— არა, დადა, მე ამლეზში ვმუშაობდი. პატელი მქვია, ცოლ-შვილისა და მოხუცებული დედ-მამის პატრონი ვარ. ჩემს გარდა მათ არავინა ჰყავთ მარჩენალი, მაგრამ ჩემი პატარა ხელფასით ოჯახის რჩენა არა ხერხდება, ჩვენო პატრონო.

— ჩემთან რისთვის მოხვედი? ხელფასის მომატებას ითხოვ? — შეეკითხა მას დადუ.

— დიახ, ბატონო. ყველაფერი გაძვირდა, ძალიან გაძნელდა ცხოვრება.

— რატომ შენი ფაბრიკის პატრონს არა თხოვ ხელფასის მომატებას?

— ბევრჯერ ვთხოვე, ბატონო, მაგრამ ყურიც არ მათხოვა.

— მაშინ მთავრობას მიმართე.

— არც მთავრობას სურს ჩემისთანების მოსმენა, ხომ ხედავ ტყვიის კვალს ჩემს შუბლზე? მე ამლეზის ფაბრიკაში ვმუშაობდი, სამი შვილის, ცოლისა და მოხუცებული დედ-მამის პატრონი ვარ. ჩემს გარდა არავინა ჰყავთ მარჩენალი და — მე კი მომკლეს. ახლა ჩემი ოჯახი შიმშილობს. მე ყოველთვის შემქონდა შესაწირი ნაციონალური კონგრესის ფონდში და მონაწილეობას ვიღებდი გაფიცვებში ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მოსაპოვებლად. მაგრამ თავისუფლება მოვიდა და პირველი ტყვია მე მესროლა შუბლში.

— ჩემგან რას ითხოვ? — იკითხა დადა ბჰაიმ.

— დიდს არაფერს. ოღონდ ცოტათი მიიწიე და შენს გვერდით დადგომის ნება მომეცი. მინდა მთელმა ქვეყანამ დაინახოს ჩემს შუბლზე დაჩნეული სისხლიანი კვალი. ნუთუ არასოდეს არ შეწყდება, დადა, სისხლი ჩემი ჭრილობიდან? ნუთუ არავინ არ მისცემს ლუკმას ჩემს მოხუცებულ მამას, არავინ არ იზრუნებს ჩემს ცოლ-შვილზე და არავინ დაეხმარება ჩემს დაუძლურებულ დედას? მიპასუხე, დადა ბჰაი! დადა ბჰაი, მიპასუხე-მეთქი! წინათ შენ ბენგალიის ვეფხვივით ბრდღვინავდი პარლამენტში და რატომ დუმხარ ახლა? რატომ? რატომ? მიპასუხე!

მე ველარ გავუძელი მათ საუბარს, ცრემლები მახრჩობდა. იქაურობას გავეცალე და წამოვედი, მაგრამ უკვე ველარ ვიკავებდი ცრემლს, რომელიც ღვარად მდიოდა სახეზე. ბამბუკით ნაგებ ფარდულს რომ მივაღწიე, სადაც პარლამენტის სხდომები იმართება, შევჩერდი. სესია უკვე დამთავრებულიყო, დეპუტატები წასულიყვნენ და მუშები ფარდულს იღებდნენ, ჩამოხსნილ ბამბუკებს სატვირთო მანქანაზე აწყობდნენ და მიჰქონდათ. ფარდულის გვერდით მაჰატმა განდის დიდი ქანდაკება იდგა.

ქანდაკებას მივუახლოვდი და ვუთხარი:

— შეხედე, ბაპუ,[2] შეხედე, როგორ ცხოვრობს შენი ქვეყანა. ო, ბაპუ, შენ ხომ უბრალო ხალხის ტანსაცმელი გეცვა!

მაგრამ ქანდაკებამ არაფერი მიპასუხა: შუაღამე გადასულიყო, განთიადი ახლოვდებოდა და დღისით, როგორც იცით, ქანდაკებები არ ლაპარაკობენ. ამ დროს ერთი მუშა მომიახლოვდა და მითხრა:

— განზე დადექი, ქანდაკება უნდა ავიღოთ.

— რატომ უნდა აიღოთ?

— ერთმა ფაბრიკანტმა იყიდა და დღეს მასთან უნდა გადავიტანოთ, — მომიგო მან.

თარგმანი **ლილი კალანდაძისა**

---

[1] დადა ბჰაი ტორუ (დადა ბჰაი ნაოროჯი) — ინდოელი ეკონომისტი და მწერალი, უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე, ერთ-ერთი დამაარსებელი ინდოეთის ნაციონალური კონგრესის პარტიისა.

[2] ბაპუ — მამა.

# საბჭოთა კავშირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ფანიანელი



№ 2 მაღაროს დათვალიერების შემდეგ ბრუნდებიან (მარცხნიდან მარჯვნივ): გუმბრინის სამმართველოს მთავარი ინჟინერი გ. კიკნაძე, მარკშეიდერი ს. ზარნაძე, დირექტორი დ. ჩიტაძე და მაღაროს უფროსი გ. მშვენიერაძე.

„გუმბრა — 29 კომლი. ქუთაისიდან ჩრდილო-დასავლეთით 8 ვერსი, მოსახლეობა ღარიბია". მხოლოდ ეს სიტყვები ეწერა მეფისდროინდელი ქუთაისის გუბერნიის ცნობარში. ფიქრად როგორ მოუვიდოდათ ამ ცნობარის შემდგენელ ჩინოვნიკებს, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პატარა სოფელ გუმბრის სახელი მთელს ქვეყანაზე გახდებოდა ცნობილი?

სახელი ამ სოფელს ადგილობრივი თიხის ბუდობმა გაუთქვა. მართალია აქაური მიწის ზოგიერთი საინტერესო თვისებები ძველთაგანვე იყო ცნობილი, მაგრამ ვინ იყო ამ საქმისათვის სერიოზული ყურადღების მიმქცევი?

გუმბრის გლეხებმა, უკეთ რომ ვთქვათ, გლეხის ქალებმა, იმთავითვე შენიშნეს, რომ მათი კარ-მიდამოს თიხა მშვენივრად ეწევა საპონის მაგიერობას, განსაკუთრებით შეუდარებელია თავის დაბანის დროს, — თმას ისე „რეცხდა", რომ აბრეშუმივით არბილებდა.

„თავსაბანი მიწა" გლეხებს ახლომახლო სოფლებშიც გაჰქონდათ, ხოლო წვრილმანით მოვაჭრენი მას ბაზრებშიც ჰყიდდნენ.

1916 წელს გეოლოგმა ა. ა. თვალჭრელიძემ, რომელიც კავკასიის თიხების შესწავლას აწარმოებდა, ყურადღება მიაქცია გუმბრის თიხას. ფაქტიურად მან პირველმა აღმოაჩინა ეს ძვირფასი ბუდობი და იშვიათ მიწას „გუმბრინი" დაარქვა. ა. თვალჭრელიძემ მაშინვე შეადგინა გუმბრინის წინასწარი აღწერილობა და ამის შესახებ რამდენიმე მოხსენება წარუდგინა კავკასიის მაშინდელ მმართველებს, მაგრამ ეს მოხსენებები მთავრობის კანცელარიებში იკარგებოდა. იმ დროს მეფის რუსეთი გერმანიასთან ომში იყო ჩაბმული და ქართველი მეცნიერის წინადადებებისათვის ვის ეცალა!

ამ საქმეს აკადემიკოსმა ა. თვალჭრელიძემ მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოჰკიდა ჯეროვნად ხელი. პროფესორ ფილატოვთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად, მან ყოველმხრივი კვლევითი მუშაობა ჩაატარა. ფიზიკურ-ქიმიურმა ანალიზმა ცხადჰყო ამ „თავსაბანი მიწის" მეტად საყურადღებო თვისებები და მისი გამოყენების ფართო ასპარეზი.

საბჭოთა მეცნიერები დაუყოვნებლივ შეუდგნენ სოფელ გუმბრის თიხის უფრო ღრმა შესწავლას კვლევითს ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში. როცა საბოლოოდ გამოირკვა მისი იშვიათი თვისებები, შემდგომი საანალიზო მუშაობა გადატანილ იქნა უშუალოდ ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებში — ბაქოსა და ბათუმში.

თიხა „ფლორიდინი", რომელსაც ჩვენ მანამდე ნავთის გასაწმენდად ვხმარობდით და ამერიკიდან (ფლორიდის შტატიდან) შემოგვქონდა, თავისი თვისებებით გუმბრინზე გაცილებით დაბლა იდგა. თანაც თითო ტონა „ფლორიდინში" ამერიკული ფირმები ოქროთი თხუთმეტ თუმანს გვახდევინებდნენ. სოფელ გუმბრაში კი იმავე რაოდენობის მაღალხარისხოვანი თიხის მოპოვება სულ რამდენიმე მანეთი ჯდებოდა.

გეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა ამ სოფელში ფართო სამთომადნო წარმოების წამოწყების რენტაბელობა, რადგან ძვირფასი თიხის მარაგი მრავალმილიონ ტონას შეადგენდა.

1930 წელს სოფელ გუმბრაში აღიმართა ქარხნის ხუთსართულიანი შენობა, მიდამოები დაისერა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზებით. მოვიდნენ მუშები, ოსტატები, სპეციალისტები და დაიწყო გუმბრინის ბუდობის სამრეწველო ექსპლოატაცია. ამავე წლიდან საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობამ თავი დააღწია ამერიკული იმპორტისაგან დამოკიდებულებას.

გეოლოგები გუმბრინს მიაკუთვნებენ შორეულ წარსულში, ე. წ. ზედაცარცის ხანაში დანალექ ფენას, რომელიც ოდესღაც ვულკანური ფერფლიდან შესდგა, ამას მოწმობს ის, რომ ფენაში ბლომად მოიპოვება ვულკანური წარმოშობის ნიჟარები „Inoceramus". თავისი თვისებებით გუმბრინი იშვიათი გამათეთრებელი თიხაა. იგი შეუდარებელია ნავთის პროდუქტების გაწმენდის საქმეში. იდეალურად ასუფთავებს ნავთს ყოველგვარი ნალექისაგან. ამიტომაც საქართველოს გუმბრინის მთავარი მომხმარებელი აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ-კავკასიის ნავთის სარეწაოებია.

უკანასკნელ დროს გამოირკვა, რომ გუმბრინის თიხას კიდევ სხვა მრავალი გამოყენება აქვს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მას რეაქტიული (სარაკეტო) ძრავების ნაწილების გასუფთავებაში.

ჩვენს ქვეყანაში ცნობილია გამათეთრებელი თიხების სხვა ბუდობებიც, როგორიცაა, ჩრდილო კავკასიაში ქალაქ ნალჩიკის მახლობლად თიხა „ნალჩიკიტი", შუა აზიაში — აგლანის თიხა, აზერბაიჯანის თიხა „ხანლარი", ჩვენი ქართული „ასკანიტი", მთელი რიგი თიხები შორეულ აღმოსავლეთში და სხვა. მაგრამ საქმე ის არი, რომ ყველა ეს თიხა ბუდობიდან ამოღების შემდეგ კიდევ მოითხოვს ხელოვნურ დამუშავებას (გოგირდის სიმჟავით აქტივიზაციას), რაც მეტად აძვირებს მის თვითღირებულებას, ხოლო ნავთის პროდუქტების გაწმენდაში სრულყოფილ ეფექტიანობას მაინც ვერ იძლევა.

— პირველ ხანებში თიხის მოპოვებას ღია მეთოდებით — კარიერების გათხრის საშუალებით ვაწარმოებდით, — ამბობს დავით ჩიტაძე, რომელიც უკვე 16 წელიწადია გუმბრინის მრეწველობის დირექტორად მუშაობს. — წლიურად 3000-დან 5000 ტონამდე ვიღებდით. ეს, რა თქმა უნდა, ნაკლებად აკმაყოფილებდა ჩვენი სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამიტომ 1940 წელს დავიწყეთ მაღაროების გათხრა და მიწისქვეშა სამუშაოებზე გადავედით. მას აქეთ გუმბრინის მოპოვება განუწყვეტლივ იზრდებოდა, და ახლა წელიწადში ჩვენს სამშობლოს უკვე 180.000 ტონას ვაძლევთ.

დღელამე არ წყდება ელექტრომავლების მოძრაობა სამი მაღაროდან. ვიწრო ლიანდაგით მოტანილ გუმბრინს მძლავრი მექანიზმები ტვირთავენ რკინიგზის განიერ ლიანდაგზე ჩამომდგარ ვაგონებში, რომლებიც მიაქროლებენ ძვირფას თიხას შორეულ სარეწაოებისკენ: აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის, შუა აზიის, ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთისკენ. ჩვენს გუმბრინს ხმარობენ სახალხო დემოკრატიის ზოგიერთი ქვეყნებიც.

გუმბრინის წარმოების მუშა-ოსტატებმა თავისი დაუცხრომელი შრომით უსათუოდ დაიმსახურეს მაღალი ყურადღება. თავისი საქმის ნამდვილი ენთუზიასტია ბურღვა-აფეთქების უფროსი, პეტრე გურეშიძე, მისი სტაჟი 27 წელიწადია, იგი აქ წერაქვის პირველი დაკვრიდან მუშაობს. მოწინავეთა რიგში არიან კომუნისტები — ცვლის უფროსები თ. გუბელაძე, მ. გურეშიძე და ი. სინაურიძე, მბურღავები შ. ფანცხავა და მ. ზვიადაძე, გამმაგრებლები ნ. იაცკოვი და ს. გოგიძე, მაღაროს უფროსები გ. გოცირიძე და მ. ჩირგაძე, მთავარი ინჟინერი გივი კიკნაძე და სხვა მრავალი, ყველას ვინ მოსთვლის.

დიდი და წარმტაცი გეგმები აქვს დასახული საქართველოს გუმბრინის მრეწველობას მეექვსე ხუთწლედში. სულ ახლო დროში მთელი მიდამო დაისერება საჰაერო-საბაგირო გზებით, რაც მოახდენს ცალკე მაღაროებიდან თიხის ზიდვის ცენტრალიზაციას. მაქსიმალურად მექანიზებული იქნება მაღაროებში ნგრევისა და ელექტრომავლებზე დატვირთვის სამუშაოები. გაფართოვდება და ახალი ტექნიკით აღიჭურვება საშრობ-საფქვავი ქარხანა, იმ ანგარიშით, რომ მისმა წარმადობამ წელიწადში 100.000 ტონას მიაღწიოს.

ელმავლებს გამოაქვთ გუმბრინით დატვირთული ვაგონები.



## კლიმენტი გოგიავა

იქ, სადაც მდინარე კელასური შავ ზღვას უერთდება, ერთი გორაკია აზიდული. მის გაშლილ კალთებზე ლამაზად შეფენილა მინით გადახურული დაბალი, თეთრი შენობები — ეს „გლავპარფიუმერის" სოხუმის ზონალური საცდელი სადგურის სათბურებია, რომლებშიც ხარობენ გერანის, ფართო ყვავილიანი ჟასმინის, ყაზანლიყის ვარდის და პაჩულის ნერგები.

გარეთ მზე ბრიალებს. თბილი ნიავი ნელა არხევს ვარდების ბუჩქებს. გრძელი კვლები გადაბარულია. თოფის წამალივით შავი, ფხვიერი მიწა მოელის სათუთად გახარებულ ნერგებს.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს მცენარეები ქართულ მიწაზე დამკვიდრდნენ. ჩინეთის, ინდოეთის, აფრიკისა და ბულგარეთის მინდვრებიდან ჩამოიტანეს მათი პირველ ნერგები. შემდეგ ეს უცხო სტუმრები მეცნიერებმა ისე შეაგუეს ჩვენს მიწასა და მზეს, რომ ახლა ათასფრად ქარგავენ ისედაც მოქარგულ საქართველოს მინდვრებს.

ზონალური სადგურის გაშლილ ეზოსა, სათბურებსა და ლაბორატორიებში საითკენაც არ გაიხედავთ, ყველგან ფერად-ფერადი ყვავილები და უცნაურფოთლიანი ნერგები შემოგცინით, ყველგან ნაზი სურნელია მიმოფრქვეული და თქვენც სიამოვნებით სუნთქავთ!

ზონალური სადგურის დირექტორის ევგენი ჩიქვანაიას კაბინეტის ერთი კედელი საქართველოს რუკას უჭირავს, რომელზეც მხოლოდ ყვავილებია აღნიშნული და საქართველოს ეს რუკა ეთერზეთოვანი მცენარეების ერთ დიდ თაიგულსა ჰგავს.

ჩვენ ზონალურ სადგურში შუა ზაფხულშიც ვიყავით, მაშინ ჩიქვანაია ჩინეთში იყო და მისმა მოადგილემ ილია თავბერიძემ, ამ დაუზარელმა და გამოცდილმა აგრონომმა, სიამოვნებით შემოგვატარა საცდელი მინდვრები, ვიყავით აფხაზეთის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებშიც და ყველგან, სიმინდის გაშლილ ყანებისა, ჩაის ბუჩქებისა და ციტრუსების ბაღების გვერდით, მწვანედ იყო გადაბიბინებული გერანის პლანტაციები. მსოფლიოში არსად არ ძოჰყავთ ამ ძვირფასი მცენარის ორი მოსავალი. ის ყველგან მრავალწლიანია და ერთ მოსავალს იძლევა, ჩვენმა მეცნიერებმა კი ვარდის გერანიც გარდაქმნეს. მათი ნერგები აპრილში გამოაქვთ სათბურებიდან და რგავენ მინდორში, გულმოდგინედ უვლიან და აგვისტომდე მცენარე ტანს ისე აიყრის, ადამიანს წელამდე მისწვდება. აი მაშინ ჰრიან მას, ეს გადანაჭერი ისევ დაბუჩქდება ხოლმე და ოქტომბერში მეორე მოსავალს იძლევა.

ჩვენი კოლმეურნენი ისე დაეუფლნენ ეთერზეთოვანი მცენარეების მოყვანის საქმეს, რომ ის მათი სიმდიდრის ერთ-ერთ წყაროდ გადაიქცა. აი, იასონ ქაქუჩაია, სუნამოს მოყვარული, მის ცხვირსახოცს ყოველთვის ნაზი სურნელი ასდის. იასონს წინათ არასოდეს არ უფიქრია, თუ როგორ მზადდებოდა იგი. ახლა კი მთელი საათობით გესაუბრებათ იმაზე, თუ რაში იყენებდნენ გერანს, ჟასმინს, ან ყაზანლიყის ვარდს. აქ გასაკვირი არაფერია! იასონი გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნიზმისაკენ" ბრიგადირია და კარგად იცის, გერანის უხვი მოსავლის მიღების მთელი „საიდუმლოება".

როგორ უხაროდა იასონ ქაქუჩაიას, როცა მის მიერ ერთ ჰექტარზე მოყვანილი ვარდის გერანი რვა სამტონიან ავტომობილისაგან შემდგარ ქარავანს ზეთსახდელ ქარხნისკენ მიჰქონდა.

ქაქუჩაიასთანა მარჯვე ადამიანებმა ასახელეს გულრიფშის რაიონი, რომელმაც შარშან ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის ჩაბარების გეგმა 208 პროცენტით შეასრულა. წელსაც გერანისა და რეჰანის უხვ მოსავალს მტკიცე საფუძველი აქვს ჩაყრილი. ამაზე მეტყველებენ კოლმეურნეობათა სათბურებში ლაღად გახარებული ნერგები.

ეთერზეთოვანი კულტურები კოლმეურნეობათა სიმდიდრის დაუშრეტელი წყაროა. ამის დასადასტურებლად ერთი მკაფიო მაგალითიც კმარა. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ამ ბოლო წლებში სერიოზულად მოჰკიდეს ხელი რეჰანისა და გერანის პლანტაციების გაშენებას და შარშან სამოცდაათ ჰექტარზე იმდენი ნედლეული მოიყვანეს, რომ ნამას ათას მანეთამდე წმინდა შემოსავალი მიიღეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ კობახია თავის მუშაობაზე გველაპარაკებოდა და თან ღიმილით შენიშნავდა, რომ როცა მოსავალს ვილებდით, ჩვენს სოფელში ნელსაცხებლის ისეთი სურნელი იდგა, თავი საპარფიუმერიო მაღაზიაში გეგონებოდათ.

სოხუმის საცდელ სადგურს თავისი სამეცნიერო მუშაობის ფართო ქსელი აქვს საქართველოს კოლმეურნეობებსა და სომხეთში. ამ მოძმე რესპუბლიკის ოქტომბრიანის რაიონში ამართულია ეთერზეთოვანი კულტურების კომბინატი. კომბინატის გვერდით ნაყოფიერად მუშაობს სოხუმის ზონალური სადგურის საყრდენი პუნქტი და მთელ თავის მეცნიერულ დაკვირვებებს, ახალ აგროლონისძიებებსა და გამოცდილებებს უშუალოდ ნერგავს კომბინატში და ამით ხელს უწყობს ეთერზეთოვანი კულტურების სომხეთში ფართოდ გავრცელებას. პუნქტის გამგე გრაჩიკ სიმონიანი დაინტერესებული კაცია, ხშირად ჩამოდის სოხუმში, ეცნობა ზონალური სადგურის მუშაკთა მიღწევებს, მიაქვს ნერგები და მოხერხებულად უგუებს სომხეთის ბუნებრივ პირობებს.

*
* *

სოხუმის ზონალური სადგურის მუშაკები ვარდის გერანის ფართოდ მოშენებით როდი დაკმაყოფილდნენ. მათ ხანგრძლივი მეცნიერული შრომითა და მრავალმხრივი ცდებით გამოიყვანეს ამ ძვირფასი მცენარის სრულიად ახალი ჯიში და მას ფრიადის აღმნიშვნელი ციფრი „№ 5" შეარქვეს.

— ჩვენი გამოყვანილი გერანი, — გვეუბნება სადგურის დირექტორი, — იმით არის საყურადღებო, რომ სამჯერ მეტად ძვირფას ზეთს იძლევა, ვიდრე დღემდე არსებული ჯიში.

ეს ახალი ჯიშის გერანი ისე ლაღად იზრდება, რომ მისი ერთი ბუჩქი 5-6 კილოგრამს იწონის.

ეს ახალი მცენარე კარგად გრძნობს თავს კოლხიდის ამოშრობილ მიწაზე. ფოთიდან არც ისე შორს, ზედ რიონის პირას ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობამ ხელი მოკიდა ამ გერანის გავრცელებას და მის ძვირფას ზეთსაც იქვე თავის ქარხანაში ხდის.

ამ მეურნეობაში საპატიო ადგილი უჭირავს პაჩულს. ეს შედარებით ახალი მცენარეა, რომლის ზეთი მეტად ძვირფასია და იხმარება საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ და მაღალხარისხოვანი საპნის დამამზადებელ მრეწველობაში. სუნამო, ოდეკოლონი, ძვირფასი პუდრი, ისე არ დამზადდება თუ პაჩულის ზეთით არ იქნა შეზავებული. პაჩულის ის თვისება აქვს, რომ ნივთიერებაში სურნელს ამაგრებს, ხანგრძლივსა ხდის მას. საქართველოს პირობებთან ამ მცენარის შესაგუებლად ცოტა შრომა როდი დახარჯეს საცდელი სადგურის მუშაკებმა და ახლა იმდენი ნერგი გამოჰყავთ, რომ ფოთს გარდა დასავლეთ საქართველოს ბევრ კოლმეურნეობაშიც გზავნიან.

თუ პაჩულის ზეთი ფოთლებში აქვს, სამაგიეროდ ვეტივერია ისლივით მაღალი იზრდება და ძვირფასი სურნელის დამამაგრებელ სითხეს მიწაში ღრმად ჩასულ ფესვებში ინახავს.

ლაბორატორიაში შევედით. ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ანტონინა პრავდოლუბოვა გვერდით უჯდა დიდ აპარატს, მაგიდაზე ვეტივერიის ფესვები ედო და ზეთსა ხდიდა. ოთახში რაღაც მძაფრი, მაგრამ სასიამოვნო სურნელი იდგა.

— ეჰ, — თავი გაიქნია მან, — ვეტივერია ჩვენთან კარგად ხარობს, მაგრამ მიწიდან კარგად ვერ ამოგვითხრია, არა გვაქვს შესაფერი გუთანი და ბევრი ფესვი იკარგება.

პრავდოლუბოვას მალე აუსრულდება სურვილი. ახლა ზონალურ სადგურში ხელი მოკიდეს ახალი კონსტრუქციის გუთნის შექმნას.

ვეტივერია საერთოდ თესლით მრავლდება, მაგრამ ჩვენს პირობებში მისი ნაყოფი დამწიფებას ვერ ასწრებს. ამიტომ თვითონ ბუჩქებს ნაწილებად ყოფენ და გაზაფხულზე რგავენ ხოლმე.

საქართველოს ეთერზეთოვან მცენარეთა ოჯახს მალე შეემატება ახალი ჯიშები. სოხუმის სადგური ჩინეთიდან ღებულობს ციტრონელის სორგოს, ჩინურ პაჩულსა და პიტნას. ამ სადგურის დირექტორმა ევგენი ჩიქვანაიამ ერთ წელიწადს დაჰყო შანხაისა და გუანდუნის პროვინციაში, სადაც იგი ციტრუსოვანი და ეთერზეთოვანი კულტურების მოვლა-გაშენებას გაეცნო და ჩინელ ამხანაგებს თავისი მდიდარი ცოდნაც გაუზიარა.

— გუანდუნის პროვინციის თვალუწვდენელი მინდვრები გადაჭრელებულია ეთერზეთოვანი მცენარეებით, — გვეუბნება ჩიქვანაია, — იქ გერანი მრავალწლიანი მცენარეა, დიდი და მაღალი იზრდება, ლიმონის, ევკალიპტებისა და პაჩულის ბუჩქებში ცხენოსანი კაცი დაიმალება. მე როდესაც ვესაუბრებოდი ქალაქ კანტონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეთერზეთოვანი კულტურების კათედრის გამგეს პროფ. ხუან ვენ-ტანს, ის დაინტერესდა ჩვენი ფართოყვავილოვანი ჟასმინით და გვთხოვა ნერგები. მართალია, იქ გერანის მთელი ტყეებია, მაგრამ ზეთის ხარისხი ჩვენსას ძლიერ ჩამოუვარდება. წელს გაზაფხულზე გვეწვევიან ჩინელი სწავლულები და საცდელ მინდვრებზე უშუალოდ გაეცნობიან ჩვენს მუშაობას.

...მეექვსე ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდება ეთერზეთოვანი კულტურები, კახეთისა და დასავლეთ საქართველოს მინდვრებს კიდევ უფრო წითლად მოქარგავენ ყაზანლიყის ვარდის და ჟასმინის სურნელოვანი ყვავილები.

საბჭოთა კავშირის რომელი ქალაქის საპარფიუმერიო მაღაზიაშიც არ უნდა შეხვიდეთ, თქვენ იქ ვერ ნახავთ ვერც ერთ სუნამოს, ძვირფას საპონს, ან პუდრს, რომ მასში არ ერიოს საქართველოში მოწეული გერანის, ყაზანლიყის ვარდის, პაჩულის, ან სხვა რომელიმე მცენარის ზეთი და სურნელი.

მალე საქართველო თავისი ნედლეულით თვითონ დაამზადებს ამ ძვირფას კოსმეტიკურ ნაწარმს. ნავთლუღში საპარფიუმერიო ქარხნის კორპუსების ხარაჩოებია აღმართული.

არც ისე დიდი დრო გავა, ეს ქარხანა აგუგუნდება და ჩვენი რესპუბლიკა გამოუშვებს თავისი ნედლეულისგან დამზადებულ პირველ პროდუქციას.

გერანის საცდელ ნაკვეთზე





სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა
(დაბადებიდან 60 წლისთავის გამო)

ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვერა მუხინა

საქართველოს სამხატვრო გალერეაში ამასწინათ მოწყობილი იყო ცნობილი საბჭოთა მოქანდაკე ქალის ვ. მუხინას ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მუხინას შემოქმედების დამახასიათებელი ნიმუშები.

გამოფენა, რომელმაც ერთ თვეს გასტანა მნახველთა საერთო მოწონება დაიმსახურა.



გლეხის ქალი (ბრინჯაო)



მშვიდობა (ბრინჯაო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიბერნეტიკა

ა. კარბელაშვილი

უკანასკნელ დროს დიდი ყურადღება მიიქცია მეცნიერების ახალმა მიმართულებამ — კიბერნეტიკამ. კიბერნეტიკა შეისწავლის ელექტრონული საანგარიშო მანქანების გამოყენების თეორიულ საფუძვლებს და, საერთოდ, ავტომატურ მოწყობილობებს, რომელთა დანიშნულებაა ადამიანის გონებრივი შრომის სხვადასხვა სახეების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

სიტყვა „კიბერნეტიკა“ წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან „კიბერნეს“, რაც „მესაჭეს“, ან „მოძრაობის მართვას“ ნიშნავს. ეს სიტყვა პირველად იხმარა საფრანგეთის სახელგანთქმულმა მათემატიკოსმა, ფიზიკოსმა და ფილოსოფოსმა ამპერმა. კიბერნეტიკა, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, ჩამოაყალიბა ცნობილმა ამერიკელმა მათემატიკოსმა ნორბერტ ვინერმა. იგი ამ საქმის დიდი ენთუზიასტი იყო.

ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე ეჭვის თვალით უყურებდა კიბერნეტიკას, უფრო მეტიც, ისინი კიბერნეტიკას ცრუმეცნიერებად სთვლიდნენ. ამის მიზეზი უსათუოდ ის იყო, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი — ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდი ხმაური ატყდა „მოაზროვნე“ მანქანებზე, რომლებსაც თითქოს მთლიანად უნდა შეეცვალათ ადამიანები. ასე, მაგალითად, ნიუ-იორკის ერთ-ერთ საერთაშორისო გამოფენაზე, რომლის ლოზუნგი იყო: „მსოფლიო ხვალ“, მყვირალა რეკლამას უქმნიდნენ „ელექტრონულ ადამიანს“. გამოფენაზე მნახველთა წინაშე გამოიყვანეს მექანიკური გოლიათი. ის დადიოდა, ლაპარაკობდა, შეკითხვებზე პასუხს იძლეოდა და პაპიროსსაც კი ეწეოდა. ასეთი რეკლამებით და მსგავსი „მოაზროვნე“ ავტომატების დამზადებით, უცხოეთის ინჟინრები თავიანთ მეპატრონეებს იცავდნენ, აშინებდნენ რა უბრალო ადამიანებს, თითქოს ქარხნებსა და ფაბრიკებში მათ მთლიანად შეცვლიდნენ „აზროვნების“ მქონე მანქანები, მაშინ, როცა შექმნილი ავტომატები მხოლოდ მექანიკური თოჯინები იყვნენ. ინჟინრების მტკიცებით ელექტრონული მანქანები ადამიანის მსგავსად იაზროვნებდნენ.

შეიძლება კიბერნეტიკის ასეთ დანიშნულებაზე ატეხილი ხმაური სწორედ იმისათვის იყო განკუთვნილი, რომ საბჭოთა სპეციალისტები შეცდომაში შეეყვანათ და კიბერნეტიკისთვის ყურადღება არ დაეთმოთ.

თანამიმდევრული მუშაობის შედეგად ჩვენმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა შექმნეს შესანიშნავი ელექტრონული მანქანები, რომლებიც მოწოდებულნი არიან, ადამიანს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქონ შრომა, დააჩქარონ იმ რთული პროცესების განხორციელება, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი დიდ დროსა და ენერგიას ანდომებს.

ასეთი მანქანების მიერ ურთულესი ამოცანების გადაწყვეტის უნარი ისეთი დიდია, რომ ხშირად მათ „ელექტრონულ ტვინს“ ეძახიან. რასაკვირველია, მანქანებს შეუძლიათ მოახდინონ გაანგარიშებები და გამოიყვანონ ლოგიკური დასკვნები მხოლოდ ადამიანის მიერ წინასწარ მიცემული პროგრამების დახმარებით.

საანგარიშო ელექტრონული მანქანები საკმაოდ რთულ მოწყობილობებს შეიცავენ. ისინი ათასობით ელექტრონათურების, ათეული ათასობით ნახევრადგამტარი ხელსაწყოების, წინაღმდეგობების, კონდენსატორებისა და რადიოდეტალებისგან შედგებიან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში ერთ ასეთ საანგარიშო მანქანას უზარმაზარი შენობა უკავია.

საანგარიშო მანქანები გამოყენებას პოულობენ სხვადასხვა დანიშნულებისთვის. მაგალითად, არსებობენ სპეციალიზებული მანქანები, რომლებიც დიფერენციულ განტოლებებს ხსნიან. მათ ზოგჯერ „უმაღლესი განათლების“ მქონე მანქანებს უწოდებენ. აი, რას წერდა „მანქანურ მათემატიკაზე“ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ს ი. ვავილოვი:

„...კაცობრიობას არასოდეს მიუღწევია „მანქანური მათემატიკის“ ისეთი გაქანებისთვის, როგორც უკანასკნელ წლებში. ახალი მოწყობილობები, რომლებიც დამყარებულია მექანიკურ, ელექტრონულ და ელექტროვაკუმურ პრინციპებზე, საშუალებას იძლევიან გადაწყვეტილ იქნეს ურთულესი მათემატიკური ამოცანები... ოდნავ გადაჭარბებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვუახლოვდებით ისეთ უტოპიურ დროს, როცა მათემატიკოსების მოვალეობა მხოლოდ განტოლებების შედგენა იქნება, განტოლებებს კი მანქანები იანგარიშებენ“.

სსსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში პროფესორმა გუტენმახერმა შექმნა ელექტრონათურებიანი ინტეგრატორი, რომელიც მრავალ უცნობისგან შემდგარ მრავალგანტოლებიან სისტემას ერთ მეათედ წამში წყვეტს. ეს ხელსაწყო განტოლებების ამოხსნას უფრო ნაკლებ დროში ახდენს, ვიდრე განტოლებების მიცემას სჭირდება.

საანგარიშო მანქანებს სხვა მიზნებისთვისაც იყენებენ. ისინი აწარმოებენ საბუღალტრო და სტატისტიკურ გაანგარიშებებს, ამუშავებენ ცნობებს მოსალოდნელი ამინდის შესახებ, ეხმარებიან რკინიგზელებს მატარებლების მოძრაობის გრაფიკების შედგენაში.

ტექნიკურ ლიტერატურაში მოცემულია ცნობები თვითმფრინავებზე მოწყობილ საანგარიშო მანქანებზე. ასეთი მანქანა 800-მდე ელექტრონათურას შეიცავს, ზომით კი ჩვეულებრივ ტელევიზორზე ოდნავ დიდია. ყოველ 0,1 წამში ის ცნობებს იღებს სანავიგაციო ხელსაწყოებიდან, რომლებიც უჩვენებენ სიმაღლეს, სიჩქარეს, სიშორეს და ფრენის მიმართულებას. იმავე დროში მანქანა შტურმანს სათანადო გაანგარიშებებს აძლევს. ეს მანქანები ზებგერით სიჩქარის თვითმფრინავებზე გამოიყენება.

არსებობენ საანგარიშო მანქანები, რომლებიც ავტომატურ მოწყობილობებს მართავენ. მაგალითისთვის შეიძლება დასახელებულ იქნეს დაზგის სამართავი მანქანა. ეს მანქანა წინასწარ „დახსომებული“ ფორმულის მიხედვით „ბრძანებებს“ უგზავნის დაზგას და ამუშავებინებს ტურბინის ხრახნის რთულ ზედაპირს. ფორმულის თანახმად ის ადგენს ხრახნის პროფილის წერტილების კოორდინატებს და „აიძულებს“ დაზგას დიდი სიჩქარით, სიზუსტით, ყოველგვარი ნახაზებისა და შაბლონების გარეშე ლითონიდან რთული პროფილის ნაწარმი შექმნას.

უკვე შეიქმნა მანქანა, რომელიც ინგლისურიდან რუსულ ენაზე თარგმნის ტექსტს.

დამზადებულია ავტომატი — „მოთამაშე“, რომელსაც შეუძლია ჭადრაკის მარტივი პარტიები ითამაშოს და ადამიანის მიერ წესების დარღვევის, შემთხვევაში პროტესტიც კი „განაცხადოს“, ზარი დარეკოს.

დამუშავდა „წამკითხველი“ მანქანა უსინათლოებისთვის.

მართლაც, განსაცვიფრებლად „გონიერი“ მანქანები იქმნება! მაგრამ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დღეს შეიქმნას „მექანიკური“, ან „ელექტრონული“ ტვინი, როგორიც ეს უცხოეთის კიბერნეტიკებს აქვთ წარმოდგენილი. უმცირესი ცოცხალი უჯრედი ყოველთვის ურთულესი აღმოჩნდება, ვიდრე რომელიმე, რაგინდ ურიცხვი ნაწილებისგან შედგენილი მანქანა.

მაგრამ ადამიანის ტვინი მატერიალურია, ისევე როგორც ადამიანის სხვა რომელიმე ორგანო, და უეჭველია, რომ აღმოჩენილი იქნება კანონები, რომლებიც მას მართავენ.

საბჭოთა მეცნიერებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს ცოცხალი უჯრედების შესწავლაში. ეჭვი არ არის, ეს საქმე სულ უფრო და უფრო წინ წავა და, იქნებ, დადგეს დრო, როცა დაიწყება ცდების ჩატარება ჯერ ხელოვნური უჯრედების შექმნაზე და, მერე კი, მათ ერთმანეთთან ორგანიზებულ დაკავშირებაზე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ტვინი“, მაგრამ ეს ძალზე შორეული მომავლის საქმეა.

სწრაფმოქმედი ელექტრონული საანგარიშო მანქანა, რომელიც აწარმოებს რთულ საანგარიშო მუშაობას, შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო მათემატიკური ამოცანების გადასაჭრელად, არამედ სხვა სამეცნიერო მიზნებისათვისაც. გამოცდის სახით ამას წინათ ამ მანქანამ ინგლისური ტექსტი ავტომატურად თარგმნა რუსულ ენაზე. ამისთვის მეცნიერ მუშაკებმა შეიმუშავეს გრამატიკული და სინტაქსური სქემები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის თარგმანის სისწორეს. „მანქანის ლექსიკონში“ ათასამდე ინგლისური სიტყვა და სამეცნიერო ტერმინია.

ტექნიკოსმა თამარ კონდრატიევამ, რომელმაც არ იცის ინგლისური ენა, პერფორატორზე დაბეჭდა ლენტი ვ. მილნის წიგნისა — „დიფერენციალურ განტოლებათა რიცხვითი გადაწყვეტა“ — შესავლის ტექსტით. ტექსტიანი ლენტი შეყვანილ იქნა მანქანაში და შემდეგ გამოჩნდა მეორე ლენტი რუსული ტექსტით.

თქვენ სურათზე ხედავთ ტექნიკოს თ. კონდრატიევას. იგი პერფორატორზე ბეჭდავს ლენტს ინგლისური ტექსტით.





# მთავარი საქმე

სანაპიროზე უკვე ზამთარია, მაგრამირგვლივ ამას თითქოს არაფერი ადასტურებს. ისევე კაშკაშებს ჩახჩახა მზე. ისევე ლივლივებს ლურჯი ზღვა. იქვე კი გადაშლილა მეორე ზღვა, ჩაის ბუჩქნართა ამწვანებული ზღვა. მხოლოდ დილდილობით ვერცხლისებრ რთვილშეფრქვეული სუბტროპიკული მცენარეები მოგვაგონებენ დროს, მოგვაგონებენ იმას, რომ თუმცა მზე ასე კაშკაშებს, მაგრამ წინანდელი სითბო აღარა აქვს, რომ ზღვის ტალღა ყინულივით ცივია, ხოლო ჩაის ბუჩქს ძინავს და ძალ-ღონეს იკრებს გაზაფხულისათვის.

თუ ჩაის ბუჩქს ძინავს, ადამიანი მაშინ სტოვებს პლანტაციას. ასევე იქცევა დედაც, რომლისთვისაც ცხოვრების მთავარი საქმეა შვილი. ის მხოლოდ მაშინ სტოვებს შვილს, როცა მას ჩაეძინება. მაგრამ სულ ერთია, რასაც არ უნდა აკეთებდნენ ამის შემდეგ დედის ხელები, რითაც არ უნდა იყოს იგი გართული,— ყველაფერი ეს მისი ცხოვრების მთავარი საქმე იქნება.

კარგია, როცა არსებობს ეს მთავარი საქმე! ცხოვრებაში ის ერთბაშად როდი მოვა, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო უსისხლხორცდები მას, მით უფრო მეტ სულიერ ძალ-ღონეს უთმობ, მით უფრო დიდხანს გინდა ცოცხლობდე მისთვის, რათა ბევრი რამ დაინახო და გააკეთო.

იმ ხანებში, როცა ჩაის ბუჩქი ის-ის იყო ფეხს იდგამდა ჩვენს ქვეყანაში, ბევრს როდი სჯეროდა მისი და ყველას როდი გააჩნდა უნარი ამ ახალი და ჯერ კიდევ არც იმდენად საიმედო საქმისათვის ეფორიაქებია მთელი თავისი ცხოვრება. მაშინ, ახალგაზრდა ქსენია ბახტაძისათვისაც რომ გეთქვათ, 30 წელს ჩაქვში გაატარებ ნათესავებსა და მეგობრებს მოწყვეტილიო, ამას იგი არასოდეს არავის დაუჯერებდა. არ დაიჯერებდა იმასაც, რომ სწორედ აქ, ჩაქვში, და არა თბილისში, იგი ეტყოდა მეცნიერებას თავის სიტყვას და აკადემიკოსი გახდებოდა. და რომ 30 წლის შემდეგ, მას, როგორც მეცნიერს, მიიწვევდნენ ჩვენი კავშირის სხვადასხვა კუთხეში, რადგან ახლა, ოდესღაც ჩაქვიდან გამოსული ჩაის ბუჩქი, უკვე გადაიშალა მრავალ ათეულ ათას ჰექტარზე და ასობით ჩაის კოლექტიურ მეურნეობათა მთავარი საქმე გახდა.

და მართლაც, რა არის ათეული წლები იმ კულტურისათვის, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ათას წლებს ითვლის? იქ ჩაის ბუჩქი ნელინელ გადიოდა ბუნებრივ შერჩევასა და ზრდას. აქ კი ამის ნებას ჰას ვინ მისცემდა. საბჭოთა მეცნიერებმა აიძულეს ბუჩქი, უმოკლეს ხანში შეგუებოდა ახალ, მისთვის შედარებით მკაცრ, პირობებს. შემდეგ იწყეს მისგან უფრო სასარგებლო ფოთლის მიღება, ზოგ ადგილას 15-20-ჯერ გაადიდეს მოსავლიანობა.

მაგრამ ამითაც როდი დაკმაყოფილდნენ. უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ ჩაის სხვადასხვა ჯიშს სხვადასხვა თვისება გააჩნდა: ერთი ნაკლებად ყინვაგამძლე იყო, მეორე — უკეთესი ხარისხისა, მესამე უფრო მაღალ მოსავალს იძლეოდა. ქსენია ბახტაძემ განიზრახა შეექმნა ჩაის ახალი ჯიშები, რომლებსაც ექნებოდათ უკვე ჩაქვში აკლიმატიზირებული თვითეული ჯიშის საუკეთესო თვისებები. მაგრამ, როგორ? არც საზღვარგარეთულ ქვეყნებში, არც მით უმეტეს, საბჭოთა კავშირში, ჩაის სელექციის არავითარ ხერხს არ იცნობდნენ. უფრო მეტი, ფიქრობდნენ, ჩაის ბუჩქის სელექცია შეუძლებელიაო. მაგრამ რატომაც არ უნდა ესინჯა? მით უმეტეს, საბჭოთა მკვლევარს ხელთ ჰქონდა ისეთი გასაღები, როგორიცაა მიჩურინული მოძღვრება.

1929 წელს ძველ სათესლე პლანტაციაში, სადაც ჩინურთან შერეულად ხარობდა ინდური ჩაი, ქსენია ერმალოზის ასულმა შეარჩია 800 ბუჩქი. დაიწყო მრავალწლიანი დაკვირვებები. ახალ სათესლე მცენარეს ამტვერიანებდნენ ფქილის ნარევით და მიღებულ თესლს კვლავ სთესდნენ უბნებზე. ეს უკვე იყო სასელექციო ჩაის ორი ჯიშის — ქართული № 1-სა და ქართულ № 2-ს უბნები. და თუმცა ახალი ჯიშების პირველმა ცდებმა დაადასტურეს მათი ყოველმხრივი უპირატესობა, ჯერ კიდევ ნაადრევი იყო დასკვნების გამოტანა. საჭირო იყო დაკვირვება, თუ როგორ გადაიტანდნენ ახალი ჯიშები მსუბუქი ან მკაცრი გამოზამთრების ყველა ეტაპს, როგორ მდგომარეობაში იქნებოდნენ ისინი სხვადასხვა ასაკში. და დროის ეს გამოცდა განვლო ბახტაძის სასელექციო ჩაიმ. შარშან, მაგალითად, ქსენია ერმალოზის ასულმა ჰექტარზე აიღო 9-წლიანი მცენარის 8500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მაშინ როცა საკონტროლო (ძველმა) ჩაიმ ჰექტარზე მოგვცა სულ 5500 კილოგრამი. გარდა ამისა, ახალი ბუჩქი მაღალი და მსხვილფოთლიანი იყო. ასეთი ჩაი უფრო ადვილად და სწრაფად იკრიფება.

დარჩა ხარისხის საკითხი. ლაბორატორიული ანალიზი ამტკიცებდა, სელექციური ჩაის ხარისხი უმჯობესია ჩვეულებრივზეო. მაგრამ ეს მაინც ანალიზი იყო, ხოლო თვითონ ფაბრიკაში დამზადებული ჩაი ჯერ არავის გაესინჯა. და მხოლოდ მაშინ, როცა ნატანების საბჭოთა მეურნეობაში შეაგროვეს ახალი ჩაის მნიშვნელოვანი რაოდენობა, ის გადაამუშავეს ფაბრიკას წესით და გასინჯეს. აი, ახლა კი შეიძლებოდა თქმა: ქსენია ბახტაძის ჩაი გაცილებით გემრიელი და სურნელოვანია, ვიდრე ის, რომელსაც ჯერ ისევ ვყიდულობთ მაღაზიებშიო.

სანამ ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის სასელექციო სანერგეში ატარებდნენ ამ ცდებს, ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა ჩაის პლანტაციები, ისინი მიიწევდნენ აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთისკენ, მთებისკენ. სელექციონერის წინაშე ცხოვრება ახალ-ახალ ამოცანებს სახავდა. საჭირო იყო ჯიშების გამოყვანა ჩაის ახალი რაიონებისათვის. და ქსენია ერმალოზის ასულმა გამოიყვანა ისინი — ჰიბრიდი № 4 (მოსავლიანი), № 5 (სელექციური კანგრა), № 6 (ჩინური მსხვილფოთლიანი), № 8 (ჩრდილოური), № 11 (ზუგდიდური მსხვილფოთლიანი), № 12 (ზუგდიდური ზამთარგამძლე). მრავალმა მათგანმა, მაგალითად, ჩრდილოურმა უკვე კარგად გადაიტანა სამი გამოზამთრება ყუბანში — მთის კალთებზე.

ქსენია ბახტაძის ჩაი უკვე გასცილდა საქართველოს საზღვრებს. აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში, იმიერკარპატებში საცდელ უბნებზე უკვე ხარობს საქართველოს მსხვილფოთლიანი ჩაის ბუჩქი.

თითქოს უკვე გაკეთებულია მთავარი საქმე. 30 წელს ამაოდ არ ჩაუვლია. ნაპოვნია და პრაქტიკულად შემოწმებულია ჩაის გაუმჯობესებული ჯიშის მიღების მეთოდიკა. განა საოცარი არაა, რომ ეს მეთოდიკა წარმოიშვა ყველაზე ახალგაზრდა ჩაის რესპუბლიკაში და ახლა იგი შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი მრავალი მეგობრული ქვეყნისათვის საზღვარგარეთ!

მაგრამ მეცნიერების აზრი კვლავ შორს მიდის. მთავარი საქმე განაგრძობს სიცოცხლეს. და, აი საითკენაა ახლა იგი მიმართული.

ლიმონიანი ჩაი ამშვენებს სუფრას. ადამიანი ერთ ჭიქაში ღებულობს სასმელსა და ნაყოფს. ლიმონის ხე იზრდება იმავე სუბტროპიკულ რაიონებში, სადაც ხარობს ჩაის ბუჩქი. ოღონდ მას გამოუყოფენ საუკეთესო ნიადაგიან და ჰავიან ადგილს. მხოლოდ ის იზრდება განცალკევებით და განმარტოებით ჰაღლადშემართულ ტერასებზე, და არა ბუჩქივით — ერთიერთმანეთთან მიტმასნილად. ნაზი და ეული ლიმონის ხე ობლად იზრდება და პირველივე ვაივაგლახის დროს ველარ უმკლავდება სიძნელეებს. რა იქნება, ლიმონის ნარგავები ჩაისდაგვარად მჭიდროდ რომ ჩავამწკრივოთ, რიგრიგად დავრაზმოთ და მივცეთ დაფენილად ბუჩქისებური ფორმა? ასეთი ფორმა ხომ გაუადვილებს სიცივისაგან თავდაცვას, მისცემს მას ბრძოლისუნარიანობას? და ამასთან ერთად კიდევ, კარგი იქნება, თუ ლიმონთან ერთად დავასახლებთ ჩაის გამძლე კულტურას. განსაკუთრებით კარგი იქნება ეს მთის კალთებზე, რადგან ჩაის მცენარე ახლა უტერასოდაც ხარობს და საუცხოოდ ამაგრებს ნიადაგს.

ეს მარტო განზრახვა ან სურვილები როდია. ჩაქვის სასელექციო სანერგეში უკვე დაიწყო ცდები ამ მიმართულებით.

შეუძლებელია ჩაიკეტო შენს „ჩაის ნაჭუჭში“, არ შეიჭრე სხვა დარგებშიც, თუ იმყოფები საბჭოთა სუბტროპიკების შუაგულში, თუ შენს გვერდით არას ბათუმის უძველესი ბოტანიკური ბაღის შესანიშნავი, შეხმატკბილებული კოლექტივი, ჩაქვის მეორე მხარეს კი — სამკურნალო და სურნელოვან მცენარეთა საკავშირო ინსტიტუტის ზონალური სადგური, და ყოველგან შენა ხარ სამეცნიერო საბჭოს წევრი და გსურს ყველაფერში ჩაერიო, ყველას სასარგებლო იყო!

განა ახლობლებისათვის, ამხანაგებისათვის, სამშობლოსათვის სარგებლობის ეს გრძნობა არ წარმოადგენს ნამდვილი საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მთავარ საქმეს? ეს იძლევა უფლებას ხალხის მსახურის მაღალი მოვალეობის შესასრულებლად საბჭოთა პარლამენტში. ეს იძლევა ბულგარეთში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა დელეგაცის შემადგენლობაში მოხვედრის უფლებას.

სანაპიროზე ზამთარია. მცენარეები ისვენებენ, ხანმოკლე დასვენების ნება მისცეს ადამიანებს. მაგრამ ადამიანი, ფხიზლადაა, არ შეუძლია ფხიზლად არ იყოს! ჩია ტანის, გაჭაღარავებული ქალი მწვანე „პობედით“ მიემართება ჩაქვის ველზე. ქალს დაქანცული, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერ ცოცხალი თვალები აქვს. რას ხედავს იგი, როცა ათვალიერებს დარაზმულ ჩაის ბუჩქებს? იქნებ, მათთან დაძმობილებული ლიმონის დავაჟკაცებული მცენარე გაიელვებს მის გონებაში!

რატომაც არა, კარგ, გონივრულ მეგობრობას ზიანი არასოდეს არ მოუტანია!

**ი. იაშვილი**

# ბაღდადელი ტრუფალდინო

გასული წლის ნოემბრის დამლევს ერაყის დედაქალაქ ბაღდადში შესდგა ბაღდადის პაქტის მონაწილე ქვეყნების— თურქეთის, ერაყის, პაკისტანის, ინგლისისა და ირანის პრემიერ-მინისტრთა თათბირი. როგორც უცხოეთის პრესა იუწყებოდა, ამ თათბირში არაოფიციალურ, მაგრამ მეტად აქტიურ, მონაწილეობას იღებდნენ, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებიც, რადგან სწორედ შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ინიციატივით შეკოწიწდა ეს ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი.

ხსენებულ თათბირზე სტრუქტურულად საბოლოოდ ჩამოყალიბდა ე. წ. „შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი (??) ორგანიზაცია“ (ოფიციალურად ასე მონათლეს ბაღდადის აგრესიული ბლოკი ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტებმა).

ბაღდადის პაქტის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ამ ბლოკში შემავალი ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა მუდმივი საბჭო. შეიქმნა, აგრეთვე, ამ ორგანიზაციის სამდივნო, სამხედრო და ეკონომიური კომისიები. ყველა ამ ორგანოს ადგილსამყოფლად მიჩნეულია ქალაქი ბაღდადი.

ბაღდადის აგრესიული ბლოკის მონაწილე ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა მუდმივი საბჭოს პირველ თავმჯდომარედ, 1956 წლის ბოლომდე, თათბირმა აირჩია ერაყის პრემიერ-მინისტრი ნური საიდი.

...ამ ორმოციოდე წლის წინ სტამბულის ჰარამხანებისა და ყავახანების პატრონები კარგად იცნობდნენ თავიანთ მუდმივ და აბეზარ კლიენტს, წარმოშობით ნახევრად თურქს და ნახევრად არაბს, ახალგაზრდა ოფიცერს ნური საიდს. მან ის იყო დაამთავრა სტამბულის სამხედრო სასწავლებელი და, თუმცა იმ ხანებში პირველი მსოფლიო ომის ხანძარი გიზგიზებდა, ახალგაზრდა ნურიმ თურქეთის არმიის ოფიცრის მუნდირის ღირსების დაცვა ფრონტის მაგიერ სტამბულის ყავახანებისა და ჰარამხანების „რჩეულ საზოგადოებაში“ არჩია. უნდა ითქვას, რომ ამ „ფრონტზე“ მან საკმაო წარმატებებსაც მიაღწია.

განუწყვეტელმა ქეიფმა, ბანქოს თავდავიწყებით თამაშმა, საეჭვო ყოფაქცევის ბანოვანთა წრეში ტრიალმა, ხშირმა ჩხუბმა და აყალ-მაყალმა, იმდენად გაუთქვა სახელი ახალგაზრდა თურქ ოფიცერს, რომ მან მალე ზოგიერთი უცხოური გავლენიანი წრეების ყურადღებაც კი მიიქცია.

ერთ დღეს, ზღვის პირად, სტამბულელები ნური საიდის სამხედრო მუნდირს წააწყდნენ, ხოლო მუნდირის პატრონი კი მას შემდეგ აღარავის უნახავს. ნური საიდის დრამატული გაუჩინარება მაინცდამაინც არავის გაჰკვირვებია სტამბულში. მისმა ნაცნობ-მეგობრებმა გადასწყვიტეს, რომ უწესო ცხოვრებამ იგი თავის დაღრჩობამდე მიიყვანა. მაგრამ, დახეთ საოცრებას! — ბოსფორის ზღვაში „დამღრჩვალმა“ ნური საიდმა თურმე ეგვიპტეში ამოყო თავი!

...პირველი მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. თურქეთი მარცხზე მარცხს განიცდიდა, ხოლო ევროპის სახელმწიფოები ოსმალეთის იმპერიაში შემავალი არაბული ქვეყნების — სირიის, ლიბანის, პალესტინისა და ერაყის ხელში ჩასაგდებად ემზადებოდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიზატორები ხსენებული ქვეყნების ხელში ჩაგდებას ამზადებდნენ ოსმალეთის ბატონობის უღლისაგან არაბი ხალხების გათავისუფლების ლოზუნგით; და... თურმე ნუ იტყვით, სწორედ ამგვარ ვითარებაში აუჩქროლდა ნური საიდს ნახევრად არაბული სისხლი და მისი არსებაც არაბული პატრიოტიზმის გრძნობებით გაიმსჭვალა. ნურიმ თურქი ოფიცრის მუნდირის ტარება სამარცხვინოდ მიიჩნია, გაიძრო იგი, ზღვის პირად მიაგდო და ბოსფორის ნაპირთან „დამღრჩვალმა“, უცხოეთის დაზვერვის წყალობით, ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში ამოყო თავი; სადაც ინგლისელთა სამხედრო სარდლობას ეახლა, რათა გვერდში ამოსდგომოდა ინგლისელ კოლონიზატორებს თავისი „თანამემამულე“ არაბების „გათავისუფლების“ საქმეში. აქ დაუმეგობრდა ნური საიდი ცნობილ ინგლისელ აგენტსა და მზვერავს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში პოლკოვნიკ ლოურენსს, რომლის შემწეობითაც იგი დაუახლოვდა მექის განმგებლის შვილებს აბდულაჰსა და ფეისალს. ასე შეაკოწიწეს ინგლისელმა კოლონიზატორებმა ცნობილი „არაბული ტრიუმვირატი“ — აბდულაჰ-ფეისალ-ნური საიდი, რომელმაც მცირე სამსახური როდი გაუწია ინგლისელებს არაბი ხალხების დამორჩილება-დამონების საქმეში.

პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შედეგად ინგლისმა ხელთ იგდო პალესტინა, ტრანსიორდანია და ერაყი. ინგლისელმა იმპერიალისტებმა „არაბული ტრიუმვირატის“ დამსახურებანიც გაითვალისწინეს და სათანადოდ დააჯილდოეს მისი წევრები: აბდულაჰი, ტრანსიორდანიის ტახტზე წამოასკუპეს, ფეისალი ერაყის მეფედ გამოაცხადეს, ხოლო თურქეთის არმიის ყოფილმა ოფიცერმა, ნური საიდმა, მინისტრის პორტფელი მიიღო ერაყის სამეფო მთავრობაში.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ერაყის მთავრობის არა ერთგზის მინისტრი და პრემიერ-მინისტრი ნური საიდი, მუდამ ერთგულად ემსახურებოდა თავის ინგლისელ ბატონს, რისთვისაც მას ტიტული „სერ“ და ბრიტანელი გენერლის წოდება ებოძა. რადგან დროგამოშვებით ნური საიდს ნახევრად თურქული სისხლიც აუჩქროლდებოდა ხოლმე, იგი განვლილი წლების მანძილზე თურქეთსაც უწევდა წვრილ-წვრილ სამსახურს, რისთვისაც მას „ფაშის“ ტიტულიც მიენიჭა.

გავიდა ხანი. მეორე მსოფლიო ომში, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვების შედეგად აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ჩინეთის, ვიეტნამისა და ჩრდილოეთ კორეის მრავალმილიონიანი ხალხები საბოლოოდ განთავისუფლდნენ იმპერიალისტური ბატონობისაგან და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას დაადგნენ. ინდოეთის, ბირმის, ინდონეზიის, ეგვიპტის, სირიისა და ლიბანის ხალხთა მედგარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად ამ ქვეყნებმა მოიპოვეს თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობა. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა რღვევისა და განადგურების საფრთხის წინაშე დადგა.

კოლონიური სისტემის რღვევის პროცესის შენელების მიზნით, იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ანტისაბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკას მიმართეს. უკანასკნელი წლების მანძილზე იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების მეთაურობით არა ერთი გეგმა და პროექტი შეიმუშავეს, რათა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთის საზღვრების მახლობლად შეეკოწიწებინათ აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი; „დიდი სირია“, „კურთხეული ნახევარმთვარე“, „მახლობელი აღმოსავლეთის სარდლობა“ და მრავალი სხვა სახელით ნათლავდნენ ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთ პროექტებს; მაგრამ ამაოდ, მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა მედგარმა წინააღმდეგობამ ჩაფუშა ყველა ამ გეგმების განხორციელება.

ბოლოს ამერიკელმა ძიამ აგრესიულ ბლოკში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სათითაოდ ჩათრევის პოლიტიკას მიმართა. ასე შეიქმნა თავდაპირველად თურქეთ-პაკისტანის აგრესიული კავშირი. მაგრამ არაბული ქვეყნების — ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, ერაყის და საუდის არაბეთის ჩათრევა ამ აგრესიულ კავშირში არცთუ ისე იოლი საქმე აღმოჩნდა. არაბული სახელმწიფოების ლიგამ თავის ერთ-ერთ სესიაზე მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომელიც ჰგმობდა თურქეთ-პაკისტანის ბლოკს და ავალებდა არაბული ქვეყნების მთავრობას არ შეერთებოდნენ ამ აგრესიულ კავშირს.

ტროადის ციხე-სიმაგრედ ქცეულ არაბული სამყაროს ასაღებად ამერიკელმა ძიამ ახლა კი ცბიერი ოდისეის ხერხის გამოყენება სცადა და შესაფერისი „ტროადის ცხენიც“ გამოძებნა, — თურქეთის არმიის ყოფილი ოფიცერი, ინგლისელ იმპერიალისტთა სამსახურში ღვაწლმოსილი ერაყის მთავრობის არა ერთგზის მინისტრი და პრემიერ-მინისტრი, 68 წლის ბრიტანელი გენერალი, — „სერ“ ნური საიდ „ფაშა“, მეტად შესაფერისი პირი აღმოჩნდა ამ როლის შესასრულებლად. თუმცა ამერიკელი ძიას „ტროადის ცხენი“ საკმაოდ ბებერი და დაჩაჩანაკებული იყო, მაგრამ მის ძარღვებში თურქულ-არაბული სისხლი სჩქეფდა, რაც მეტად ხელსაყრელი იყო ამერიკელი ძიას ბნელი ზრახვების განსახორციელებლად მახლობელ აღმოსავლეთში.

ნური საიდს კვლავ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ებოძა; თურქული ლირებისა და ინგლისური სტერლინგების ჩახჩრიალებას ჩვეულმა ღვაწლმოსილმა ბაღდადელმა ტრუფალდინომ ამჯერად ჯიბეში ამერიკული დოლარები ჩაიჩხრიალა!

დოლარების ბზინვით მოხიბლულ ნური საიდს ახლა ნახევრად თურქული სისხლი აუჩქროლდა და თურქულ-არაბული „პატრიოტიზმით“ გამსჭვალულმა საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება თურქეთ-პაკისტანის აგრესიული პაქტისადმი ერაყის შეერთების შესახებ. ბაღდადელმა ტრუფალდინომ ესეც არ იკმარა და, რათა ამერიკელი ძიასათვის თავისი ერთგულება დაემტკიცებინა, აშკარად აღიარა, რომ იგი კომუნიზმის დაუძინებელი მტერია და იმდენად გათავხედდა, რომ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობაც კი გაწყვიტა.

ამჩატებული ბაღდადელი ტრუფალდინო ახლა თავის არაბ „თანამემამულეებს“ ეწვია; სათითაოდ ჩამოუარა ეგვიპტის, სირიისა და ლიბანის მთავრობათა მეთაურებს, რათა დაეთანხმებინა ისინი ბაღდადის პაქტისადმი შეერთებაზე. მაგრამ ნური საიდის ეს მისია სამარცხვინოდ ჩაიფუშა; არაბული ქვეყნების მთავრობათა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ერაყი გაირიცხა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის შემადგენლობიდან. ხოლო ეგვიპტემ, სირიამ და საუდის არაბეთმა თავიანთი ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დაუპირისპირეს იმპერიალისტთა მიერ შეკოწიწებულ ბაღდადის აგრესიულ ბლოკს.

გასული წლის დამლევს ამერიკელმა იმპერიალისტებმა შესძლეს ირანის ჩათრევა ბაღდადის ბლოკში, მაგრამ არაბული სამყარო მათთვის კვლავ აუღებელ ციხე-სიმაგრედ დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ დოლარის ეშხით მოხიბლული ბაღდადელი ტრუფალდინო, ისევ ელოლიავება არაბ „თანამემამულეებს“.

**შ. კურდღელაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ოთარ მამფორია

## ახალი ლეგენდა

უკრაინელ მეგობარს

ქედებს ჩაუკრავს მკერდში სურამი,
როგორც ჩონგური ვარდებასხმული,
ისევ გუგუნებს ციხე სურამის —
ერთი მეხოტბე ჩვენი წარსულის.

ქვებზე ეცემა მწვანე ჩანჩქერი,
ქარში დარხეულ სუროს ფოთლების
ცამდე აზიდულ ციხეს გავცქერი
და მეგობარო, შენ მაგონდები.

თვალწინ დამიდგა ჩვენი სანგარი,
ღამე მამულზე ფიქრში გასული.
მე რომ გიამბე ციხის ამბავი
დღემდე უკვდავი და ვაჟკაცური.

ტუჩებზე აჩნდა ჭაბუკს დედის რძე
და მამულისთვის ქვებში დადუმდა.
კაცი თუ ასეთ სიკვდილს შეიძლებს,
ისეთ ქვეყანას ციხე რად უნდა!

იქ, დარიალის ზვიად კედლებთან,
ჩვენი სხეულიც ცეცხლში გაქვავდა.
ქართველი ხალხის დიდი ლეგენდა
ცხადად ვაქციეთ ვლადიკავკავთან.

არა, დაჭრილებს არ გვიკვნესია,
მაინც ვიბრძოდით მტერზე მიჭრილი,
მე გაგახსენე მაშინ ლესია,
შენ გამამხნევე გურამიშვილით.

და გამარჯვების ხმები ძლიერი,
როცა დაირხა ზეცის ღიმილში,
მე როგორც დედა შემხვდა კიევი,
შენ როგორც შვილი მოხველ თბილისში.

## ოპერის ბაღში

კოცნას მოვსტაცებ ლორთქო ბალახებს
და სამარესთან ჩუმად დავდგები.
სარაჯიშვილო, სადაც დაგმარხეს,
აქ ყოველ დილით ჰყვავის ვარდები.

ყელმოღერილი იდექ ბულბული
და სიმღერებში გათენდებოდა.
ეგ გიშრის თმები ამდენ დუმილით
მიწაში ჯავრით გათეთრდებოდა.

სად ხარ! თვალები ამომიცრემლდა,
მინდა ვარსკვლავებს ცაში არხევდე.
მეც ერთ ლერწამად გადავიქცე და
ოპერის ბაღში დავშრიალებდე...

იაკობ შერქულაძე

## მე შენი ზრდობის მემატიანე

სტალინის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტს

დაგტოვე, მაგრამ შენთან ვარ ისევ
და შენს სიყვარულს შევაბერდები.
მშობლიურ ცისქვეშ აგზნებით ვისმენ,
რას მეტყველებენ პერგამენტები.

პერგამენტები მანდ წაკითხული,
ასომთავრულით შემოქარგული,
შოთას შაირი დარბაისლური
და ჩახრუხაძის ოდა ქართული.

იმ დაუვიწყარ დღეებს მაგონებს,
როს შენ გეტრფოდი გატაცებული.
შენი სახელი ახლაც მაკრთოლებს
და თავი ჩემი კვლავ მანდ მეგულვის.

რომ არას გწერდი ასე ახლობელს,
დასანანებლად გქონდა ეგების.
მე თუ დაგშორდი, მანდ ხომ სწავლობენ
ჩემი აღზრდილი მოსწავლეები.

...და გულის მერცხლებს მანდ
მოფრენილებს
ფიქრები ჩემი კვლავ გარს ევლებათ.
შევჭხარი დღეებს,
როცა ისინი
დაბრუნდებიან მასწავლებლებად!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტკვრის ხეობაში

ია მესხი

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

## ვ. მეორე საზღვრამდე...

კასპის ცემენტის ქარხანაში. ქარხნის მთავარი ინჟინერი ი. ა. სანაძე (მარცხნივ) ათვალიერებს ობიექტს.



### სანაპირო სამსახური

მდინარესაც შეუძლია სანაპირო სამსახურის გაწევა: ადამიანს მისცემს იმას, რაც ნაპირებზე მოეპოვება, და მისი სანაპირო სამსახურიც ეს არი.

აი ზედ მტკვრის ნაპირას დგას კასპის ცემენტის ქარხანა. ნედლეულის მოედანზე დახვავებულია ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოტანილი თაბაშირი, ანის მჭადაქვა, თეძამის თირი და რუსთავის ბრძმედების წიდა. მაგრამ ყოველივე ეს მთავარი როდია ცემენტის წარმოებაში. მთავარია თიხაკირი და თიხა. ესენი კი აქვე, მდინარის ნაპირზე მოიპოვება. უზარმაზარ ღუმელებში ხდება მათი გამოწვა, რაც ნახევარფაბრიკატ რკინა-აგურს იძლევა, რომლისგანაც შემდეგ სხვადასხვა ნედლეულის შეზავებით ცემენტი მიიღება.

კასპის ქარხანა უმაღლესი ხარისხის ცემენტს იძლევა, რომელიც ძირითადად ნავთის ჭაბურღილების დატამპონებას ხმარდება. ამრიგად, თიხა და კირი, რომლებიც ნავთის პროდუქტების მოპოვებაში მონაწილეობენ, მტკვრის ნაპირებიდან ისევ მიწის წიაღს უბრუნდებიან.

თიხისგან, გარდა ამისა, აგურსაც ამზადებენ. ჩვენ ეს მეტეხის აგურის ქარხანაში ვნახეთ. აქ დგას აგურის ნახევრად მშრალი წნეხვის მანქანები, რომელთა კონსტრუქცია ინჟ. მელიას ეკუთვნის. ეს სრულიად ახალი და საკმაოდ რთული მექანიზმებია. ჯერჯერობით მათი ამთვისებელი ქარხნები ჩვენში თითებზე შეიძლება ჩამოვთვალოთ. მეტეხელებმა უკვე აითვისეს ეს მანქანა: პატარა მანქანა 1954 წლის მაისში აამუშავეს, დიდი—1955 წლის აგვისტოში. საათში ეს მანქანა 5.000 ცალ აგურს უშვებს. წყვილ-წყვილად გამოდიან აგურები კონვეიერით, მაგრამ ჯერ ისინი ნაცრისფერი და ნედლია. გამოწვის შემდეგ წითელ ფერს იღებენ და მაშინ კარგად მოჩანს მათზე მუქი ხვრეტილები, რომლებიც აგურს სიმაგრესა და სიმტკიცეს აძლევენ. ალბათ, თქვენც გინახავთ მშენებლობებზე ეს მრავალნასვრეტიანი აგურები. მათ მტკვრის თიხისგან ამზადებს ინჟ. მელიას კონსტრუქციის რთული და ჭკვიანი მანქანა.

თიხისგან ნივთების დამზადების საქმეში ხელგარჯილობას თანდათან ცვლიან მანქანები. მაგრამ არის ისეთი დარგი, სადაც ხელგარჯილობას ჯერ ისევ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს გახლავთ მეთუნეობა, კერამიკა. მეთუნეობაზე, აბა, სად უნდა ვილაპარაკოთ, თუ მცხეთაში არა. საქართველოს უძველესი დედაქალაქი საუკუნეების მანძილზე ცხრაკლიტულში ინახავდა ჩვენი შორეული წინაპრების ნახელავს. მოვიდნენ არქეოლოგები, მზის სინათლეზე ამოიტანეს ძველთა ნაოსტატარი ნივთები და ჩვენ დავინახეთ, რა ოსტატი ხალხი ცხოვრობდა თურმე ამ მიწა-წყალზე, რა ფაქიზი გემოვნების, რა ზუსტი თვალის პატრონი ყოფილა იგი, უბრალო, ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები რა დიდი ხელოვნებით უკეთებიათ.

პატარა სამკუთხედში, რომელსაც თავისი შეხვედრის ადგილას ჰქმნიან მტკვარი და არაგვი, არაგვის თეთრი თიხის საბადოებთან უფრო ახლოს, მცხეთის მეთუნეების დაბაა გაშლილი. მათი ხელობა ახლა დიდ ოსტატობას ვერ დაიჩემებს, მაგრამ დიდება და სახელი მათ, ამ მეთუნეებს თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ეს ხელობა დავიწყებას არ მისცეს. ახლა შეიძლება მისი აღორძინებაც და მაღალ საფეხურზე აყვანაც. სამი წლის წინათ მცხეთაში დაარსდა



მხატვრული კერამიკის სკოლა, სადაც სოფლის ბავშვები სწავლობენ ძერწვას, ხატვას, კომპოზიციას. გავლის დრო და, ბევრი მათგანი კარგი ოსტატი დადგება.

## ელექტრიფიკაციის ვეტერანი

მცხეთის მახლობლად, ორი მდინარის შესართავთან წარმტაცი პეიზაჟი იტაცებს ადამიანის თვალს. შორს მოჩანს უძველესი ჯვრის მონასტრის სილუეტი, ლაკონიური და მარტივი მოხაზულობის ნაგებობა, რომელიც მოხერხებულად შერჩეულ მთის მწვერვალზე მოხდენილად არის წამოდგმული. ქვემოთ კი, მდინარეზე საბჭოთა ქვეყნის ელექტრიფიკაციის ვეტერანის — ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროსადგურის კაშხალია. ზაჰესი სულ რაღაც ნახევარი წლითაა უმცროსი პირველ დიდ სადგურზე — ვოლხოვის ჰესზე, რომელიც აგებულ იქნა რუსეთის სახელმწიფო საელექტრიფიკაციო კომისიის ლენინური გეგმით. კვარცხლბეკზე ილიჩის ფიგურაა. აქ 1922 წლის შემოდგომაზე სადგურის საძირკვლის ჩასაყრელად მოწყობილ მშრომელთა პირველ შაბათობას სერგო ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა. 1926 წლის ივნისში სადგურის დათვალიერების შემდეგ ი. ბ. სტალინმა ჭნახველთა წიგნში ქართულად ჩასწერა: „გაუმარჯოს ჩვენს მშენებლობას და მასზე მომუშავე მუშებს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს“.

ერთი წლის შემდეგ ზაჰესმა პირველი დენი მისცა საქართველოს დედაქალაქ თბილისს. ამ დღეს საბჭოთა კავშირის ყველა გაზეთმა აღნიშნა ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა. აღნიშნეს ლენინგრადის გაზეთებმაც. ჩვენ ეს გავიხსენეთ ლენინგრადელების ერთ საინტერესო ტრადიციასთან დაკავშირებით. 50 წელიწადში ერთხელ იქ, საადმირალო უწყების შენობის სახურავზე ალმართულ ოქროს ისარს ხსნიან, იქიდან ნახევარი საუკუნის წინათ ჩადებულ გაზეთებს იღებენ და აწყობენ შიგ ახლებს, რომლებიც სწორედ იმ დღეს გამოვიდა. ზაჰესის გახსნისა და ამ ოქროს ისარში გაზეთების გამოცვლის თარიღები ერთმანეთს დაემთხვნენ. მდინარე მტკვარზე პირველი ელექტროსადგურის დაბადების მოწმობა ახლა ფინეთის უბის ნაპირზე ინახება.

ზაჰესი კი ამ ხანობაში ძალიან გაიზარდა, მისი აგრეგატები ავტომატებით მუშაობენ, სადგური ტელემართვაზე გადავიდა ცენტრალური სადისპეტჩეროთი. ირგვლივ — მტკვარსა და საქართველოს სხვა მდინარეებზე გაჩნდნენ ზაჰესის უმცროსი ძმები. თვით თბილისში აგებულია ექსპერიმენტული, საბჭოთა კავშირში პირველი ჰიდროსადგური ხიდის ბურჯებში, რომლის ორიგინალური ტურბინები ლენინგრადშია დამზადებული. ქართველი ენერგომშენებლები კი უკვე იწყებენ ახალ გიგანტურ ნაგებობას მდინარე თერგზე — დარიალის ჰესის მშენებლობას, რომელიც თავისი სიმძლავრით საქართველოში აქამდე არსებულ ყველა ჰიდროსადგურს გადააჭარბებს. და აი, კვლავ ლენინგრადელები ახლა იმის ძიებაში არიან, დარიალჰესისთვის რა ტიპის ჰიდროტურბინები გამოდგებაო.

## მანქანები გამოცდაზე

მოძრაობა, მოძრაობა... არსად ისე, როგორც მდინარეზე არ იგრძნობა მოძრაობის უაღრესი სასიცოცხლო აზრი. ადამიანს შეუძლია შემოაბრუნოს მდინარე, გადააგდოს სხვა კალაპოტში, მაგრამ მისი გაჩერება არ ძალუძს! სულ ერთია, ის მაინც წინ, და სულ წინ ივლის.

გზად თავის საქმეს აკეთებს მტკვარი ზაჰესის ტურბინებში და განაგრძობს დინებას თბილისისკენ. შორს მოლურჯო ბურუსში გახვეული გამოჩნდა ქარხნის მილების მოხაზულობა, დავინახეთ მთაზე გაშენებული პარკის სილუეტიც, სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ქალაქის დიდი ავტობუსები, რომლებიც მდინარის გასწვრივ მიჰქრიან. გარეუბნის მეურნეობების მწვანე რკალითაა გარშემორტყმული დედაქალაქი.

აქ ჯერ კიდევ სიწყნარეა. სანამ დიდი ქალაქის ხმაურიან ცხოვრებაში ჩავერეოდეთ, შევჩერდეთ ქალაქისა და სოფლის საზღვარზე, ერთ პატარა დაბაში, სადაც მეგობრულად ცხოვრობენ და მუშაობენ ინჟინრები და აგრონომები. ეს გახლავთ საქართველოს ზონალური მანქანათგამომცდელი სადგური, რომლის ტერიტორიაზე ყოველწლიურად 50 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანას ცდიან.

თითქმის ყველაფერი, რაც კი საბჭოთა კონსტრუქტორების ხელიდან გამოდის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგში, მთავარ გამოცდას აბარებს აქ, მტკვრის ნაპირებზე. ამ ნაპირებზე ათასში ერთხელ თუ მოვა თოვლი, ამიტომ მთელი წლის მანძილზე აქ შეიძლება საშინდვრო ცდების წარმოება. გარდა ამისა, ნიადაგი აქ ძალზე მაგარია და, თუ მანქანა ასეთ მიწაზე თავს არ შეირცხვენს, სხვაგანაც ივარგებს.

როცა ჩვენ სადგურში შევიარეთ, თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ახალ მოწყობილობას აწესრიგებდა კვადრატულ-ბუდობრივი თესვისთვის. ეს მოწყობილობა მომსახურე ადამიანთა რიცხვს ხუთი-ექვსი კაციდან ერთამდე დაიყვანს. ციცაბო კლდეებზე ნავივით მიდი-მოდის ახალი მთის ტრაქტორი. ეს მანქანა დიდ ინტერესს იწვევს ყველაში, ვინც იცის, რა მძიმეა მიწის მხვნელის შრომა მთაში. დიდი ხანია ბარში ტრაქტორი მუშაობს, მთიელი კი ისევ ძველებურად ხნავს. ახალი მანქანა გაათავისუფლებს მას ამ მძიმე შრომისგან. მისი გამოცდა სულ მალე დამთავრდება. ასე თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს სოფელი და ქალაქი.

## ნავით თბილისზე გავლით

ნავი მოხსნეს თვითნაკეთ ნავსაბელიდან. ის შეირხა, თითქოს რაღაც გაუბედაობამ მოიცვაო, მაგრამ ამ დროს ძლიერმა დინებამ შუაგულ მდინარეში გაიტაცა, ეს იყო ჩელუსკინელების ხიდის მახლობლად. მზიანი, ნათელი დღე იდგა და მდინარეზე ისეთი სიწყნარე იყო, გვეგონა, თითქოს თბილისში არ ვიყავით და მთელ ქვეყნიერებაზე, გარდა მტკვრის ზვირთების წყნარი თქაფანისა და მოტორის გამოზომილი ზუზუნისა, არაფერი არსებობდა.

ნამდვილად კი თბილისში ვიყავით. რესპუბლიკის დედაქალაქმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა ქალაქმა საგონებელში ჩაგვაგდო. რა ჩავიწეროთ ბლოკნოტში? გვაქვს თუ არა უფლება ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ ის, ან იქნებ, უმჯობესი იყოს სრულებით არაფერი ვთქვათ?

აი, ჩავსხედით ნავში, გვსურს ახალი რამ შევიგრძნოთ, ისეთი რამ, რაც მალე ყველა თბილისელმა უნდა განიცადოს.

საქმე ისაა, რომ ჩვენ ვისხედით ახლახან მდინარეზე მოწყობილი სანაოსნო სადგურის მოტორიან ნავში. ჩვენთან ერთად იყო პირველი თბილისელი მწვრთნელი ნიჩბოსნობაში, პირველი მოტორისტი და მატროსი. ჩვენი ცურვის ფინიშთან, ორთაჭალის ჰესის ახლო იმ დღეს ბაიდარების გამოცდა უნდა ჩატარებულიყო.

ნამდვილად ბედი გვწყალობდა! რაიმე ახალის დაბადების შესწრება, თუნდაც ძალზე მცირედი იყოს ის, ფრიად საინტერესოა. ნაოსნობა კი თბილისში არცთუ ისე მცირედი რამაა. დღეს — ბაიდარები, ხვალ — იალქნიანი ნავები და კატარღები, შემდეგ სამდინარო სარეისო ტრამვაი, რომელიც ორთაჭალასა და მუშტაიდს შორის იმოძრავებს.

დაუშვებლად დიდხანს იდგა ქალაქი მტკვრისაკენ ზურგშექცეული. ნავიდან მოჩანს დაქანებულ ნაპირებზე გადმოდგმული სახლები. ფასადით ისინი ქუჩისკენ იყურებიან, უშნო ზურგით კი მტკვრისკენ. ქალაქი ჯერ ისევ განაგრძობს თავისი ნაგვის გადაყრას მტკვარში. მაგრამ ნავიდან სხვა რამეც მოჩანს: ნაპირებზე აღარაა გულისამრევი ნაგვისა და ძუძგის საყრელი, სამუდამოდ გაჰქრა ობმოდებული, აშმორებული ჭანჭრობები. ორივე ნაპირი მოირთო და მოიკაზმა მშვენიერი სანაპიროთი და ის, რაც ახლა შენდება მდინარის პირას, იყურება მისკენაც, რადგან არაფერი ისე ლაზათს არ აძლევს დიდი ქალაქის ცხოვრებას, როგორც მდინარე, პაპანაქებაში თავისი გრილი სიოთი რომ გვესალბუნება და წყნარი დუდუნით გულს გვიმშვიდებს. და ან კიდევ, რა შეიძლება, მაგალითად, შეედაროს მტკვარზე ხიდებ ქვეშ ნავებით სეირნობას, დაკლაკნილი ნაპირების, დაყოლებით, რომელთაც ზემოდან ტერასებად განლაგებული ქალაქი გადმოჰყურებს.

## საკოლმეურნეო სათბური

იმავე მზემ, თავისი უხვი ცხოველმყოფელი სხივებით ახალი სანაპიროს კედლებსა და დამწყები ნიჩბოსნების შიშველ სხეულებს რომ ეალერსებოდა, ახლა ორთაჭალის ბაღებში შეიხედა, კოლმეურნეობის აგროკაბინეტის ფანჯრის მინებიდან სხივი სტყორცნა წითელ დროშას და სინათლე მოაფრქვია წარწერას:

„ნიშნად მეგობრობისა ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს მოსკოვის ოლქის რამენის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან“.

ამ სამი წლის წინათ ორთაჭალელებმა გაზეთებიდან გაიგეს, რომ მოსკოვთან ტიმონინოში არის კარგი კოლმეურნეობა. აიღეს და, წერილი მისწერეს ამ კოლმეურნეობას. ტიმონინოდან დაახლოებით ასეთი პასუხი მოუვიდათ: წერილში ყველაფერს ვერ იტყვი კაცი. მოდით, დავმეგობრდეთ და, სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, გთხოვთ გვესტუმროთ.

ორთაჭალელები წავიდნენ. მერე ტიმონინოელები ჩამოვიდნენ. ნიშნად მეგობრობისა დროშა გადასცეს ორთაჭალელებს, რჩევა-დარიგებაც არ მოაკლეს, დაეხმარნენ კიდეც, მაგრამ აი, დასრულდა მისვლა-მოსვლა, სტუმრობა და მასპინძლობა.

სადღაა ახლა ძველი, უმსგავსო გომურები სოხანეზე დაყრილი ჩალა-ბულათი, უსინათლო და უწყლო, სადგომები, დამპალი ნეხვის აუტანელი სუნით? ასეთი გომურები ორთაჭალელებმა მოსკოვიდან დაბრუნების უმალ დაანგრიეს, მის ადგილას ახლა სარძეო-სასაქონლო ფერმაა გამოჭიმული, კორპუსები ელექტრონითაა გაჩირაღდნებული, მთელი პირუტყვი ჯიშიანი ძროხებითაა შეცვლილი. ორთაჭალელები თანდათან ეწევიან თავის ძლიერ მეგობრებს. ამჟამად ორთაჭალაში თვითეული ძროხა 3.000 ლიტრ რძეს იძლევა.

მაგრამ კოლმეურნეობაში გაჩნდა ისეთი რამეც, რაც ჯერჯერობით ტიმონინოელებს არა აქვთ და რაშიც ქართველ ამხანაგებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მათ. მცირე დროში მტკვრის ნაპირზე მინით დახურული 15 დიდი, სავსებით ერთნაირი ნაგებობა გაჩნდა. კოლმეურნეობამ მოაწყო სათბური, რომლის ბადალი არც ერთ საარტელო მეურნეობას არ მოეპოვება. აქ მთელი წლის განმავლობაში თბილისელებისთვის მოჰყავთ ბოსტნეული და მწვანილი, მართალია, ეს წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც დედაქალაქის ბაზარზე ბოსტნეული საღდება, მაგრამ საქმე ამაში როდია, არამედ იმ მაგალითში, რომელიც ორთაჭალელებისგან უნდა გაიზიარონ ათეულმა, ასეულმა სხვა კოლექტიურმა მეურნეონეობებმა, რომლებიც მდინარეების პირას მდებარეობენ.

## რუსთავი

ახალი ქალაქი რუსთავი! როგორც იქნა ჩვენმა მტკვარმა შენამდე მოგვიყვანა. მოგვიყვანა და მიგვატოვა. რუსთავში მას იმდენი საქმე აქვს,



ზაჰესის კაშხალთან.



რუსთავი. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე შენდება ახალი სკოლა.

რომ, როგორც იტყვიან, თავის მოსაფხანადაც არა სცალია. რუსთავი — ეს გავარვარებული ლითონია, ცეცხლმფრქვევი კოქსი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი. მტკვარი ორ უზარმაზარ, ადამიანის სიმაღლის წყალშემყვანში შედის და მიჰქრის საამქროებისკენ, აგრეგატებისკენ — გასაცივებლად, გასაცივებლად, გასაცივებლად...



ნუტრიების კვება ფერმაში.

ჩვენ მივაბიჯებთ მიწაზე, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ მზით გადახრუკულ და ქარით ალოკილ გატიალებულ ტრამალს წარმოადგენდა.

ამუშავდნენ ექსკავატორები, გადმოაბრუნეს საუკუნეებით ერთიმეორეზე დადებული მიწის ფენები, და მშენებლობის ყოველი კუთხიდან გაისმა:

— ნაპოვნია სპილენძის ფული!

— წავაწყდით ქვის ყუთს!

— ექსკავატორმა მიწის ბელტთან ერთად თიხის ჭურჭელიც ამოატრიალა!

მშენებლობაზე მოვიდნენ მეცნიერები და აქვე ახალი, მომავალი ქალაქის მიდამოებში შეუდგნენ არქეოლოგიურ გათხრებს. გამოჩნდა უძველესი ქალაქი, რომელიც მატიანეებში იხსენიება, მიწის ზედაპირზე კი არსად იყო. ამ ქალაქს ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაუწყია თავისი ცხოვრება, რამდენჯერ აღგვილა ის პირისაგან მიწისა და კვლავ მკვდრეთით აღმდგარა. მიწის სიღრმეში აღმოჩნდა რამდენიმე ქალაქის ფენა. ასეთი დამთხვევა რომ არა, გათხრები შეიძლებოდა გადაგვედო, მაგრამ რუსთავი იზრდებოდა და დაჟინებით მოითხოვდა თავისთვის ფართობს. აფორიაქებული მიწიდან ამოიღეს ყველაფერი, რისი ამოღებაც კი შეიძლებოდა და გადათხრილი ადგილი მიასწორ-მოასწორეს. ისტორიის ერთი ფურცელიც გადაიშალა და ახალ, სუფთა გვერდზე სწერენ უკვე ახალი ადამიანები, ახალი რუსთავის მკვიდრნი. კვლავ აიგო სახლები. გაშიშვლებულ ტრამალში ფესვები გაიდგა დასავლეთ საქართველოდან მოტანილმა მრავალწლოვანმა ჭადრის ხეებმა და მარადმწვანე კედრებმა, ტუიას ბუჩქებმა და სურნელოვანმა ლეგუსტრიმებმა.

ჩვენ მივდივართ ახალ, ლამაზ მწვანე ქალაქში, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ამ ქალაქს „შავს“ უწოდებენ, თუმცა სალებავებით ის თეთრია, ვარდისფერი, მწვანე, ერთი სიტყვით, ღია ფერის, მორთულ-მოკაზმული ქალაქია. მაგრამ „შავია“ ის იმიტომ, რომ მის ამ მხარეზე ქარხნებია, „თეთრი“ კი — მეორე მხარეზეა. ქალაქის ეს ნაწილი ახლა შენდება, მაგრამ პროექტით ის ძირითადი ქალაქი იქნება, 70 ათასი მოსახლისათვის განკუთვნილი.

მაშ ასე, მტკვრის მარჯვენა ნაპირი! უკვე მზადაა საცხოვრებელი ბინების ხუთი კვარტალი. კერამიკული აგურისგან შენდება ახალი სკოლა. მარტში დაიწყება ახალ ბინებში ჩასახლება, სექტემბრიდან კი ახალ წითელ შენობაში დაიწყებს სიარულს 440 პატარა გოგო-ბიჭი.

მარჯვენა ნაპირზე მშენებლები გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით მუშაობენ, ვიდრე მარცხენაზე მუშაობდნენ. აქ აშენებენ ახალი მეთოდით. რუსთავის ბეტონის კომბინატიდან იგზავნება მზა კედლები, გადასახურები, კიბის საქცევები. მათი აწყობა ხდება სამშენებლო მოედანზე.

სწორედ ასე და არასხვანაირად შეფერის რუსთაველებს თავისი ქალაქის შენება. რუსთავი — მთელი რესპუბლიკის სიამაყეა, მისი მეწინავე რაზმია.

რუსთავი — არხის სათავეა. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე გადებულ ხიდთან დგას სათავე ნაგებობა სარწყავი არხისა, რომელიც უძველეს დროში არსებობდა და მრავალგზის ყოფილა აღდგენილი და კვლავ ამუშავებული. არხი ახლაც მოქმედებს. მტკვარი თავის წყალს მეზობლად მდებარე მიწებს უნაწილებს და ხელოვნური კალაპოტით ყარაიაზის მინდორ-ველებზე მიედინება.

ჩვენც გავყვეთ მას იქითკენ.

## ჯანდარის ტბა

ყარა-იაზი, ყარა-თაფა ნიშნავს შავ საფლავს. ასე უწოდებდნენ ამ ადგილებს წინათ. ტრამალი ჩავლული იყო ჭაობში, სადაც ციებ-ცხელების კოღო ღრუბელივით იყო გადმოწოლილი მთელ მიდამოზე.

ახლა გარდაბანის გარეუბნის რაიონი რუსთავსა და თბილისს ბოსტნეულით ამარაგებს. ჭაობი ამოშრობილია. აურაცხელი არხებით მიედინება მტკვრის წყალი და მინდვრებსა და ბოსტნებს ასაზრდოებს, სოფლები გარშემორტყმულია ბაღებითა და ვენახებით. აქ ერთ მეგობრულ ოჯახად შრომობენ ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები. განსაკუთრებით ბევრია აზერბაიჯანელი.

რუსთავის მაგისტრალური არხი სოფელ ჯანდართან ჰქმნის 22 კვ. კლმ. ფართობის ხელოვნურ ტბას. ტბის ერთი ნაწილი საქართველოს ეკუთვნის, ნაწილი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას. წყალზე გადის საზღვარი.

შემოვიარეთ ილიჩის სახელობის ჯანდარის კოლმეურნეობა. ის მთელ კილომეტრებზეა გაჭიმული მტკვრის გასწვრივ. არხზე ტბასთან დგას პატარა ჰესი. ამ ცოტა ხნის წინათ ზედ ტბის ნაპირას გადაიტანეს კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმა, და თეთრი დედლები საუცხოოდ გრძნობენ თავს მწვანე ბალახში, წყლის მახლობლად. შორიახლოს აშენებულია კოლმეურნეობის მსხვილი რქიანი საქონლის ახალი ფერმა.

მაგრამ აი კიდევ ერთი ფერმა რომელიღაც პატარა-პატარა, ვირთაგვების მსგავსი, უცნაური ცხოველებით. მავთულის ბადით შემოღობილ ვოლიერებში, წყლით სავსე აუზებში დაცურავენ გრძელკუდა და გრძელბეწვიანი მშიშარა ცხოველები. ეს საბჭოთა კავშირში სამხრეთ ამერიკიდან შემოყვანილი ნუტრიებია. ნუტრია იძლევა ძალიან ძვირფას ბეწვს, ცოტათი კმაყოფილდება, უყვარს წყალი და სითბო. სახელმწიფო ნუტრიის ფერმა ჯანდარის ტბასთან გაიხსნა 5 წლის წინათ. ცხოველი კარგად მომრავლდა ამ ადგილებში და მალე ნუტრიების ჯოგი ათას სულს გადააჭარბებს.

ვინახულეთ ჯანდარელი მეთევზეებიც. თევზსაჭერი ბრიგადის 73 წლის მოხუცი ბრიგადირი ილარიონ ორლოვი ამ სარეწაოზე უკვე მეოთხედი საუკუნე მუშაობს. სწორედ მან გვიამბო ჯანდარის ტბის ისტორია: როგორ წარმოიშვა ეს ტბა 1864 წელს, მერე რატომღაც ამოუშვრიათ და მის ფსკერზე მოდებულა ბუჩქნარი, ამოსულა ხეებიც. როცა არხში ისევ გაუშვეს მტკვრის წყალი, მთელი ტყე დაიფარა და წყალქვეშა ხეები დიდად აბრკოლებდნენ ბადით თევზაობას. მეთევზეებს თავისი ხელით უხდებოდათ ხეების ამოძირკვა.

ჯანდარში ყოველთვის ბლომად იყო კობრი და ლოქო, ამ ცოტა ხნის წინათ კი მტკვრის წყალმა მოდენა ჭერეხი და კაპარჭინა თევზი. როცა ბადეში ეს თევზები მოხვდებიან, მეთევზეები მათ უკან ჰყრიან ტბაში, რომ მომრავლდნენ.

ჩვენს შეკითხვაზე, იყინება თუ არა ტბა, ბრიგადირმა გვიპასუხა:

— უკანასკნელ წლებში ძალიან თბილი ზამთარი იდგა ხოლმე, წინათ კი იყინებოდა და მოყინულ ზედაპირზე აზერბაიჯანში გადავდიოდით, სტუმრად ვეწვეოდით ხოლმე მეცხენეობის ქარხანას, რომელიც ჩვენი დაბის პირდაპირ მდებარეობს იმ მხარეს.

— არსებობს თუ არა ტბის მეორე მხარეს აზერბაიჯანელთა ასეთივე თევზის სარეწაოები? — შევეკითხეთ ბრიგადირს.

— სარეწაოები იმ მხარეზე არ არის, — გვიპასუხა მოხუცმა, — ამიტომ თევზს მთელ ტბაზე ჩვენ ვიჭერთ, და ამრიგად „საზღვრებს ვარღვევთ“. ანდა, კიდევაც რომ იყოს იქ სარეწაოები, — დაუმატა მან, — საზღვარი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საწარმოო.

აი ესეც ჩვენი რესპუბლიკის მეორე საზღვარი, რომელთანაც მტკვარმა მიგვიყვანა.

ტბიდან გამოსული არხი, მტკვრის ძირითადი კალაპოტის პარალელურად განაგრძობს სვლას აზერბაიჯანის კოლმეურნეობათა მინდვრებზე და მადლიანად რწყავს მათ. იმ მხრიდან კი, მტკვარზე აგებული მინგეჩაურჰესი მავთულებით აგზავნის ენერგიას საქართველოში. ელექტროგადაცემის მძლავრი საყრდენები მძიმედ მიაბიჯებენ თვალუწვდენელ ტრიალ მინდვრებზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში )



ბაიდარებით მტკვარზე.

# კომისარი ელბაქიძე

ს. შავგულიძე

მხატვარი ალ. ბანძელაძე

1919 წელი იდგა. ჩრდილოეთ კავკასიაში წითელი არმია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა დენიკინის ბანდების წინააღმდეგ. თბილისი სავსე იყო უცხოელებით და ბოლშევიკური რუსეთიდან გამოქცეული ათასი ჯურის ვიგინდარებით. მენშევიკური მთავრობა ყველას ფართოდ ულებდა კარებს.

სექტემბრის მზიანი და საკმაოდ ცხელი დღე იყო. აბანოს წინ ღობის რკინის ხლართზე ჩამომჯდარიყო ერთი შავგვრემანი, საკმაოდ ულამაზო, ჯმუხა სახის კაცი, რომელსაც მაზუთიან ტანსაცმელზე ეტყობოდა, რკინიგზელი უნდა ყოფილიყო.

შუადღის მზე გულდაგულ აცხუნებდა, მაგრამ მუშა მაინც არხეინად იჯდა და განუწყვეტლივ აწკაპუნებდა მზესუმზირას, თანაც თვალმოუშორებლად გაჰყურებდა ვერის ხიდს, რომელიც აქედან ხელის გულივით მოჩანდა. დროდადრო თვალით გადასერავდა ქუჩას და მოპირდაპირე მხარეს მოედნის კუთხეს შეათვალიერებდა.

მოედანზე ხალხი შეთხელებულიყო, ზუზუნი მიმწყდარიყო. სიცხეს ყველაფერი გაესავათებინა და მოედუნებინა. ყველა ცდილობდა ჩქარა მოეთავებინა საქმე და გასცლოდა აქაურობას. დაღმართზე მხოლოდ ორიოდე აჩქარებით მომავალი მგზავრი მოჩანდა.

ქვემოთ, მოსახვევში შეშით დატვირთული რუსული ურემი გამოჩნდა, რომელსაც ჭაპანწყვეტით მოათრევდა კისერწაგრძელებული წაბლა ცხენი. რაც უფრო მატულობდა შემოღმართი, ცხენს მით უფრო უჭირდა ნაბიჯის გამოდგმა და წამდაუწუმ ფორხილობდა. პატრონი ცდილობდა ქაქანით და ყვირილით აეჩქარებინა პირუტყვი, და არც მათრახს ზოგავდა, ისე გამეტებით უტყლაშუნებდა ცხენს გამხმარ თეძოებზე.

ურემს თალხთავსაფრიანმა ქალმა და ცხრა-ათი წლის გოგონამ გამოუარეს. ბავშვს თვალი უკან რჩებოდა და დაოჩნებულ პირუტყვს თანაგრძნობით, თით-



ქმის ცრემლმორეული უყურებდა, დედა კი ხის ქუსლებიან ფეხსაცმელს მოაჭახუნებდა და უკან ჩამორჩენილ გოგონას აჩქარებდა.

ამ დროს ხიდზე ავტომანქანა გამოჩნდა, რაც იმ დროს თბილისში არცთუ ისე ხშირი მოვლენა იყო.

აბანოს წინ ჩამომჯდარი მუშა სწრაფად წამოდგა და გულისპირზე დაცვენილი მზესუმზირის ჩენჩოები ერთი ხელის დაქნევით ჩამოიბერტყა, შემდეგ ჯიბიდან წითელი ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩები მოიწმინდა, თანაც ყველაფერი ეს ისე მოიმოქმედა, რომ ხიდზე გამომავალი მანქანისთვის თვალი არ მოუცილებია.

მანქანა ხიდს რომ გამოსცდა და მოსახვევს მოეფარა, მუშამ ცხვირსახოცი ტუჩებიდან მოიცილა და მკვეთრად დაიქნია, თითქოს დაბერტყაო.

ეს იყო ნიშანი.

ქუჩის მეორე მხარეს, მოედნის კუთხეში მდგარმა წვერგაუპარსავმა ხმელხმელმა კაცმა რამდენიმე ნაბიჯი წინ გადმოდგა, თითქოს ფეხსაცმლის თასმას ისწორებსო, დაიხარა, ისევ სწრაფად გასწორდა და ხელი ჯიბისკენ წაიღო. შემდეგ მღელვარების ნიშანმა ერთბაშად გაუარა და დამშვიდდა. მთელმა მისმა დაძაბულობამ თითქოს მარჯვენა ხელის კუნთებში მოიყარა თავი, მაგრამ ხელი ჯიბეში ედო და მღელვარებასაც ვერავინ შეამჩნევდა, თუ პირდაპირ თვალებში არ ჩახედავდა.

ამასობაში მანქანა უკვე გამოჩნდა მოსახვევიდან, მაგრამ წინ შეშიანი ურემი გაჩხირულიყო და გზას ულობავდა. შოფერი წამდაუწუმ უჭერდა ხელს კაბინასთან მიმაგრებულ რეზინის ბურთს, რომელიც წოწოლა მილით ბოლოვდებოდა და იქიდან გულის შემაღონებელი ბუყბუყი მოდიოდა.

გულგახეთქილმა მეურმემ მანქანაში გენერალთა საბეჭურებს მოჰკრა თვალი და უარესად დაფრთხა, ურმის თვალს მიჰვარდა და თვითონაც მიეშველა ცხენს, მაგრამ ვერაფერი უშველა.

— ვოტ სვოლოჩ! — მოისმა მანქანიდან ხმამაღალი ბურტყუნი.

ბოლოს, როგორც იქნა, მეურმემ მოიფიქრა, ურემს წინიდან მოუარა და ცხენს თავ-პირში მათრახის ტარი ჩასცხო. ურემი ნელ-ნელა დაგორდა უკან და მანქანას გზა უტია.

ავტო მზეზე შავად ლაპლაპებდა. მის ფანჯრებში მოჩანდა ერთმანეთის გვერდით მჯდომი ორი გენერალი — ბარათოვი და ოდიშარია. ერთს შავი ჩოხა ეცვა და ღერბიანი წოწოლა ქუდი ეხურა, მეორეს კი ფერმკრთალი სახე ნაცრისფერი ფრენჩის საყელოში ჰქონდა ჩაფლული.

გენერალი ბარათოვი ოფიცრებს აგროვებდა საქართველოში დენიკინის შეფერთხილი ძალების შესავსებად. იგი მტკვარგაღმა კირკის ქუჩაზე ცხოვრობდა და იქიდან ვერის ხიდზე გავლით ყოველდღე მანქანით დადიოდა სამხედრო შტაბში ერევნის მოედანზე.

როცა ურემმა, როგორც იყო, გზა დაუცალა, მანქანამ ცოტა უკან დაიხია, თხრილის მხარეს გამოჰყვა, ოდნავ გადაიზნიქა და ურემს რომ გამოსცდა, ისევ გასწორდა, შუა გზაზე გამოვიდა და სიჩქარეს მოუმატა. სწორედ ამ დროს რაღაც დაეჯახა მინებს, ხელყუმბარამ მინა ჩაამსხვრია, ჩარჩოს მოხვდა, ირიბად ასხლტა და ქვაფენილზე ორიოდე მეტრის დაშორებით აფეთქდა.

მანქანა დადგა. დამფრთხალი შოფერი გამოხტა და აბანოს მხარეს მიაშურა.

ხელახლა გავარდა ყუმბარა და ყველაფერი კვამლში გაეხვია.

როცა კვამლი და ბული გაიწმინდა, დალეწილი მანქანის ახლოს გამოჩნდნენ მისი მგზავრები: ბარათოვი უგონოდ ეგდო, ოდიშარია კი ქვაფენილზე მოფორთხავდა და შველას ითხოვდა. ორივე მძიმედ იყო დაჭრილი, მაგრამ სიკვდილს კი გადარჩნენ.

მსროლელი, ჩანს, უდანაშაულო მსხვერპლს მოერიდა და ურემთან შეყოვნების დროს მანქანას არ ესროლა მეურმის მოკვლის შიშით, საუკეთესო მომენტი დაჰკარგა და შემდეგ აჩქარებულმა ზუსტად ველარ მოზომა მანძილი.

ორი გასროლის შემდეგ მან ზემოთ ქუჩაზე ამავალი ხის კიბე აირბინა და ყორღანოვის ქუჩას სირბილითვე გაჰყვა.

ეს იყო არკადი ელბაქიძე.

არკადი რაჭველი იყო, სოფელ წეროდან. თვრამეტი წლისამ დატოვა მშობლიური კერა და სამუშაოს საძებნელად თბილისს მიაშურა. აქ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება და ბოლშევიკურ ორგანიზაციაშიც შევიდა. არკადი აქტიურად მონაწილეობდა ცხრაასხუთი წლის გამოსვლებში. რეაქციის



მძვინვარების ხანაში — 1909 წელს დააპატიმრეს და შორეულ მხარეს გადაასახლეს, მაგრამ გადასახლებიდან ჩქარა მოახერხა გამოქცევა. მომდევნო წელს ისევ დააპატიმრეს და ახლა უფრო შორს, ციმბირში, გადაასახლეს. ხელახლა გამოიქცა და ციმბირიდან მცხეთამდე მთელი გზა თითქმის ფეხით გამოიარა.

ეს დინჯი და აუჩქარებელი რაჭველი გლეხის შვილი პირდაპირ მოუქანცავი იყო. საოცარი ენერგიით ებრძოდა იგი ჯერ მეფის ჯალათებს, ხოლო შემდეგ საქართველოში გაბატონებული მენშევიკების უდღეურ მთავრობას.

1918 წელს ელბაქიძე მენშევიკებმა დააპატიმრეს, მაგრამ ციხეში შიმშილობა გამოაცხადა და ისევ გაათავისუფლეს, ოღონდ საქართველოს ფარგლების დატოვება მოსთხოვეს.

არკადი კავკავში წავიდა და მუშაობა დაიწყო თერგის ოლქის საგანგებო კომისიაში. 1919 წელს, როცა კავკავი დენიკინმა აიღო, ელბაქიძე საქართველოში დაბრუნდა. სწორედ მაშინ ითავა მან ბარათოვზე თავდასხმის მოწყობა, თუმცა ამ დროს ჯანმრთელობა ხშირი პატიმრობითა და გადასახლებით უკვე შერყეული ჰქონდა. განსაკუთრებით გული უჩიოდა.

მღელვარებითა და კიბეებზე სირბილით დაღლილ არკადის სწორედ გულმა უსუსტა. ყორღანოვის ქუჩის ბოლომდე მიირბინა, ეკლესიას გაუარა და ძალაგამოლეული ჩაეშვა ერთი ბუჩქის ძირას, შუბლი გრილ მიწას დაადო და ხარბად ჩაისუნთქა მინდვრის ყვავილებისა და ბალახის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი.

ცოტა ხანს ასე განაბული იწვა, რომ ამ დროს უკვე ხმაური და ცხენების თქარა-თქური მოისმა. არკადიმ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, რამდენიმე ნაბიჯი ჩოჩვით გაიარა და იქვე დაღმართზე დაეშვა, მტკვრისაკენ დაქანებულ ხევში.

ცხენოსან გვარდიელებს ეკლესიის ეზოში ვიღაც თათარი გლეხი შერჩათ ხელში. მას ბაზრობა მოეთავებინა და ახლა მზისაგან დასაცავად აქ შეეფარებინა თავი, იწვა და ეძინა. ვიდრე ამ გლეხის ვინაობას გამოარკვევდნენ და მის უდანაშაულობაში დარწმუნდებოდნენ, გვარდიელებს რამდენიმე წუთით შეაყოვნდათ.

ამასობაში ელბაქიძემ ხევი ჩაირბინა და პირდაპირ მტკვარში გადაეშვა. ეტყობა ველარ განსაჯა, რომ ქვევით, ვერის ხიდზე, მას უეჭველად შეამჩნევდნენ, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო.

ხალხმა მართლაც შენიშნა წყალში მცურავი კაცი. გამვლელ-გამომვლელი ხიდს მიაწყდა, — ზოგი თანაგრძნობით, ზოგი ცნობისმოყვარეობით და ზოგიც — გაბოროტებული თვალებით.

— ის არის! — დაიძახა ამ დროს ვიღაცამ და მოაჯირთან შეჯგუფული ხალხი მხარულით გაარღვია.

გვარდიელი ოფიცერი იყო.

რევოლვერზე გაისვა ხელი, მაგრამ შეატყო, რომ ამით ვერას გახდებოდა. იქვე გვერდით შაშხანიანი გვარდიელი შეამჩნია და დასჩხავლა:

— ესროლე! გადმოიღე თოფი, შე...— და უშვერი გინება დააყოლა.

გვარდიელს საქციელი წაუხდა. შეუგნებლად დაემორჩილა უფროსის ბრძანებას და თოფი მძიმედ გადმოიღო მხრიდან.

ოფიცერმა ველარ მოითმინა, გვარდიელს მიჰვარდა, თოფი აჰგლიჯა, მოაჯირს გადაეყრდნო და მოცურავეს გულდაგულ დაუმიზნა. კიდევ ერთი ყვინთი და ელბაქიძე უკვე ხიდქვეშ ამოჰყოფდა თავს, მაგრამ ამ დროს იგრიალა შაშხანამ და მტკვრის მღვრიე ტალღებში მუქი წითელი ნაკადი შეერია...

წყალმა მძიმედ ჩაატარა ხალხისათვის თავდადებული რევოლუციონერის გვამი და ქვემოთ, მოსახვევში, ყოფილი ავეჯეულობის ქარხნის პირდაპირ გამორიყა.

ასე დაასრულა სიცოცხლე არკადი ელბაქიძემ, რომლის სახელიც ეწოდება ახლა იმ დაღმართს, სადაც ზემოთ მოთხრობილი ამბავი მოხდა.



# სამკურნალო დაწესებულებები ძველ საქართველოში

წყაროების შესწავლა უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ საქართველოს მედიცინის ისტორიული სათავეების კვალი ქართველი ხალხის ეთნიკური ჩამოყალიბების პერიოდიდან შეინიშნება. ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებასთან უშუალო კავშირში, სხვა დარგების განვითარებასთან ერთად მედიცინაც აღმავლობას განიცდიდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში წარმოებული სისტემატური ფართო გეგმიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალა ადასტურებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში (ძვ. წელთაღრიცხვით) მეტად რთული ქირურგიული ოპერაციები უწარმოებიათ.

კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილი სახელგანთქმული მედეა დახელოვნებული ყოფილა წამლების მომზადებაში და სამკურნალო საქმიანობასაც ეწეოდა. იმდროისათვის კოლხეთში სამკურნალო მცენარეების საგანგებო ბაღი გაუშენებიათ. სცოდნიათ სამკურნალო მცენარეების შეგროვებისა და შენახვის წესები.

მეხუთე საუკუნისათვის სამკურნალო საქმის წარმატებებთან ერთად უკვე გარკვეული ანატომიურ-ფიზიოლოგიური ხასიათის წარმოდგენები და საკმაოდ დახვეწილი ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია გვხვდება. ამავე პერიოდში ჭრილობათა პირველადი დამუშავების ელემენტებიც შეინიშნება. სამედიცინო საქმის წარმატებასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული სამკურნალო დაწესებულებების დაარსება.

დიდი ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერიელის დედას ბაკურდუხტს V საუკუნეში საავადმყოფოები აუშენებია. მთელი რიგი ცნობების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვით პეტრე იბერიელისათვის უცხო არ იყო სამედიცინო ცოდნა და სამკურნალო საქმიანობა.

უფრო ადრინდელი ცნობა საქართველოში სამკურნალო დაწესებულებების არსებობის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მასზე ადრე საქართველოში საავადმყოფო არ ყოფილა.

ქართველი მემატიანეს ცნობით, სამკურნალო დაწესებულებები დავით აღმაშენებლის ეპოქაშიც ყოფილა აგებული. „...აღაშენნა ქსენონნი, ადგილსა შემსგავსებულსა და შვენიერსა"... მოგვითხრობს მემატიანე.

ამ სამკურნალო დაწესებულებებში სხვადასხვა სნეულებით შეპყრობილნი მოუთავსებიათ.

ქსენონები, როგორც ისტორიკოსი გადმოგვცემს, მოწყობილი ყოფილა საწოლებით, თეთრეულით, ჭურჭლეულით და სხვ.

ქსენონებისათვის ფულადი სახსრებიც ყოფილა გამოყოფილი („განუჩინნა შესავალნი"). ამ დაწესებულებებს „ზედამდგომელნიც" ჰყოლია, ანუ ის პირნი, რომლებიც მათ განაგებდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამკურნალო დაწესებულებების დაარსება და მოწყობა გავრცელებული მოვლენა ყოფილა აღნიშნულ ეპოქაში. იგი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის აუცილებელი ელემენტი გამხდარა.

„ვაჰანის ქვაბთა განგების" ანუ წესდების მეექვსე მუხლში გვხვდება ცნობა, რომელიც მონასტრის მესნეულეს საქმიანობას შეეხება.

აქედან ვიგებთ, რომ მესნეულეს ყოველდღე („დღითი-დღე") სამჯერ უნდა შემოევლო, ენახა ავადმყოფები, მიეცა მათთვის რაც საჭირო იყო: წამალი, სათანადო საკვები და სხვ.

ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის საერთო აღმავლობასთან დაკავშირებით, სხვა დარგებთან ერთად, სამედიცინო საქმის ფართოდ გაშლის შედეგად შესაძლებელი გახდა სამკურნალო დაწესებულებები გახსნილიყო საზღვარგარეთ ქართველთა მიერ დაარსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან.

წყაროებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ ცენტრებთან სამკურნალო დაწესებულებების აშენება შეგროვებული სახსრებითა და შეწირული ქონებით ხდებოდა. „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერ აღაპებში" ვკითხულობთ, რომ „...კუალად ამან მიქელ მოგვცა პერპერაი: ი: „სასნეულოი საშენებლად...", ე. ი. ვინმე მიქელს ათი პერპერა შეუწირავს სასნეულოს ასაშენებლად. შეგროვებული თანხით საავადმყოფო მართლაც აუშენებიათ და მას შეწირული სახსრებით ინახავდნენ.

როგორც ირკვევა, სასნეულოები ათონის ივერიის მონასტერთან მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა. ათონის მონასტრის აღაპების მიხედვით მე-15 საუკუნის მიწურულში ყვარყვარეს შვილს მზეჭაბუკს გაუგზავნია მისი ძმის ქაიხოსროს აღზრდილი კაცი სახელად ამბროსი და მისთვის დიდძალი ქონება გაუტანებია ქართველთა მონასტრებისათვის, მათ შორის, ათონის მონასტრისათვისაც, ამ ქონებით „...საუძლურე აღაშენა მისით აკაზმულობითა..."

ათონის ქართველთა სავანეში სამკურნალო დაწესებულებების არსებობას ადასტურებს ტიმოთე მთავარეპისკოპოსი თავის მოგზაურობაში (1755).

უნდა ვიფიქროთ, რომ სამკურნალო საქმიანობას ოლიმპის მთაზე ილარიონ ქართველის მიერ დაარსებულ ქართველთა სამოღვაწეო ცენტრშიც ეწეოდნენ. ამას გვაფიქრებინებს ილარიონის ბიოგრაფის ცნობა, რომლის მიხედვითაც ილარიონი „სულიერ მკურნალობის" ანუ სასულიერო მოღვაწეობის გარდა „ხორცის მკურნალობასაც" ეწეოდა.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის კულტურულ ცენტრებში არსებულ სამკურნალო დაწესებულებებთან ქართველთა ახლო ურთიერთობა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნიდან დაიწყო, როცა, როგორც ითქვა, საქართველოში უკვე არსებობდა სამკურნალო დაწესებულებები და ქართველთა კულტურულ-მეცნიერული ძალები დიდ როლს თამაშობდნენ აღნიშნული კერების ცხოვრებაში.

დიდი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერიელის სახელთან არის დაკავშირებული ერთ-ერთი სასნეულოს გახსნა პალესტინაში.

კირილე სკვითოპოლელის თხზულებაში „ცხოვრება საბა პალესტინელისა", რომელიც მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს ძველი ქართული კულტურის უძველესი საზღვარგარეთული ცენტრის — საბას ლავრას შესახებ, ვკითხულობთ, რომ მეფეს დაუბარებია საბა და მონასტრების აშენების საჭიროება უთქვამს. საბას თავის მხრივ მეფისათვის უთხოვია: „...რაითა ერთი სასნეულოი აღაშენო წმინდასა ქალაქსა უცხოთათვის მომავალთა საზრდელად და სნეულთა განსასუენებლად..."[1]

ამ თხოვნის პასუხად მეფეს უბრძანებია „...აღშენებად სასნეულოი შუა წმიდასა ქალაქსა და დადგმაი ასისა ცხედრისაი"[2]

1. კიმენი, ტ. 2, გვ. 202.
2. იქვე, გვ. 203.

ახლანდელი ენით რომ ვთქვათ, აუშენებიათ სამკურნალო დაწესებულება, სადაც ასი საწოლი მდგარა. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ასი საწოლი დაუმატეს — „და ამისსა შემდგომად კუალად უბრძანა მასვე სასნეულოსა შინა ასი სხუაი ცხედარი..."[1]

აღნიშნულ სასნეულოს შესახებ „იოანე მეყუნებულის ცხოვრებაშიც" გვხვდება ცნობები.

როგორც ჩანს, ეს სამკურნალო დაწესებულება საკმაოდ მოზრდილი ყოფილა. მტკიცება ზედმეტია, რომ ასეთ დიდ სამკურნალო დაწესებულებას მრავალრიცხოვანი სამედიცინო პერსონალიც დასჭირდებოდა. თუ ვინ იყვნენ იქ მკურნალნი, საამისო საბუთები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. ზოგიერთი ზოგადი ხასიათის ვარაუდი მაინც შეიძლება გავწიოთ.

როგორც ცნობილია, მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული ქართველებს სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად პალესტინაში ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდოსისა და განსაკუთრებით საბა განწმენდილის ლავრაში დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ჰქონდათ გაჩაღებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ამავე დროს ისინი სამკურნალო საქმესაც მისდევდნენ და მონაწილეობას ღებულობდნენ აღნიშნულ სასნეულოების საქმიანობაში. ამას გვაფიქრებინებს საბას ლავრაში მოღვაწე მარტვირი ქართველის ფართო და ღრმა შეხედულებები სხეულის აღნაგობისა და მისი ნაწილების მოქმედების შესახებ, მისი ინტერესი „მეცნიერ მკურნალთა" მონაცემებისადმი, რომელსაც იგი იყენებს თავის თხზულებაში „სინანულისათვის და სიმდაბლისა".

თუ ვინ არიან ეს „მეცნიერი მკურნალნი", ამის თქმა ამ თხზულების მიხედვით შეუძლებელია. მაგრამ მეტად საყურადღებოა მეცნიერ მკურნალის ის გაგება, რომელსაც მარტვირი ქართველი იძლევა.

ამ ძეგლში ვკითხულობთ: „...ვითარცა იტყვიან მეცნიერნი მკურნალნი, რომელნიც გამოცდილ არიან და იციან, ვითარ იგი ძალსა საზრდელისასა მისისასა განგებულებით განჰყოფენ..." და სხვ. ლაპარაკია ორგანიზმის მიერ გადამუშავებული საკვების ათვისებაზე, ორგანოებსა და სხეულის ნაწილებს შორის მის განაწილებაზე. მოყვანილი ამონაწერიდან, საერთოდ, ძეგლში წარმოდგენილი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ მარტვირი ქართველს „მეცნიერ მკურნალი" ესმის როგორც გამოცდილი და ორგანიზმის აგებულებისა და სხეულის ნაწილების მოქმედების შესახებ გარკვეულ შეხედულებების მქონე პირი.

იმ დროისათვის „მეცნიერ მკურნალის" ასეთი გაგება საქართველოს მედიცინის განვითარებისა და მისი მაღალი დონის მაჩვენებელია.

ძველ ძეგლებში „ხელოვანი მკურნალნიც" იხსენიებიან. „ხელოვან მკურნალს", ალბათ, სამკურნალო საქმეში თავგამოჩენილ, კარგად დაოსტატებულ ექიმებს უწოდებდნენ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ „ხელოვან მკურნალთ" განსაკუთრებულ შემთხვევაში მოიწვევდნენ ხოლმე. „ქართლის ცხოვრებაში" ისინი უმთავრესად მეფეთა ავადმყოფობის აღწერის დროს არიან მოხსენებულნი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, სამკურნალო დაწესებულებები ძველ საქართველოში სხვადასხვაგვარად იხსენიება: „სასნეულო", „ქსენონი", „საუძლურე" და სხვ.

ვფიქრობთ, რომ „საუძლურე" ისეთი ტიპის სამედიცინო დაწესებულება უნდა იყოს, სადაც დავრდომილებს ან ქრონიკული დაავადებით შეპყრობილთ ინახავდნენ და უნდა განსხვავდებოდეს ნამდვილ სამკურნალო დაწესებულებისაგან.

როგორც ჩანს, ძველ საქართველოში ყველაზე მეტად მაინც „სასნეულო" იყო გავრცელებული.

სასნეულოსაგან თავისი დანიშნულებით არ განსხვავდებოდა „ქსენონი" (ქსენონს ბერძნულად სხვა მნიშვნელობა აქვს).

საბას განმარტებით ქსენონი სასნეულო სახლს ნიშნავს, ანუ ისიც საავადმყოფოა, თუმცა უნდა ვიფიქროთ როგორც პეტრე იბერიელის დედის ბაკურდუხტის მიერ მეხუთე საუკუნეში დაარსებული საავადმყოფო, აგრეთვე, დავით აღმაშენებლის ეპოქაში აგებული ქსენონები რამდენადმე განსხვავდებიან მონასტრებთან არსებული სასნეულოებისაგან.

ბაკურდუხტის მიერ და დავით აღმაშენებლის ეპოქაში აგებული სამკურნალო დაწესებულებები, როგორც წყაროებიდან ჩანს საერო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით ეს ითქმის დავით აღმაშენებლის ეპოქაში დაარსებული ქსენონების შესახებ, რომლებიც მეფის პირადი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

თუ ვინ მოღვაწეობდა ქსენონებში, პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. მაგრამ არსებობს მთელი რიგი საყურადღებო ფაქტები, რომლებიც ამ საკითხს ერთგვარად შუქს ფენს.

გელათის აკადემიის და მის გვერდით არსებულ დამხმარე შენობების შესწავლის დროს სხვა ღირსშესანიშნავ ნაგებობათა შორის მიკვლეული იყო, აგრეთვე, დავით აღმაშენებლის ეპოქაში აგებული ქსენონის ნანგრევებიც. ეს ნაშთები მოწმობენ, რომ ქსენონის შენობა საკმაოდ დიდი და ვრცელი ყოფილა, რაც მთავარია იგი იმ შენობათა კომპლექსში შედის, რომელიც გელათის აკადემიასთან ტერიტორიალურად უშუალო კავშირში იმყოფება. თუ გავითვალისწინებთ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ გელათის აკადემიაში სხვა სამეცნიერო დისციპლინებთან ერთად მედიცინაც ისწავლებოდა, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ აქვე მოღვაწეობდნენ ცნობილი ფილოსოფოსი და ანატომი არსენ იყალთოელი, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებისა და მედიცინის მცოდნე დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, ცხადი გახდება, რომ ეპოქის ფილოსოფიური მსოფლმხედველობით შეიარაღებული და სამედიცინო განათლების მქონე მკურნალთა აღზრდის ერთ-ერთი კერა საქართველოში გელათის აკადემიაც უნდა ყოფილიყო, ხოლო ქსენონი აკადემიასთან, როგორც ჩანს, ექიმთა პრაქტიკული მომზადების მიზნით უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

ამ ეპოქის მთელი რიგი ორიგინალური და თარგმნილი სამედიცინო ძეგლები, რომლებიც საბუნებისმეტყველო და სამედიცინო მონაცემების მრავალფეროვნებითა და სიღრმით გამოირჩევიან, შესაძლებელია სწორედ გელათის აკადემიაში და სხვა ასეთი ტიპის დაწესებულებებში იქმნებოდა, როგორც სახელმძღვანელო სწავლისა და მუშაობის პერიოდში. ამ მოსაზრებას გვიკარნახებს აღნიშნული ძეგლების სტრუქტურა და ხასიათი.

მ. საგერაშვილი

1. კიმენი, ტ. 2, გვ. 203.



სკვორეშნია — ი. პ. ვლადიმიროვი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გორელოვი — ს. გოლოვანოვი
პავლიკი — ი. ბრისტოლი

**ახლახან** თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ ეკრანზე გამოუშვა ფანტასტიკურ სათავგადასავლო ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება“.

ფილმის რეჟისორია კ. პიპინაშვილი, სცენარის ავტორი — ნ. როჟკოვი, ოპერატორი — ფ. ვისოცკი მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ალ. მაჭავარიანს. „ქართული ფილმის“ ეს ახალი ნაწარმოები ინტერესით ნახა დიდძალმა მაყურებელმა



ექიმი — ა. მაქსიმოვა
პავლიკი — ი. ბრისტოლი

გორელოვი (ს. გოლოვანოვი) „კერპთან“





ხევერიან მაისაშვილი

გორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაპიტალისტური ქვეყნების ქალები მშვიდობისა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში

მშვიდობისა და დემოკრატიულ უფლებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში კაპიტალისტური ქვეყნების ქალებს ასულდგმულებთ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ქალთა საგმირო საქმენი. სამამულო ომის წლებში მთელ მსოფლიოს მოედო ამბავი ზოია კოსმოდემიანსკაიას გმირობის შესახებ. ზოიას მაგალითს მიბაძა 17 წლის ჩინელმა პარტიზანმა გოგონამ — ლიუ ხუ-ლანმა. მან ძვირფასი ცნობები მიაწოდა ჩინეთის მერვე სახალხო არმიის მზვერავებს გომინდანელების შესახებ. გმირი გოგონა შეიპყრეს.

— ვინ არის შენს სოფელში კომუნისტი? — ჰკითხეს ლიუ ხუ-ლანს, — დაასახელე ისინი და სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ.

— ჩვენს სოფელში ყველა კომუნისტია, — უპასუხა გოგონამ. იგი წამებით მოკლეს. გმირობის ასეთივე მაგალითი გვიჩვენეს კორეელმა პატრიოტმა გოგონამ — ტეოკ ხიმ და ვიეტნამელმა პარტიზანმა გოგონამ ბუი ტი კუკმა.

ბევრმა ქალმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ ბრძოლაში, რომელსაც მოწინავე კაცობრიობა აწარმოებდა კორეის, ვიეტნამისა და მალაის ომების შესაწყვეტად. 1950 წლის ივნისში ამერიკელი ოკუპანტები თავს დაესხნენ მშვიდობისმოყვარე კორეელ ხალხს. ამერიკელი აგრესორების ბრძანებით ბრაზილიის მთავრობა ჯარებს ამზადებდა კორეაში გასაგზავნად. ამ ამბავმა მთელი ბრაზილიელი ხალხი აღაშფოთა. ერთ დღეს, ჯარების გასამხნევებლად მოწყობილ სამხედრო პარადზე, მოულოდნელად გამოჩნდა დიდი პლაკატი: „ჯარისკაცებო, ჩვენო შვილებო, ნუ წახვალთ კორეაში!"

იქვე გაისმა ერთი ქალის ხმა: „ჩვენ არ დავუშვებთ ახლობლების დაღუპვას!" ეს იყო საფეიქრო ფაბრიკის მუშა ქალი, ორი ბავშვის დედა, ელიზა ბრანკო. იგი შეიპყრეს. გმირი ქალის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ბრაზილიას და მთელი ბრაზილიელი ხალხის მხარდაჭერა ჰპოვა. — ჩვენი შვილები კორეაში არ წავლენ, ჩვენ გვინდა მშვიდობა. თავისუფლება ელიზა ბრანკოს, — მოითხოვდნენ ბრაზილიის მშრომელი მასები. ვერც ტერორმა, ვერც რეპრესიებმა, ვერ ჩაახშეს ხალხთა პროტესტის ხმა. გამყიდველმა მართლმსაჯულებამ ელიზას ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ხალხის პროტესტის გამო ხელისუფლება იძულებული შეიქნა, ელიზა ერთ წელიწადში გაეთავისუფლებინა. ამ ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია; გარდა კოლუმბიისა, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან კორეაში ერთი ჯარისკაციც კი არ გაუგზავნიათ. ახლა ელიზა ბრანკო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრია.

მთელმა მსოფლიომ იცის ის გმირული საქციელი, რომელიც ჩაიდინა ფრანგმა გოგონამ რაიმონდა დიენმა.

ფრანგ ქალებს შორის მშვიდობისათვის აქტიურ მუშაობას ეწევიან მარი კლოდ ვაიან კუტურიე და ეჟენი კოტონი. კოტონი არჩეულ იქნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე თავმჯდომარედ. მას საერთაშორისო სტალინური პრემია მიენიჭა. ეჟენი კოტონის უახლოესი თანაშემწეა — ფედერაციის გენერალური მდივანი — მარი კლოდ ვაიან კუტურიე. იგი იყო წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, იგი გესტაპომ მოათავსა ოსვენციმის სიკვდილის ბანაკში. ეს გმირი ქალი დღეს განსაკუთრებული სიძლიერით იბრძვის ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

ამერიკელმა ოკუპანტებმა სამხედრო ბაზად გადააქციეს იაპონია, გლეხებს ართმევენ მიწებს, საძოვრებს და აქცევენ აეროდრომებად და პოლიგონებად. ამერიკელი ოკუპანტები იაპონიის გლეხებს ასახლებენ სოფლიდან. იაპონელი ხალხი გმირულ ბრძოლას აწარმოებს თვითეული სახლისათვის, თვითეული სოფლისათვის. ამ ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ იაპონელი ქალებიც, რომლებმაც სახელი გაითქვეს სოფელ უცინადასათვის ბრძოლაში. იაპონიის ხელისუფლებმა ეს სოფელი ამერიკის მაოკუპირებელი ჯარების განკარგულებაში გადასცეს, მაგრამ გლეხებმა სოფელი არ დატოვეს. 1953 წლის შემოდგომაზე ამ სოფელში ათასობით პატრიოტმა ქალმა მოიყარა თავი და პოლიციას განუცხადეს: „ზარბაზნებიც რომ გვესროლოთ, ჩვენ უკან არ დავიხევთო". ქალების გმირული ბრძოლების შედეგად სოფელი უცინადა შენარჩუნებულ იქნა.

მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეაქვთ იტალიელ ქალებს. 1948 წელს იტალიელმა ქალებმა ჩრდილო ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ მილიონობით ხელმოწერა შეაგროვეს. იტალიელი ქალები მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენლების მიერ წამოყენებულ წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ შეიარაღების შემცირებასა და ატომური იარაღის აკრძალვას.

იტალიისა და საფრანგეთის ქალებთან ერთად მშვიდობისა და დემოკრატიისათვის იბრძვიან გერმანელი ქალებიც, ისინი იბრძვიან მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ, ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ. მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდ როლს თამაშობს გამოჩენილი გერმანელი მწერალი ქალი ანა ზეგერსი.

თანდათან ძლიერდება ინგლისის ქალთა ბრძოლა მშვიდობისათვის. 1952 წლის 25 ივნისს სპეციალურმა ქალთა დელეგაციებმა თხოვნით მიმართეს ჩერჩილს — უკან დაებრუნებინათ კორეაში გაგზავნილი ინგლისელი ჯარისკაცები. მონიკა ფელტონი იყო პირველი ინგლისელი ლეიბორისტი ქალი, რომელმაც ინგლისელ მშრომელებს მოუთხრო ინგლის-ამერიკის აგრესიაზე კორეაში და დარაზმა ინგლისელი ქალები მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში. მონიკა ფელტონს საერთაშორისო სტალინური პრემია მიენიჭა.

1946 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა ქალთა დემოკრატიული ორგანიზაცია: „ამერიკელი ქალების კონგრესი", რომელიც აერთიანებს 250.000-ზე მეტ ქალს. ამერიკელი ქალები დაჟინებით მოითხოვენ ბაქტერიოლოგიური და ატომური იარაღის აკრძალვას. კორეის ომის წინააღმდეგ მათ მილიონნახევარი ხელმოწერა შეაგროვეს.

მშვიდობისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კანადელი ქალები. ცნობილია კანადელი პატრიოტი ქალის ნორა როდის გმირობა: 65 წლის მოხუცებულმა ქალმა აღძრა კანადელი ჯარისკაცების გამოწვევის საკითხი კორეადან.

გმირულად იბრძვიან ესპანელი ქალები. მათ ტერორის ძნელ პირობებში, მადრიდში, მალაგაში, ვალენსიაში, ტოლედოსა და სევილიაში შექმნეს ქალთა მებრძოლი ანტიფაშისტური კავშირები. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ქალებს სდევნიან. როგორც ეს ფრანკოს ოფიციალურ პრესას წამოცდა, დღეს ესპანეთის საპყრობილეებში 23.232 ქალი იტანჯება, მაგრამ ესპანელი ქალები იარაღს არ ყრიან, ისინი უშიშრად განაგრძობენ ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის.

მშვიდობისათვის იბრძვიან ლათინური ამერიკის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიის ქალებიც. მათ მილიონობით ხელმოწერა შეაგროვეს მშვიდობის დასაცავად.

ბელგიაში ამერიკის აეროდრომებისა და პოლიგონების მოწყობის წინააღმდეგ ილაშქრებენ ბელგიელი ქალები, რომელთა სათავეში დგას დაუცხრომელი მებრძოლი, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი, საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი — იზაბელა ბლუმი. მან 1952 წელს იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, ინახულა საქართველოც.

მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდი სიყვარულით სარგებლობს შვეციელი ქალი, საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი ელეონორა ანდრეა ანდრენი.

მთელი მსოფლიოს ქალები საბჭოთა ქალებისაგან სწავლობენ ბრძოლებში შეუდრეკლობას, სამშობლოსადმი თავდადებას. მათ ასულდგმულებთ საბჭოთა ქალებისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა ერთიანი ბრძოლა მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

ს. თურნავა

# აღმზრდელი,

მ. მიქაძე

ოც წელზე მეტია, უდედმამო ბავშვთა აღზრდას ემსახურება მავრა მგალობლიშვილი. მუშაობდა მახინჯაურის, ვაშლოვნის, ვაკის საბავშვო სახლებში. უკანასკნელი ხუთი წელი კი კოჯრის პირველი საბავშვო სახლის დირექტორია. ბავშვებზე ზრუნვას შეალია მან მთელი თავისი ახალგაზრდობა, მათზე ფიქრში გაჭაღარავდა. ყველას სწვდებოდა მისი მოალერსე ხელი, ყველას უნაწილებდა დედურ სითბოს, სიყვარულს და მუდამ სიყვარულითვე პასუხობდნენ მასაც.

შეუმჩნევლად გადის წლები. მალე იზრდებიან პატარები, ვაჟკაცდებიან, ქალები ხდებიან, მერე მიდიან, დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ, ტოვებენ მშობლიურ კერას, შორდებიან საყვარელ აღმზრდელ-მასწავლებლებს. მაგრამ არ ივიწყებენ მათ. წერენ, უზიარებენ თავიანთ ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და ოცნებებს, როგორც დედას, როგორც უახლოეს მეგობარს.

ამიტომ მოელის ასე მღელვარედ ფოსტალიონის გამოჩენას მავრა. ზის მერე შუა ღამემდე, კითხულობს ნაცნობი ხელით გამოყვანილ სტრიქონებს, რომლებშიც ესოდენი სიყვარულია ჩაქსოვილი და გული სიამაყით, სიხარულით ევსება. ის უყვართ, მასზე ფიქრობენ და ერთი და ორი როდია ასეთი. რა უნდა იყოს ამაზე ძვირფასი ჯილდო გაწეული შრომისათვის, ამაგისათვის.

ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ იწერებიან ისინი. აი, თამარ გაბელიას მთელი ოთხი გვერდი აუვსია. თითქმის ათი წელია, რაც ის აქედან წავიდა. დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ახლა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობს გაგრის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში. ახლა იგი შემოქმედებითს შრომაშია ჩაბმული, მეგობართა ახალ წრეში ტრიალებს, ბევრი საქმე და საზრუნავი აქვს, მაგრამ ერთი წუთით არ ივიწყებს საყვარელ აღმზრდელს, სისტემატურად წერს, ჩამოდის მის სანახავად.

ბარათთა ერთ წყებას სამნი აწერენ ხელს: — თინა, ქეთო და გურამ ბაქრაძეები, ისინი თბილისში ცხოვრობენ და მშობლიური საბავშვო სახლის ხშირი სტუმრები არიან, მაგრამ როცა დროს ვერ იპოვნიან

**მეგობარი,**

და კოჯორში ასვლა შეაგვიანდებათ, წერილს მისწერენ დეიდა მავრას. იციან, ამითაც გაახარებენ საყვარელ აღმზრდელს.

და კიდევ რამდენი ასეთი ბარათი აქვს მავრა მგალობლიშვილს სათუთად შენახული. ეს მთელი პოეზიაა, მომხიბლავი რომანია დედაშვილურ სიყვარულზე. ყველას, ვისაც მისი კალთის სითბო უგრძვნია, დედასავით უყვარს იგი.

სამი წლის იყო გურამ ჯალაღანია, კოჯრის საბავშვო სახლში რომ მიიყვანეს. ტიროდა პატარა, ღამეები არ ეძინა, კითხულობდა დედას. დედას კი მძიმე ავადმყოფობის გამო მისი მოვლა არ შეეძლო, ბოლოს იგი, თითქოს მშობელი დედა იპოვაო, მავრას მიენდო, დამშვიდდა, გახალისდა. ორი წლის შემდეგ, როდესაც გამოჯანმრთელებული დედა მის წასაყვანად მოვიდა, იგი საყვარელ აღმზრდელს მიეკრა და არ შორდებოდა.



ასევე ძნელია მავრასთვისაც, როგორც დედისათვის, თავის აღზრდილთან დაშორება. ბევრ მათგანს წლობით ვერ ნახულობს, ზოგჯერ რაღაც სევდა, დარდი შემოაწვება გულზე და მოიწყენს, მაგრამ მას აქ კიდევ ჰყავს აღსაზრდელი პატარები და მათზე ზრუნვა უვსებს ამ დანაკლისს.

იგი ამ პატარების სიყვარულით სუნთქავს და ხარობს, ეს სიყვარული ანიჭებს რაღაც ენით გამოუთქმელ მომხიბვლელ თვისებებს, რაც ასე იზიდავს ბავშვებს. ეს ჯადოსნური ძალა სიყვარულის მაღალი გრძნობაა, დედური გრძნობა.

**მასწავლებელი**

# 80 000 წერილი ყოველდღიურად






წერილების „შტაბში“ — ქალაქის ფოსტამტში სატვირთო „მოსკვიჩი“ შემოსრიალდა. იქიდან სავსე ტომრები გადმოიღეს და ლიფტზე დააწყვეს. სამგზავრო ლიფტი არ გეგონოთ. ეს ეზოდან ზედა სართულებზე წერილების საზიდი სპეციალური ლიფტია, რომელმაც ერთ წუთში თბილისის საფოსტო ყუთებიდან ამოკრეფილი წერილები დამხარისხებელ საამქროს მიაწოდა. აქ იწყება მათი „დამუშავება“.

— ყუთებში ჩაყრილი წერილების საფოსტო ნიშნებს კალენდარული დამღები არა აქვთ დარტყმული, — გვეუბნება საამქროს უფროსი ა. ბეგოიძე.—ასეთ წერილებს ერთად ვუყრით თავს და ავტომატზე ვალაგებთ.

— ავტომატზე?

— დიახ. აი, ეს ავტომატიც.

ავტომატს საწერი მაგიდის ზომის მოცულობა აქვს. ერთ-ერთი თანამშრომელი ასობით წერილს აწყობს ერთდროულად ავტომატზე და გამშვებ ღილს თითს ადებს. ავტომატი უხმოდ იწყებს მუშაობას. უცნაური სიზუსტით მოსცილდა წერილების დასტას განაპირა წერილი, პატარა ბორბლებს შორის გაისრიალა, როგორც კი შუა ადგილს მიაღწია, საფოსტო ნიშანზე დამღა „დაირტყა“.

სწრაფად მისდევენ ერთმანეთს წერილები. რამდენი შრომა დასჭირდებოდათ ადამიანებს ამ მარტივი ოპერაციის შესასრულებლად, რომ საბჭოთა კონსტრუქტორებს ეს შესანიშნავი ავტომატი არ შეექმნათ!

ავტომატი თავისუფლადასწრებს წერილების დამუშავებას „პიკეების“ დროსაც. ეს გასაგებია. წუთში ის საშუალოდ 300 წერილს „ამუშავებს“.

და როცა წერილები ავტომატში გატარდა, ისინი დამხარისხებელთა მაგიდებზე აღმოჩნდნენ. აქ ყველა წერილის მისამართი გულდასმით უნდა წაიკითხონ, რომ ერთ ადგილზე გაგზავნილი წერილი სხვა მიმართულებით არ „გაემგზავროს“.

— ზოგჯერ თურმე ასეც ხდება, — ღიმილით ვუთხარით უფროსს.

ეტყობა, საამქროს უფროსს არ ესიამოვნა ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც გვიპასუხა:

— ყოფილა ასეთი შემთხვევებიც. ჩვენი მუშაობა სწორედ ამით ფასდება. თუ შეცდომები არ გვექნება, მაშინ არიან დამხარისხებლები ქების ღირსი.

დამხარისხებელი ქალები წერილებს ერთმანეთისგან არჩევენ იმისდა მიხედვით, იგზავნებიან თუ არა ისინი თბილისიდან. ყველა წერილი, რომელიც ქალაქიდან თვითმფრინავებით, ან მატარებლებით უნდა გაიგზავნოს, გამოიყოფა წერილებისგან, რომლებიც თბილისში და მის გარეუბნებშია გასაგზავნი.

მატარებლებით გასაგზავნი წერილები, ფოსტამტიდან რკინიგზის ფოსტის დამხარისხებელ საამქროში გადაიგზავნება. ეს საამქრო სადგურის წინ არის მოთავსებული. აქ ხდება ქალაქების მიხედვით მათი დახარისხება და შემდეგ სათანადო მატარებლებში ჩატვირთვა.

— ჩვენ მონაწილეობას ვღებულობთ თბილისიდან გაგზავნილი წერილების დამუშავებაში, მაგრამ უფრო მეტი მუშაობა გვიხდება „შემოსულ“ წერილებზე. ვერც ერთ წერილს ვერ მიიღებს თბილისელი მოქალაქე, თუ მან ჩვენ საამქროში არ გაიარა. აი, შეხედეთ, აქ თბილისში მიღებული წერილები ქალაქის საფოსტო განყოფილებების მიხედვით ხარისხდება.

ვერტიკალურად ერთმანეთის თავზე განლაგებულ უჯრებს აწერია 1,2,3... ასე 47-მდე.

— ეს — საფოსტო განყოფილებების ნომრებია. დამხარისხებელი მისამართს კითხულობს და წერილს სათანადო უჯრაში ათავსებს.

— ისე რომ, დამხარისხებელმა ზეპირად უნდა იცოდეს თბილისის ქუჩების, შესახვევების, მოედნების სახელები და კიდევ ის, თუ რომელ საფოსტო განყოფილებას მიეკუთვნება თვითეული მათგანი?

— რასაკვირველია. აბა, რომელი წერილი გაქვთ? რა მისამართი აწერია?— მიმართა უფროსმა ახალგაზრდა ქალს — მ. აბაშიძეს, რომელიც სწრაფად ათავსებდა უჯრებში წერილებს.

— პეტრიაშვილის ქუჩა.

— რომელ განყოფილებას ეკუთვნის?

— მე-9.

ეს ქალიშვილი ნამდვილად „ცოცხალი სამისამართო ბიურო“. წარმოიდგინეთ, მან მშვენივრად იცის თბილისის ყველა ქუჩისა და შესახვევის სახელწოდება!

— ყოველდღიურად თბილისიდან დაახლოებით 35 ათასი წერილი იგზავნება, ხოლო თბილისი 45 ათას წერილს ღებულობს.

80 ათასი წერილი ყოველდღიურად!

* *

დღედაღამ მუშაობს დამხარისხებელი საამქრო. ძნელს, მაგრამ საპატიო საქმეს აკეთებენ თანამშრომლები. ისინი სათუთად ექცევიან მრავალფერ კონვერტებში ჩადებულ წერილებს, რადგან იციან, რომ მათში ჩაქსოვილია ჩვენი ადამიანების ფიქრები, გრძნობები და განცდები.

ა. ცისკარაძე



ფოტო ო. თურქიასი

წერილების დამტარებელმა მოიტანა ახალი ჟურნალ-გაზეთები.

# ჩეხოსლოვაკიაში

დოც. პ. ნულუკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული წლის ნოემბრის დამლევს, ჩეხოსლოვაკიის აკადემიამ მოაწყო პირველი საერთაშორისო კონფერენცია ჰიდროტექნიკური ბეტონის საკითხებზე. ამ კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ, სპეციალისტები — საბჭოთა კავშირიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და შვეიცარიიდან.

საბჭოთა კავშირიდან ამ კონფერენციას ესწრებოდა ტექნ. მეც. დოქტორები ვ. სტოლნიკოვი (ლენინგრადიდან), ს. შესტოპიაროვი (მოსკოვიდან) და ამ სტრიქონების ავტორი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მიერ წაკითხული იქნა სათანადო მოხსენებები. ამ მოხსენებებით ისინი დამსწრე სპეციალისტებს უზიარებდნენ იმ დიდ სამეცნიერო-კვლევითსა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც აქვს საბჭოთა კავშირის გიგანტურ ჰიდროტექნიკურ ირიგაციულ მშენებლობას, სადაც წამყვან საამშენებლო მასალად ითვლება ბეტონი.

საბჭოთა დელეგაციამ კონფერენციის შემდეგ 20 დღის განმავლობაში დაათვალიერა და გაიცნო ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქებში არსებული ზოგიერთი სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები და ჰიდროტექნიკური მშენებლობანი.

მინდა „დროშის" მკითხველებს გავუზიარო ჩეხოსლოვაკიაში მიღებული ჩემი შთაბეჭდილებანი.

* * *

ჩეხოსლოვაკიის ხალხებმა საუკუნეობრივი ბრძოლის შემდეგ მხოლოდ 1945 წელს მოიპოვეს ნამდვილი ეროვნული თავისუფლება. საბჭოთა არმიის ისტორიულმა გამარჯვებამ საშუალება მისცა ჩეხოსლოვაკელ ხალხს აერჩია თავისი სახელმწიფოებრივი მართველობის ფორმა და დამდგარიყო სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

კაპიტალისტებს ჩამოერთვათ ქარხნები, ფაბრიკები, მსხვილი საწარმოები, შახტები, ბუნებრივი სიმდიდრეები, ბანკები, სავაჭრო ორგანიზაციები, მემამულეებს — კი მიწები. ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი სახალხო-დემოკრატიული წყობის განმტკიცებას და რესპუბლიკის კულტურის აღმავლობას. ჩეხოსლოვაკიაში მოისპო უმუშევრობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

* * *

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მდებარეობს შუა ევროპაში. მას უკავია 128 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი. მოსახლეობის რიცხვი უდრის 13 მილიონს. რესპუბლიკის ტერიტორია მთაგორიანია, იგი დასერილია მდინარეებით. პოლონეთის საზღვართან არის ყველაზე მაღალი მთიანი მასივები ე. წ. „მაღალი ტატრა", რომლის უმაღლესი წერტილი — სტალინის პიკი უდრის 2.663 მეტრს.

რესპუბლიკის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია ქვანახშირისა და რკინის მოპოვებასა და დამუშავებას, გრაფიტის, კაოლინისა და სხვა მინერალური ნედლეულის წარმოებას.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა ევროპის უძველესი ქალაქთაგანია, პრაღაში დღეს ერთი მილიონი მცხოვრებია. პრაღა განთქმულია თავისი ისტორიული ძეგლებით, კულტურული დაწესებულებით. აქ არსებობს ევროპის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი. მის ბიბლიოთეკაში ამჟამად 1,6 მილიონი წიგნი ინახება.

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო შეიქმნა ჩეხეთის, მორავიის, სილეზიისა და სლოვაკიის მიწა-წყალზე, სადაც უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ სლოვაკური ტომები.

VII საუკუნეში პირველად გაერთიანდნენ ეს სლოვაკური ტომები და IX საუკუნეში შეიქმნა მძლავრი დიდი მორავიის სახელმწიფო.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი მორავიის სახელმწიფო ამ დროისათვის ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა, შემოსეულმა მომთაბარე ტომებმა მაინც შეძლეს მისი დაქსაქსვა და X საუკუნეში მას ჩამოაცილეს სლოვაკია. მას შემდეგ, რაც ეს ორი მოძმე ტომი ერთმანეთს ჩამოსცილდა, განვლო თითქმის ათასმა წელმა. მიუხედავად ასეთი გათიშვისა, ამ ტომებს მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთს შორის არ შეუწყვეტიათ კულტურული ურთიერთობა.

X საუკუნეში სახელმწიფოებრივი განვითარების ცენტრმა დასავლეთით, ჩეხეთისკენ გადაიწია.

XIII საუკუნიდან ვითარდება ხელოსნობა, ვაჭრობა, დიდდება ქალაქის მოსახლეობა. ამის შედეგად წარმოიშვა წვრილი საწარმოები და კულტურის ცენტრები. ასეთი სწრაფი განვითარების გამო ეს ქვეყანა გადაიქცა ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოდ ევროპაში. ამ პერიოდში ლიუქსემბურგის დინასტია მეფობდა. მათი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ჩეხეთის მმართველებს ირჩევდნენ გერმანიის იმპერატორებად. ამათგან ყველაზე გამოჩენილი იყო იმპერატორი კარლოს IV, რომელიც სახელმწიფოს გაძლიერებასა და განვითარებას უწყობდა ხელს. მან 1348 წელს დააარსა პრაღის უნივერსიტეტი, გააფართოვა პრაღის კრემლი და სხვ.

XV საუკუნეში ფეოდალიზმის კრიზისის დროს ჩეხეთში დაიწყო დიდი ანტიფეოდალური მოძრაობა, ეგრეთ წოდებული ჰუსიტური მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგა დიდი რეფორმატორი იან ჰუსი. ეს მოძრაობა აერთიანებდა ქალაქისა და სოფლის ღარიბ მოსახლეობას და მოუწოდებდა მათ ფეოდალური და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჰუსიტურმა მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ჩეხეთზე, არამედ მოსაზღვრე ქვეყნებზეც — გერმანიაზე, პოლონეთზე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ 1434 წ. დამარცხებული იქნა ჰუსიტთა მოძრაობა, მან მაინც დიდი კვალი დააჩნია ჩეხეთის ეროვნული კულტურის განვითარებას და განსაკუთრებით მის ლიტერატურას.

XVI საუკუნეში ჩეხეთის ტახტი გადადის ჰაბსბურგთა ხელში, რომლის დინასტია ჩეხეთის ისტორიაში ითვლება „ბნელ ეპოქად". ამ დინასტიის მმართველები ზღუდავდნენ ჩეხეთის ეროვნულ კულტურას, დევნიდნენ მას, ვინც არ იღებდა კათოლიკურ სარწმუნოებას. ბევრ ჩეხ პატრიოტს ართმევდნენ მიწა-წყალს და ასახლებდნენ მათ ადგილზე უცხოელებს, უმეტეს შემთხვევაში გერ-

ჩეხეთის მოღვაწეები იძულებული იყვნენ სამშობლო დაეტოვებინათ. ასეთი ბედი ეწია გამოჩემანელებს.

ნილ მეცნიერს, ცნობილ პედაგოგს იან ამოს კომენსკის.

ჩეხეთის ეროვნული აღორძინება იწყება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

XIX საუკუნე ჩეხეთის და მორავიის ისტორიაში ითვლება შემდგომი ეროვნული აღმავლობის ხანად. ამ დროს მოღვაწეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კულტურის გამოჩენილი ადამიანები: კომპოზიტორები სმეტანა, ანდრონი, დვორჟაკი, მწერლები: იან ნერუდა, ალოის ირასეკი და სხვები.

ჩეხეთის ბურჟუაზია თანდათან ძლიერდებოდა. ამავე დროს იზრდებოდა შეგნება მუშათა კლასში და XIX საუკუნის ბოლოსთვის შეიქმნა ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი ბიძგი მისცა ჩეხოსლოვაკიის ხალხებს. 1918 წელს იქმნება ჩეხოსლოვაკიის გაერთიანებული სახელმწიფო. ეს იყო ბურჟუაზიული სახელმწიფო. 1921 წელს დაარსდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბურჟუაზიულ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა ბრძოლას.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულმა მართველობამ 1938 წ. მიუნჰენის შეთანხმების თანახმად კაპიტულაცია მოახდინა ფაშისტური გერმანიის წინაშე და 1939 წელს თავის ქვეყანაში უომრად შემოუშვა გერმანელი ოკუპანტები.



ახალი ხიდი მდინარე ვლტავაზე, ქვემოთ — ძველი ხიდი, რომელიც ორლიკის ჰიდროსადგურის კაშხალის აშენების შემდეგ მოექცევა ხელოვნური ზღვის ფსკერზე.



პრაღა. ბეთლემის კაპელა, სადაც იან ჰუსი ქადაგებდა.

1939 წლიდან 1945 წლამდე გერმანელი ოკუპანტების ბატონობამ ჩეხოსლოვაკიაში დეგრადაციის გზაზე დააყენა ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა. გერმანელებმა დახურეს მრავალი უმაღლესი სასწავლებელი, დევნიდნენ ყოველივე ეროვნულს და ქადაგებდნენ გერმანიის უპირატესობას ჩეხებსა და სლოვაკებზე.

მხოლოდ საბჭოთა არმიის ძლევამოსილი გამარჯვების შედეგად მიიღო ჩეხოსლოვაკიის ხალხმა ნამდვილი ეროვნული თავისუფლება.

* * *

კაპიტალისტური წესწყობილების დროს ჩეხოსლოვაკიაში წარმოება არათანაბრად ვითარდებოდა, სჭარბობდა მსუბუქი მრეწველობა, რომლის განვითარება დამოკიდებული იყო უცხოელების მოთხოვნილებაზე და საზღვარგარეთულ ბაზარზე. მანქანათმშენებლობის განვითარებას უცხოელი მონოპოლიები განზრახ აბრკოლებდნენ. ჩეხეთის ბურჟუაზიული წრეები დიდად უშლიდნენ ხელს სლოვაკიის ინდუსტრიალიზაციას და ცდილობდნენ ხელოვნურად შეენარჩუნებინათ ქვეყნის დაბალი აგრარული დონე. ახალი სახალხო დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის მშრომელები, შეუდგნენ სახელმწიფოს რეკონსტრუქციისა და სახალხო მეურნეობის მოწესრიგების ხუთწლიანი გეგმის (1949-1953) განხორციელებას. ამ ხუთწლედში დიდად განვითარდა მძიმე ინდუსტრია. ჩეხოსლოვაკიაში საფუძველი ჩაეყარა სოფლის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობას. საერთო პროდუქციის ბრუნვა ხუთ წელში გაიზარდა 102%-ით, 1937 წელთან შედარებით კი — 119%-ით, განსაკუთრებით გაიზარდა საწარმოო ბაზა, მაგალითად: ქიმიური მრეწველობა— 2,5-ჯერ, მანქანათმშენებლობა—3,3-ჯერ ელექტროენერგია 3-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავებით ერთ სულ მოსახლეზე ჩეხოსლოვაკიამ გაუსწრო საფრანგეთს და იტალიას, ფოლადის დამუშავებაში გაუსწრო საფრანგეთსა და შვეციას და თითქმის დაეწია დიდ ბრიტანეთს.

ჩეხოსლოვაკიის მანქანათმშენებლობის საწარმოები ამჟამად უშვებენ დიდ ექსკავატორებს, მიწისმწოვ მანქანებს, ელექტრომავლებს, დიდ წნეხებს, ავტომანქანებს. მწყობრში ჩადგა კლემენტ გოტვალდის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, მდინარეებზე აშენდა რამდენიმე ჰიდროელსადგური. ამჟამად შენდება 12-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგური.

განვითარდა მსუბუქი მრეწველობა და გამდიდრდა მისი პროდუქციის ასორტიმენტი.

პირველ ხუთწლედში ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობაში მოხდა ძირფესვიანი გარდაქმნები. წვრილი და საშუალო გლეხობა, დარწმუნდა რა იმაში, რომ შეერთებული მეურნეობის წარმოება იძლევა მეტ შესაძლებლობას მიწის მაღალი ტექნიკით დამუშავებისას, გაერთიანდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. გლეხებს, გარდა კოოპერატიული მიწისა, აქვთ საკარმიდამოც, 1/2 ჰექტარის რაოდენობით. სახალხო ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისადმი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დახმარებას უწევს სახელმწიფო, მანქანატრაქტორთა სადგურები აწარმოებენ ყველაზე შრომატევად სამუშაოს სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობამ განვლილ ხუთწლედში მიიღო 24.000 ახალი ტრაქტორი, 2.573 კომბაინი, 17.500-ზე მეტი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას დიდი ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა აქვს საბჭოთა ქვეყანასთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. იგი ამ ქვეყნებისაგან იძენს მისთვის საჭირო ნედლეულს და ნაწარმს, სამაგიეროდ რესპუბლიკიდან გააქვს ამ ქვეყნებში თავისი ნაწარმი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მიერ მოპოვებულმა მიღწევებმა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში საგრძნობლად აამაღლა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. მაგალითად, ომის წინა პერიოდთან შედარებით თვითეულ მოსახლეზე რამდენიმე პროცენტით გაიზარდა ხორცის, შაქრისა და ცხიმის მოხმარება. საგრძნობლად გაიზარდა საბინაო მშენებლობა. პირველ ხუთწლედში აშენდა 177.000 ბინა. 1954-55 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 78.000 ბინა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ბინები უფრო კარგად არის მოწყობილი, ვიდრე ძველი სახლები, ბინის ქირა ¼-⅓-ით ნაკლებია, ვიდრე ომამდე იყო.

ჩეხოსლოვაკიაში შემოღებულია 8 წლიანი სავალდებულო სწავლება, დიდი ყურადღება ექცევა საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ქსელის გაფართოებას.

40 უმაღლეს სასწავლებელში 1954 წელს სწავლობდა — დასწრებულზე 49.000 და დაუსწრებელზე — 22.000 სტუდენტი (1937 წელს სულ სწავლობდა 27.000 სტუდენტი). სახალხო დემოკრატიულმა წყობილებამ ხელი შეუწყო მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების აღორძინებას. მეცნიერების ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება ჩეხოსლოვაკიის აკადემია, სლოვაკიის აკადემია და ჩეხოსლოვაკიის სასოფლო-სამეურნეო აკადემია; დიდი მიღწევები აქვთ ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებს მათემატიკის, მედიცინის და ტექნიკურ დარგებში, დიდად განვითარდა ხელოვნების დარგები, მათ შორის მხატვრობა, კინემატოგრაფია და სხვ.

1953 წელს ჩეხოსლოვაკიაში ითვლებოდა 64 პროფესიული თეატრი. ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში 3.450 კინოთეატრია, აქედან 200 მოძრავი. ყოველ ხუთ სულზე მოდის ერთი რადიომიმღები. 1953 წელს დაიწყო ტელეხედვის გადაცემა.

რესპუბლიკაში მოქმედებს საკმაოდ დიდი ქსელი ბიბლიოთეკებისა, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ისეთი ცოტად თუ ბევრად დასახლებული პუნქტი, რომ მას არ ჰქონდეს ბიბლიოთეკა. მარტო გასულ ხუთწლედში დაიბეჭდა 333 მილიონი ეგზემპლარი წიგნი. მათი ფასი გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ომამდე იყო.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქებსა და სოფლებში 40.000 მეტი ისტორიული ნაგებობაა, სასახლეები, ეკლესიები, ძეგლები, ციხე-კოშკები, რომელთა რესტავრაციას და მოვლა-პატრონობას მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს. რესტავრაციას უკეთებენ ქალაქებს, ცალკე უბნებს, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. აღდგენილია ბეთლემის კაპელა, სადაც 500 წლის წინათ ქადაგებდა იან ჰუსი.

ჩეხოსლოვაკიაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს დარგი ერთნაირად საყვარელია მოსახლეობის ყველა ფენისათვის. ახალგაზრდობის დიდი რაოდენობა ჩაბმულია სხვადასხვა სახის სპორტულ წრეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრაღა. კარლოს IV ხიდი.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ახალ, ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ. ისინი დაუღალავად შრომობენ სახალხო მეურნეობაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის სახელმწიფოებთან, რომლის საიმედო დასაყრდენს საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. იგი მშვიდობისმოყვარე სხვა ქვეყნებთან ერთად მტკიცედ იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

(დასასრული იქნება)

სტრაჰოვის წიგნთსაცავის თეოლოგიური დარბაზი, რომელიც 1671 წელს ააგო ხუროთმოძღვარმა იან დომინიკ ორსიმ და 1721-1728 წ. წ. ჰერის ფრესკებით მოხატა სიარდა ნოსეცკიმ.





## ხალხის სამსახურში

ანდრო გრიგოლის-ძე წ ე რ ე თ ე ლ ი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ხანგრძლივი, უანგარო მუშაობით მშრომელების სიყვარული დაიმსახურეს.

40 წელზე მეტია, რაც ექიმი ანდრო გრიგოლის-ძე წერეთელი დაუღალავად ემსახურება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მას მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს ხალხის ჯანმრთელობისთვის ზრუნვას.

ა. გ. წერეთელი დაიბადა 1890 წელს დაბა საჩხერეში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულებს შემდეგ იგი მიემგზავრება ქ. ოდესაში სწავლის გასაგრძელებლად.

1914 წელს ანდრო წერეთელი წარმატებით ამთავრებს ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს და იგზავნება სამხედრო სამსახურში. იგი ინიშნება ქ. სევასტოპოლის სამხედრო ჰოსპიტლის თერაპიული განყოფილების ორდინატორად. იმავე დროს მუშაობს ფიზიოთერაპიულ ინსტიტუტში გამოჩენილი პროფესორის შჩერბაკის ხელმძღვანელობით.

სევასტოპოლში მუშაობის დროს ა. წერეთელი დაუახლოვდა მის ხელმძღვანელს უფროს ორდინატორ დიმიტრი ილიას-ძე ულიანოვს (დიმიტრი ილიას-ძე ულიანოვი იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძმა). ეს ახლო ურთიერთობა დაკავშირებული იყო შემდეგ გარემოებასთან: როგორც ცნობილია, 1917 წლის ივლისში პეტროგრადში ჩატარდა მუშების დემონსტრაცია დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ დროებითმა მთავრობამ გაზეთ „პრავდის“ გამოსვლა და გავრცელება აკრძალა. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკური „პრავდა“ არალეგალურად მაინც გამოდიოდა და ვრცელდებოდა. ქ. სევასტოპოლში „პრავდის“ გავრცელებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დიმიტრი ილიას-ძე ულიანოვი და მას ამ საქმეში ანდრო წერეთელიც ეხმარებოდა.

1917 წლის აგვისტოში ა. წერეთელი გადაყვანილ იქნა შავი ზღვის ერთ-ერთ საარტილერიო დივიზიონში უფროს ექიმად.

დივიზიონი, რომელშიც იგი მსახურობდა ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში შეუერთდა წითელ გვარდიას და გადაკეთდა წითელგვარდიულ დივიზიონად. ა. წერეთელი ამ დივიზიონში დარჩა სამუშაოდ უფროსი ექიმის თანამდებობაზე. ამავე დროს იგი არჩეულ იქნა დივიზიონის კომიტეტის მდივნად.

აღნიშნულმა დივიზიონმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ოდესაში მოკალათებული პეტლიურას ბანდის განადგურებაში. ოდესის განთავისუფლების შემდეგ ა. წერეთელი გაგზავნილ იქნა დივიზიონთან ერთად სევასტოპოლში, სადაც რევკომის ბრძანების თანახმად მუშაობას იწყებს ჰოსპიტლის მთავარ ორდინატორად.

1918 წლის მარტიდან ა. წერეთელი შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა ჯანმრთელობას ემსახურება.

1919 წლიდან ა. წერეთელი მუშაობს ჯანკოიში ჯერ საავადმყოფოს უფროს ორდინატორად, შემდეგ ჯანკოის ოლქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის მოადგილედ და გარნიზონის უფროს ექიმად.

1920 წლიდან 1922 წლამდე იგი არჩეულ იყო ჯანკოის საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად.

1922 წელს ა. წერეთელი საქართველოში ჩამოდის და მუშაობას იწყებს ექიმად ჭიათურის საავადმყოფოში. ანდრო წერეთელი მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს.

1922 წლიდან მოყოლებული დღემდე, ა. წერეთელი, როგორც ექიმი და როგორც საექიმო საქმის ორგანიზატორი დაუღალავად ემსახურება ქ. ჭიათურისა და მისი რაიონის მოსახლეობას.

1930 წლიდან 1937 წლამდე ა. წერეთელი მუშაობს ჭიათურის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ, 1937-1939 წლებში კი ჭიათურის საავადმყოფოს მთავარ ექიმად; ხოლო 1940 წლიდან 1948 წლამდე იგი ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეა და შეთავსებით განაგებს საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებას.

ამჟამად იგი ქ. ჭიათურის გრ. მუხაძის სახელობის საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებას ხელმძღვანელობს.

სამ ათეულ წელზე მეტია ექიმი ა. წერეთელი უმწიკვლოდ მოღვაწეობს საქართველოს ერთ-ერთ ინდუსტრიულ ცენტრში — ქ. ჭიათურაში და თავის დიდ ცოდნას და გამოცდილებას ახმარს მაღაროელთა და რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ამ ხნის მანძილზე ა. წერეთელმა მშრომელთა შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ხოლო ექიმთა შორის იგი ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად და ახალგაზრდობის გულისხმიერ აღმზრდელად ითვლება. იგი სისტემატურად კითხულობს პოპულარულ ლექციებს და მოხსენებებს მედიცინის სხვადასხვა საკითხზე ჭიათურასა და მის მახლობელ რაიონებში.

ა. წერეთელმა სერგო ხუნდაძესთან, ნიკოლოზ გამრეკელთან, ალ. წერეთელთან, ყარამან ფალავასთან და ჭიათურის სხვა მოწინავე ექიმებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა ჭიათურაში სამედიცინო საქმის მაღალ დონეზე დასაყენებლად.

ა. წერეთელი არა მარტო მკურნალი ექიმია, არამედ ავადმყოფის საუკეთესო მეგობარიც. მრავალ ავადმყოფს დაბრუნებია ჯანმრთელობა მისი გულისხმიერი მკურნალობის წყალობით. მრავალ მადლობის წერილს ღებულობს საავადმყოფოს დირექცია ყოფილი ავადმყოფებისაგან ა. წერეთლის მზრუნველი მკურნალობის გამო.

1955 წლის ოქტომბერში შესრულდა ა. წერეთლის საექიმო მოღვაწეობის 40 წელი. ქალაქ ჭიათურის პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ზეიმით აღნიშნეს ეს იუბილე.

ექიმი ა. წერეთლის თავდადებული შრომა დიდად დააფასა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. 1941 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ა. წერეთელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება.

ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია ლენინისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, აგრეთვე, მედლებით.

1940 წელს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა იგი დააჯილდოვა „ჯანდაცვის ფრიადოსნის“ საპატიო ნიშნით.

ექიმ ანდრო წერეთლის მაგალითი ნამდვილად მისაბაძია და აღაფრთოვანებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მომუშავე ექიმებს.

ს. საყვარელიძე

## ერთი უცნობი რომანი და მისი ავტორი

ამჟამად ჩვენს ხელთ არის ერთი დაუბეჭდავი რომანის ავტოგრაფი. ოცი წლის წინათ გარდაიცვალა მისი ავტორი — ნიჭიერი მწერალი ქალი დესპინე დავითის ასული გელოვანი, მწერლობაში „ლაჯანელი ბანოვანის“ ფსევდონიმით ცნობილი. იგი დაიბადა 1880 წ. ლეჩხუმის მაზრის სოფელ ლაჯანაში. სვანეთის ფეოდალურ წრეებში ფეხმოკიდებულმა ტრადიციამ პატარა დესპინე ოჯახში ჩაკეტა და იძულებული გახადა მხოლოდ შინაური განათლებით დაკმაყოფილებულიყო. 18 წლის დესპინე, როდესაც მან „ივერიის“ კორესპონდენტობა გადაწყვიტა, უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებული, დამოუკიდებლად მოქმედი და თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდა იყო.

დესპინე გელოვანი „ივერიის“, „ცნობის ფურცლის“, „შრომის“, „სახალხო გაზეთის“, „მეგობრის“, „ისარის“, „ამირანის“, „თემის“, და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ამხელდა მეფის მოხელეებისა და თავგასული ფეოდალების ძალმომრეობას. ეს წერილები შეშფოთებას იწვევდა მოწინააღმდეგეებში. ისინი ახალგაზრდა მწერალ ქალს სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ, მაგრამ მუქარამ იგი ვერ შეაშინა. მან ფსევდონიმი გამოიცვალა და უფრო მეტი გამბედაობით დაიწყო მშრომელთა მტრების მხილება. ამას მოჰყვა მისი არალეგალურ მუშაობაში ჩაბმა 1902 წელს. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში.

დესპინე გელოვანი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. ჯერ კიდევ 1901 წელს ლეჩხუმში მისი თაოსნობით გაიმართა პირველი წარმოდგენა. ხოლო 1905 წელს სოფლებში მისივე ინიციატივით აჩვენებდნენ რევოლუციური ხასიათის პიესებს. ამ დადგმებიდან შემოსული თანხები ეგზავნებოდა ქუთაისის ციხის პოლიტიკურ პატიმრებს, რომელთაც საპატიმროდან გასასვლელი გვირაბი გაჰყავდათ.

დესპინეს საკუთარი დაწყებითი სკოლაც ჰქონდა ოჯახში, სადაც ის წერა-კითხვას ასწავლიდა სოფლის გოგო-ბიჭებს, სრულიად უსასყიდლოდ.

1920 წელს დესპინე თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და უფრო ინტენსიურად შეუდგა სამწერლო მოღვაწეობას. გარდა უამრავი კორესპონდენციისა, რომლებიც ასახავდნენ გლეხთა ცხოვრებას, მის კალამს ეკუთვნის საგულისხმო ეთნოგრაფიული წერილები, მხატვრული ესკიზები, ნოველები და მოთხრობები. 1928 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი რომანი „სამართალს სისხლით მოვძებნი“, რომელსაც ჟურნალ „ზვეზდის“ ფურცლებიდან გამოეხმაურა ცნობილი რუსი მწერალი ქალი ოლგა ფორში. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა დესპინე გელოვანის ამ ნაწარმოებს. ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ მის ავტორს დიდხანს არ უცოცხლია.

დესპინე გელოვანის გამოუქვეყნებელი რომანი „შორეული ლანდები“ საქართველოს ისტორიულ წარსულს ეხება. ნაწარმოებში მოქმედება იწყება თურქეთთან ომში ქართველთა ლაშქრის გამარჯვებით, რასაც მოსდევს მთავრის ასულ მზია გურიელისა და ლეჩხუმის მმართველ მაიზერ გელოვანის ურთიერთ სიყვარულის თავგადასავალი. ავტორი აღწევს იმას, რომ ნაწარმოებში იმდროინდელი ცხოვრების თითქმის ყველა მხარე მოექცეს, რაც ამბავთა რამდენიმე რკალს ქმნის. ამავე დროს ნაწარმოებში არ მოიპოვება არც ერთი უმნიშვნელო ეპიზოდი, ან საგანი გარკვეული ფუნქციის გარეშე. ეს კი ამ ვრცელ რომანს კომპოზიციურად შეკრულსა და მთლიან ნაწარმოებად ხდის. იგი სანიმუშოა იმ მხრივაც რომ მასში მოქმედებენ მასები. მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები, თუ როგორ ქმნის ისტორიას ხალხი, მისი ძალა და მისწრაფება და არა მეფეები და მთავრები.

მართალია, რომანი ძველი საქართველოს გარკვეული კუთხის ცხოვრებას გვიხატავს, მაგრამ მისი იდეა ზოგადკაცობრიულია, მაღალი ზნეობა, თავისუფლება, თანასწორობა, ერთა ძმობა და მეგობრობა, ვერაგობის დათრგუნვა და საღი პატრიოტიზმი.

რომანის ღირსებაა, აგრეთვე, მისი კოლორიტულობა. დესპინე გელოვანის ეს ნაწარმოები ისტორიული სინამდვილის მართალი გამოსახულებაა, მასში, ნაჩვენებია ცხოვრება ღრმა ცოდნით.

რომანში დაუნდობლად არის მხილებული ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი — ქვეყნის დაქსაქსულობა, ინტრიგები, ვერაგობა, ბატონყმური ურთიერთობის უზნეობანი, თავადაზნაურთა ფუქსავატური ცხოვრება, ხალხის ძარცვა, რელიგიის თვალთმაქცობა, რელიეფურად არის ასახული, აგრეთვე, მაშინდელი მშრომელი ხალხის, გლეხობის ცხოვრების სიდუხჭირე და ქვეყანაში გამეფებული უსამართლობა, გლეხთა მასობრივ-სტიქიური აჯანყებანი და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს საინტერესო თხზულება ჯერ არ გამოქვეყნებულა. ნაწარმოები კი იმსახურებს გამოქვეყნებას.

ს. ცაიშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბახასა ინდონეზია

რა ენაზე ლაპარაკობენ ინდონეზიელები?—„ინდონეზიურ ენაზე“, გვიპასუხებს მკითხველი და, რა თქმა უნდა, მართალიც იქნება. მაგრამ ეს პასუხი მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი. რატომ? იმიტომ, რომ ინდონეზიის რესპუბლიკაში უამრავი ენა და დიალექტია. იცით თუ არა რაიმე სუნდას ენის შესახებ? ალბათ, — არა. ეს კუნძულ იავას დასავლეთ ნაწილში მცხოვრები თხუთმეტი მილიონი მოსახლის ენაა. სუნდაელებს მდიდარი ფოლკლორი და საინტერესო, დამოუკიდებელი ლიტერატურა აქვთ.

ინდონეზია სამი ათასამდე კუნძულს ითვლის, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ კუნძულს თავისი ენა გააჩნდეს, მაგრამ ენათა რაოდენობა მაინც საკმაოდ დიდ რიცხვს აღწევს. როგორღა ელაპარაკებიან ერთმანეთს კუნძულთა სხვადასხვა ჯგუფის მცხოვრებნი? აქ მათ მაშველად ევლინებათ სახელმწიფო ენა, რომელსაც „ბახასა ინდონეზია“, ანუ „ინდონეზიური ენა“ ეწოდება, თუმცა ძირითადად იგი მალაურია.

რას წარმოადგენს თანამედროვე ინდონეზიური ენა? რით განსხვავდება იგი მალაურისგან? ინდონეზიაში უყვართ თქმა, რომ „მალაური ენა შეიძლება პატარა გოგონას მივამსგავსოთ, ინდონეზიური კი — მოზრდილ ქალიშვილსო“. მართლაცდა, „ბახასა ინდონეზია“ თანამედროვე პირობებში მალაური ენის ფორმებისა და განვითარების ინტენსიური პროცესის შედეგია, მრავალი ადგილობრივი ენისა და დიალექტის ხარჯზე გამდიდრებული. ერთიან სახელმწიფო ენად „ბახასა ინდონეზია“ აღიარებული იქნა 1945 წლის აგვისტოს, ინდონეზიის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ყველაზე ყრუ რაიონების დაწყებით სკოლებშიც კი სწავლა ინდონეზიურ ენაზე მიმდინარეობს.

ინდონეზიელები უკვე დიდი ხანია, რაც ლათინური შრიფტით სარგებლობენ, ნაწერი მაქსიმალურად მიახლოვებულია გამოთქმასთან. ინდონეზიური ენა უჩვეულოდ ლამაზი და თავისებურია.

ერთხელაც რომ მოისმინოთ ინდონეზიური ლაპარაკი, თავისი დამახასიათებელი რბილი ინტონაციებითა და გამოკვეთილი ბგერებით, აღარასოდეს აღარ შეგეცვლებათ სხვა ასევე უცნობ უცხო ენაში. თქვენ მაშინვე იცნობთ მას ერთი განსაკუთრებულად საინტერესო თავისებურების გამო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოვლენა, რომელსაც რედუპლეკაციას უწოდებენ.

რედუპლეკაცია, ანუ გაორება, ნიშნავს ერთ და იმავე სიტყვის ზედიზედ ორჯერ გამეორებას. თქვენ აერთებთ რადიოს და გესმით: „ბრიტა-ბრიტა“ (ეს ნიშნავს „ცნობებს“). მიმართავს რა რადიომსმენელებს, დიქტორი ამბობს „სუდარა-სუდარა“ („მოქალაქენო“). აცხადებს ტალღის სიგრძეს, რომელზეც გადაცემა წარმოებს: „გლომბანგ-გლომბანგ“ („ტალღები“). ას ამრიგად, მოისმის ეს გაორებული სიტყვები და მთელ საუბარს უჩვეულოდ ეგზოტიკურ ხასიათს ანიჭებს.

რა აზრი აქვს ამ გაორებას? მოტანილ მაგალითებში ჩვენ საქმე გვაქვს მრავლობითი რიცხვის წარმოქმნასთან. ინდონეზიურ ენას არ გააჩნია მრავლობითი რიცხვის გრამატიკული ფორმა, როგორც, მაგალითად რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ან ქართულ ენას. ამიტომ მრავლობითობის გამოსახატავად ინდონეზიელები მიმართავენ მეტად თავისებურ საშუალებას, ერთსა და იმავე სიტყვას ორჯერ გამოთქვამენ. ამას გარდა, ინდონეზიურ ენაში ჩვენ ვხვდებით სულ სხვა მიზეზით გამოწვეულ რედუპლეკაციას. მაგალითად, სიტყვა პაგი ნიშნავს „დილას“, პაგი-პაგი კი — „დილა ადრიანს“. მალამ — „საღამოა“, მალამ-მალამ კი „გვიან საღამოს“ ნიშნავს. ტინგგი — „მაღალია“, ტინგგი-ტინგგი — „ძალიან მაღალი“.

აქ, როგორც ვხედავთ, გაორება აზრის გაძლიერებას იწვევს. გაორებული სიტყვები ისე მრავლადაა ინდონეზიურ ენაში, რომ გაზეთები და ჟურნალები სიტყვის ორჯერ აწყობის მაგიერ, მხოლოდ ერთხელ აწყობენ და გვერდით უწერენ ციფრს — 2. გამოდის თითქოს კვადრატში აყვანილი სიტყვა! ისინი ასე გამოიყურებიან: pagi 2, malam 2, kuza 2, tiba 2 და ა. შ.

კიდევ ერთი საინტერესო თავისებურება ენისა მდგომარეობს ე. წ. შედგენილი სიტყვების (ინდონეზიურად — კატა მაჯემუკი) სიმრავლეში. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი. აირ—„წყალია“, მატა — „თვალი“, ორივე სიტყვა ერთად კი — აირ მატა — „ცრემლებს“ ნიშნავს. ლაუტ — „ზღვაა“, აირ ლაუტ — „ზღვის წყალი“; ბათუ — „ქვაა“ აირ ბათუ — „ქვის წყალი“, ე. ი. „ყინული“.

ასეთი სახოვნება განსაკუთრებით დამახასიათებელია ინდონეზიურ ენისათვის. საილუსტრაციოდ კიდევ ერთი მაგალითი მოვიტანოთ: ბუთა—„ბრმას“ ნიშნავს, ხურუფი — „ასოს“, ბუთა ხურუფი — „უსწავლელს“.

ინდონეზიური ენის შესწავლას ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღებით ეკიდებიან. უკვე კარგა ხანია, რაც მას ასწავლიან მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. ამჟამად მუშაობენ ინდონეზიურ-რუსული ლექსიკონის შესადგენად.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი. ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა

მეოთხე გვერდზე: ახალი ათონი. ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა.

## კროსვორდი



### ჰორიზონტალურად:

1. საქვეყნოდ ცნობილი რომანი. 8. მდინარე ციმბირის მხარეში. 9. სურათებიანი გამოცანა. 12. სახელმწიფო აზიაში. 13. ნოტების უტექსტოდ მღერა. 16. წარმოებათა გაერთიანება. 17. ბოგდან ხმელნიცკის ერთ-ერთი თანამებრძოლი. 18. ქალაქი ალბანეთში. 23. ტრანსპორტის სახე. 24. ყვავილის ნაწილი. 25. უკრაინელი კომპოზიტორი. 30. ტბა ავსტრიაში. 31. კეთილი. 32. მტაცებელი ფრინველი. 33. მოწონების გამოხატვა. 36. უპირატესობა. 37. მაიმუნის ჯიში. 38. სამხედრო ხარისხი. 41. სამხედრო ნაწილებთა მდებარეობის განლაგება. 46. ღვთის მორწმუნეობა. 47. წრეხაზის ნაწილი. 48. ნოტების დასადგმელი დაზგა. 49. შოტლანდიელი პოეტი. 52. ტექსტის წამკითხველი მიკროფონთან. 54. სურნელოვანი სითხე. 55. ყვავილი. 59. საბჭოთა მწერალი. 60. საბჭოთა საბავშვო მწერალი. 61. სემიტური მოდგმის ხალხი. 64. ჩუქურთმებისა და ქანდაკების ხელობა. 65. გოგოლის ნაწარმოები. 66. თანავარსკვლავედი. 67. გაიძვერა. 68. ექიმის ჩამოვლა ავადმყოფთა პალატებში.

### ვერტიკალურად:

2. ქალაქი საბჭოთა კავშირში. 3. დახრის საზომი ხელსაწყო. 4. სოკო. 5. განრიგება. 6. მუსიკალური ტერმინი. 7. თვალსაზრისი. 10. გოეთეს ნაწარმოები. 11. ხმელეთში ღრმად შეჭრილი უბე. 14. ხმარებიდან გამოსული ძველი სიტყვები. 15. კორესპონდენტის საუბარი ცნობილ მოღვაწესთან. 19. უნაყოფო ვაზი. 20. ფოლადის სახეობა. 21. ფრინველი. 22. ხე. 26. გაქვავებული ნაყოფი. 27. აღმოჩენის ხელოვნება. 28. კაცთმოყვარე. 29. წიგნის გვერდების დანომრვა. 34. ძველი ხალხური საკრავი. 35. წყვდიადი. 39. პოეტური ნაწარმოები. 40. მუზეუმი ლენინგრადში. 42. სწრაფმავალი სამხედრო გემი. 43. შუა ადგილი. 44. საბერძნეთის ძველი სახელწოდება. 45. ძველი ხალხური საკრავი. 50. მომწვანო ფერის ძვირფასი ქვა. 51. ერთისა და იმავე ბგერათა განმეორება სხვადასხვა სიტყვაში. 53. საუკეთესო. 56. სასწრაფო. 57. ერთი და იგივე სიტყვის განმეორება წინადადებაში. 58. ცეცხლმსროლელი იარაღი. 62. მაიმუნის ჯიში. 63. გერმანელი მწერალი.

### ჟურნალ „დროშის“ № 1-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი.

#### ჰორიზონტალურად:

1. დივიზიონი. 6. ანემია. 7. ფაბულა. 11. ონი. 12. კროსვორდი. 13. სი. 18. თეორია. 21. ურმული, 22. ლიბრეტო. 23. ორიოლი. 24. ხორუმი. 28 აგრესია. 29. ფენოლი. 30. ეტიუდი. 33. ასი. 34. ტელესკოპი, 35. ევა. 38. ორბიტი. 39. ილუზია. 40. გეოგრაფია.

#### ვერტიკალურად:

2. იუმორი. 3. ნაბადი. 4. უნუ. 5. ალი. 8. ანიონი. 9. ავრორა. 10. ტიტული. 14. ეთნოგრაფი. 15. ლივერპული. 16. ორნამენტი. 17. ფილოსოფია. 19. დიალოგი. 20. ატროფია. 25. კონუსი. 26. სეანსი. 27. ბრუნვა. 31. მერიმე. 32. ოპიუმი. 36. ურო. 37. ბია.


რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ზ. ლეჟავამ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91.
ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-38.

ფასი 3 მან.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/III 56 წ. გამომც. № 17. ქაღ. ზომა 70×108$^1/_8$. ნაბეჭდი ფურც. 3$^1/_2$. ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 72. უე 00552.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

პოლიგრაფ სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ცხაკაიას რაიონის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ სპორტსმენი გულიკო ჩიჩუა

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა